ალმამატერი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის
ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამის სტუდენტთა სასწავლო გაზეთი

№ 3
ზაფხული, 2022

ესეც ჩვენი გაზეთი!

2022 წლის გაზაფხულის რომელიღაც დღეს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საბურთალოს კორპუსში, ძალიან ბევრი რეგალიის მქონე ლექტორმა პაატა ნაცვლიშვილმა მეორეკურსელები შეკრიბა და გამოაცხადა, სტუდენტური სასწავლო გაზეთი უნდა გამოვცეთო. გაზეთის გაკეთებაში მონაწილეობის უფლება ნებისმიერ მსურველს, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ნებისმიერ სტუდენტს ჰქონდა. რა თქმა უნდა, ნებაყოფლობით.

ჰოდა, პირველ შეკრებაზე გადაწყდა: ბავშვებს მათთვის (და ზოგადად, მკითხველისთვის) საინტერესო ხუთ-ხუთი თემა უნდა ჩამოეწერათ და შემდეგ შეკრებაზე მიეტანათ. იქიდან დასაბეჭდად გამოსადეგი თითო ან რამდენიმე თემა აირჩეოდა. თემების დამუშავებამდე, მანამ, სანამ თითოეული „დაივარცხნა“ და რაღაც სახემდე მივიდა, ბავშვებმა ძველ სტუდენტურ გაზეთებს გადაავლეს თვალი, იქიდან საუკეთესოები ნიმუშად თუ გზამკვლევად დაილაგეს წინ და შეთანხმდნენ, რომ მათი გაზეთი წინამორბედებს არ დაემსგავსებოდა.

ლიზი ჩიმჩიური (მეორე კურსის სტუდენტი): „რადიოს ლექციის შემდეგ ჩემთან სახელოსნოში შემოდით, რაღაც უნდა გითხრათო, ასე „დაგვიბარა“ პაატა ნაცვლიშვილმა იმ დღეს კაბინეტში. მაშინ გავიგეთ, რომ სტუდენტური გაზეთი უნდა გამოგვეცა და რომ მასზე მეც უნდა მემუშავა. დავიბენი. არ ვიცოდი, რა თემა უნდა შემერჩია ან საერთოდაც, როგორ დამეწერა. მუშაობისას მივხვდი, რომ სხვათა ტექსტების გარჩევა ბევრად მარტივი საქმე იყო“...

ანა ურდულაშვილი (მეორე კურსის სტუდენტი): „როდესაც პაატა ნაცვლიშვილმა გაზეთზე მუშაობა შემოგვთავაზა და აგვიხსნა, რის გაკეთებას ვაპირებდით, გავოცდი. ინფორმაცია ნელ-ნელა გავფილტრე გონებაში. აღვიწერა ის პროცესი, რომლის გავლაც თითოეულ ჩვენგანს მოუწევდა და, რა თქმა უნდა, შეხვედრის ბოლოს გვკითხა, ვიყავით თუ არა ამისთვის მზად. იმისთვისაც წინასწარ შეგვამზადა, რომ შესაძლებელი იყო, ყველას ნამუშევარი ვერ დაბეჭდილიყო. ჩემს თავს ახალი დავალება მივეცი, მენახა, რამდენად შემეძლო მსგავს გამოწვევას გავმკლავებოდი. მაინტერესებდა, შეძლებდა თუ არა 19 წლის ანას მიეღწია იმისთვის, რასაც სამყარო სთავაზობდა“...

ამ ყველაფრიდან ორი კვირის შემდეგ, რომელიღაცა თვის რომელიღაცა დღეს ტელეფონი ახმაურდა. ჩემი ლექტორი პაატა ნაცვლიშვილი მწერდა, თუ მოიცლი, შემეხმიანე. მეორეკურსელებს რედაქტორი სჭირდებათ, ძალიანო. „რედაქტორის“ ხსენებამ გამომაფხიზლა. შევეხმიანე. რას არ შევეხმიანებოდი. დავთანხმდი კიდეც, რადგან უარის სათქმელად მიზეზი არ მქონდა, სამაგიეროდ, შემოთავაზების მისაღებად მქონდა რამდენიმე კარგი მიზეზი: პირველი ის, რომ მე რედაქტორის ამპლუაში, ფაქტობრივად, ახდენილ ოცნებას ნიშნავდა. მეორე ის, რომ კარგად ვიცოდი, რა ამბები დატრიალდებოდა პაატასთან სახელოსნოში და მე ამ ვნებათაღელვას არაფრისდიდებით არ გამოვრჩებოდი. მესამე კი ის, რომ უნივერსიტეტში სწავლის რამდენიმე წლის განმავლობაში, იმაზე მეტად არაფერი მინდოდა, ჩემი ჩართულობით გაზეთი ან ჟურნალი გამოსულიყო. ჰოდა, რადგან პანდემიის გამო ამის საშუალება ბაკალავრიატში სწავლის დროს არ მომეცა, მაგისტრანტობისას ამ შანსს ხელი ძლიერად ჩავჭიდე და ისე ჩამოვეკონწიალე, კაციშვილი ვერ გამაშვებინებდა. იდეის გაჩენიდან ორი კვირის შემდეგ პაატა ნაცვლიშვილის სახელოსნოს კარი შევაღე და გაზეთის კეთების პროცესში გადავეშვი.

გურანდუხტ გოგოლაძე (მეორე კურსის სტუდენტი): „ეს არ ჰგავდა იმას, რაც მეორე კურსზე ბეჭდურ მედიასა და ქართულ პრესაში ვისწავლეთ. სალექციო კურსის დროს გაზეთის განხილვას და მასზე წერას სულ სხვა სპეციფიკა აქვს, სტუდენტურ გაზეთზე მუშაობას — სულ სხვა. იქ თუ ჩვენ ჟურნალისტების ნამუშევრებს ვაფასებდით და განვიხილავდით, აქ ჩვენ ვიყავით ჟურნალისტები. ჩვენ ვწერთ, სხვები გვაფასებენ“...

იმ ეპოქაში, სადაც ტელევიზია პრიორიტეტად გვიქცევია, ეკრანს მივჩერებივართ, ინტერნეტს გამოვკიდებივართ, ყველამ უნდა იცოდეს, რა უპირატესობა აქვს ბეჭდურ მედიას. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ტექსტზე მუშაობა პროფესიის საფუძველია, რომელიც ყველა ჟურნალისტს უნდა ჰქონდეს, რომელ მედიაშიც არ უნდა მუშაობდეს — პრესაში, რადიოში, ტელევიზიასა თუ ინტერნეტში. ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ ტექსტი, რომელსაც ჩვენ ვწერთ, ჩვენი სახეა. ისაა, რაც გვაჩვენებს, ვიცით თუ არა წერა-კითხვა. გაზეთი ბავშვია, რომელიც შენს ხელში იბადება, იზრდება და ყალიბდება. მერე ეს ბავშვი საუბრობს იმ სიტყვებით, რომელსაც აქვს ძალა. ჰოდა, გაზეთზე მუშაობის პირველივე კვირებში მივხვდით, რა გვჭირდებოდა ყველაზე მეტად: ჩვენ უნდა გვეპოვა სიტყვა, სტილი და „ხმა“, რომელიც ერთმანეთისგან განგვასხვავებდა. ეს იყო პირველი წინაღობა, რომელსაც თემების არჩევის შემდეგ შევასკდით, რადგან ისედაც დაბნეულმა სტუდენტებმა ერთმანეთის ენაზე დაიწყეს საუბარი.

ანა ურდულაშვილი: „გაზეთზე მუშაობის პროცესში ვისწავლე, როგორ დამეწერა ყველაფერი თანმიმდევრულად და მომეძებნა წერის ის სტილი ან ხერხი, რომელიც ჩემია და სხვისას არ ჰგავს“...

რამდენიმეკვირიანი მუშაობის შემდეგ, ტექსტები დაიხვეწა. გაქრა უადგილო სასვენი ნიშნები, შეუფერებელი სიტყვები და წინადადებები, ამბები შეიკრა და საბოლოოდ ერთ მთლიანობად იქცა. ამას მოჰყვა ტექსტისთვის შინაარსითა და ხარისხით შესაფერისი ფოტოების მოძიება, დისკუსია იმაზე, თუ მკითხველთა თვალისთვის რომელი უფრო უკეთესი იქნებოდა. მერე ხელმძღვანელმა შანსი მოგვცა და დაიწერა წარდგენის ტექსტები, რომლითაც მკითხველი, ასე თუ ისე, გაიცნობდა თითოეულ ჩვენგანს. ტექსტის ავტორზე თუნდაც უმნიშვნელო ინფორმაციის ცოდნა მის ნაწერს უფრო მომხიბლავს, საყურადღებოსა და საინტერესოს გახდიდა.

თინათინ ლობჯანიძე (მეორე კურსის სტუდენტი): „ყველას ჩვენ-ჩვენი საქმე გვქონდა გადანაწილებული. მე ფოტოების შერჩევა დამევალა. ცხადია, გამიხარდა, რადგან ფოტოგრაფია ძალიან მიყვარს. ვცდილობდი, საუკეთესო ფოტოები ამერჩია. გაზეთის მთავარი ღირებულება ტექსტია, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ხარისხიანი და გამორჩეული, ინფორმაციული და ამავე დროს ემოციური ფოტო“...

მარიამ მოთიაშვილი (მეოთხე კურსის სტუდენტი): „გაზეთის შიდა სამზარეულოში ჩახედვის საშუალება მოგვეცა, რაც გულისხმობდა იმის ცოდნას, თუ როგორ იქმნება და როგორ სწორდება ტექსტები. აქ შეცდომა არ უნდა იყოს დაშვებული. არც სინტაქსური, არც მორფოლოგიური, არც ორთოგრაფიული. არ შეიძლება გაგეპაროს უფუნქციო ფრაზები, არ შეიძლება გაგეპაროს აზრობრივად გაუმართავი წინადადებები“...

თათია მექერიშვილი (მეორე კურსის სტუდენტი): „ჩვენ ერთი მიზანი გვაკავშირებდა და მივაღწიეთ იმას, რამაც გაგვაერთიანა. გაზეთში მკითხველი იხილავს ტექსტებს, რომლებიც ათასჯერაა ჩვენ მიერ გადაკითხულ-გადამუშავებული“...

საერთო საქმეზე ერთობლივ მუშაობას ერთი პრიორიტეტი აქვს: სხვების მოსმენას, გათვალისწინებას და მათ ენაზე საუბარს ეჩვევი. ერთმანეთში ინაწილებთ მეტად ინტიმურ მომენტს — ერთმანეთის ტექსტებს. მუშაობის პროცესში მარტო ტექსტი კი არა, შენც იცვლები. უკეთესი და უკეთესი ხდები. საკუთარ შეცდომებს აანალიზებ და უკვე მითითებამდევე ხვდები, რა გაქვს გამოსასწორებელი.

ნინი ძაძამია (მეოთხე კურსის სტუდენტი): „ამ დროის განმავლობაში მე ჯგუფური მუშაობის გამოცდილება შევიძინე. მეტად გავიაზრე ის სერიოზულობა, რომელიც მკითხველისთვის გასაზიარებელ ტექსტს ახლავს თან. ვისწავლე ბევრ ჩანაწერს შორის უკეთესის გამორჩევა, როცა ცალკე თითოეული მათგანი, შეიძლება, ძალიანაც კარგი იყოს“...

მარიამ ზაქარიძე (მეორე კურსის სტუდენტი): „მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ერთი წელია, რაც გაზეთებს ახლოდან გავეცანი, მხოლოდ ახლა გავაცნობიერე, რა შრომას მოითხოვს თუნდაც ერთი საგაზეთო მასალის შექმნა“...

რედაქტორობის მოკლე პერიოდში მივხვდი, რომ სიტყვა, რომელსაც მართლა დიდი ძალა აქვს, საბოლოოდ, მაინც შენს ხელთაა. ჰოდა, შენვე გადაწყვეტ, საით მიმართავ მას.

გვანცა ექიზაშვილი,
რედაქტორი

ნომერზე მუშაობდნენ:
ლალო ბერია, გურანდუხტ გოგოლაძე, გვანცა ექიზაშვილი (რედაქტორი),
მარიამ ზაქარიძე, თინათინ ლობჯანიძე (ფოტო რედაქტორი), თათია მექერიშვილი,
მარიამ მოთიაშვილი, ანა პირველი, სალომე სვანიძე, ანა ურდულაშვილი, ნინი ფერაძე,
ანა შამათავა, ლიზი ჩიმჩიური (რედაქტორის მოადგილე), ნინი ძაძამია.

ხელმძღვანელი: პროფესორი პაატა ნაცვლიშვილი.

ლიზი ჩიმჩიური:
რამდენიმე წელია გადავწყვიტე, ვიდგე ხალხის სამსახურში, ვწერო და ვთქვა სიტყვა, რომელიც შეცვლის დღევანდელ რეალობას. ამ პატარა, გამხდარ, ყველასათვის სუსტ, თუმცა სინამდვილეში ძლიერ გოგონას, კონფლიქტრეპორტიორობა მინდა. სწორედ ამიტომაც დავიწყე რუსეთ-უკრაინის ომის თემაზე სხვადასხვა ინფორმაციის მოძიება და შემდგომ პარალელების გავლება.
ვფიქრობ, დაგაინტერესებთ ჩემი ოპუსი და სხვა თვალით დაგანახებთ თანამედროვე სამყაროს პრობლემას. მე ლიზი ჩიმჩიური ვარ, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი, თუმცა საკმაოდ ამბიციური.

მინდა, ეს ყველაფერი მალე ჩაბარდეს წარსულს

მომავალი ჟურნალისტისთვის ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი ალბათ ის თემაა, რომელზეც მან პირველად იმუშავა. ჩემთვისაც ასეა: მუდამ მემახსოვრება პირველი თემა, პირველი რესპონდენტი და პირველი მასალა. თავიდანვე საკმაოდ რთულ თემას შევეჭიდე, თუმცა ესეც იმიტომ, რომ ყველაზე მეტად სწორედ ის საკითხი მაინტერესებდა, მაწუხებდა და ემოციურადაც ძალიან ახლოს იყო. მუშაობა დავიწყე ომის სისასტიკეში ჩაფლული უკრაინის მოვლენებზე, უდანაშაულო ადამიანების თვალით დანახულის მიხედვით.

2008 წლის აგვისტოს ომის დროს ძალიან პატარა, სულ რაღაც ხუთი წლის ვიყავი. არასდროს დამავიწყდება მატარებლის კადრები. მე და დედა ქალაქგარეთ ვიყავით, როდესაც ომი დაიწყო და სასწრაფოდ თბილისში უნდა დავბრუნებულიყავით. დღემდე არ ვიცი, ასე რატომ მოვიქეცით, მაგრამ სულ მახსენდება ის წუთები, როდესაც მატარებლით გორში მოგვიწია გავლა. ის კადრები საშინელებათა ფილმს ჰგავდა. ხუთი წლის ბავშვი, ჩემთვის ვერთობოდი ერთ-ერთ მგზავრთან და უეცრად მოდის ქალი. მაჩუმებს. დედასთან მივყავარ. ყველაფერს თიშავენ. მთელ მატარებელში სიჩუმე ჩამოწვა, შუქები ჩაქრა. დედა მეხუტება და ცდილობს, თვალებსა და პირზე ხელი ამაფაროს. ჩვენ ჩამოვედით, თუმცა ის დღე არასდროს დამვიწყებია.



2022 წლის 24 თებერვლიდან მოყოლებული მთელი მსოფლიოს ყურადღების ეპიცენტრში უკრაინა აღმოჩნდა. ძალიან ბევრს საუბრობდნენ და საუბრობენ ამ ომზე, თუმცა თითქოს ყველაზე მეტად მაკლია ის ადამიანური ამბები, რომელიც თითოეული ომგადატანილი პირის გონებასა თუ გულში მუდამ იარსებებს.

მაშინ, როდესაც იქიდან ჟურნალისტები გამოჰყავდათ და მაშინ, როდესაც ომის კადრები სისასტიკის მწვერვალებს იპყრობდნენ, უკრაინაში წასვლის დიდი სურვილი გამიჩნდა. თუმცა მეორეკურსელს იქ მოვლენების გასაშუქებლად და ნიუსების გადმოსაცემად არავინ გამიშვებდა, ამიტომ გადავწყვიტე, ინტერვიუებით, სხვადასხვა სტატიის საშუალებით მომეპოვებინა ინფორმაცია, რომლითაც ცოტათი მაინც შევივსებდი სიცარიელეს.

ერთ-ერთ საიტზე აღმოვაჩინე პატარა სტატია, რომელსაც „ბუჩას ახალი სიცოცხლე“ ჰქვია. ამბავი ჩვეულებრივ ადამიანზეა, რომელმაც სასიხარული დეტალი შესძინა უკვე ყველასათვის ცნობილ, დანგრეულ ქალაქს — ბუჩას. ომის დროს ხომ ყველა ცდილობს, ან ბოლომდე, სიცოცხლის რისკის ფასად იბრძოლოს, ან გაიქცეს და საკუთარი თუ ახლობლების სიცოცხლე გადაარჩინოს. ბევრიც გარბის, მაგრამ ზოგში უფრო მეტი სიმამაცეა და ომის სისასტიკეს წინ აღუდგება. სწორედ ასეთი ყოფილა ბუჩაში დარჩენილი ერთადერთი ექიმი-თერაპევტი. გაზის, შუქისა და თბილი წყლის გარეშეც კი ირინა ექიმი ცდილობდა, ყველას დახმარებოდა. ინტერნეტგამოცემასთან ინტერვიუში ორსულის ამბავიც გაიხსენა: *„როდესაც გავიგე, რომ ჩვენთან ორსული ქალი იმყოფებოდა, თან ორმოცი კვირისა, უეცრად შევკრთი. წლების წინ კი მსურდა გინეკოლოგობა, თუმცა ჩემი ცხოვრება სხვაგვარად წარიმართა. მშობიარეს უნდა დავხმარებოდი როგორც შევძლებდი და ვთქვი: „ვიმშობიარებთ, სიმშვიდე შევინარჩუნოთ.“* ასე დაიბადა პატარა გოგონა.

სწორედ ასეთმა პატარ-პატარა თავგადასავლებმა უკრაინელებს უკეთ გააცნობიერებინა, რომ მათთვის ცხოვრება ორად გაიყო: ომამდელი სამშობლო და ომის შემდგომი. ორსულს ყველანაირი არჩევანი გაჰქრობოდა. ისღა დარჩენოდა, უშუქობაში, უწყლობაში, გამყინვარებაში საკუთარი შვილის გადარჩენისათვის ებრძოლა.

პატარაობაში, როდესაც ოჯახში 2008 წლის აგვისტოს ომს იხსენებდნენ გავიგე, რომ ჩემს სოფელში, ფცაში, ომის დროს საშინელებები ხდებოდა: სოფელში შეიარაღებული დაჯგუფებები შეჭრილან, დაუწყიათ ადამიანების ძარცვა, გატაცება. ჩემი დიდი ბებია და ბაბუა საკუთარ საცხოვრებელს არ მოშორებიან. როგორი რთული იქნებოდა მაშინ ჩემი ოჯახისთვის და შემდეგ 2022-ში ბევრი უკრაინელისთვის, ლოდინი და იმაზე ფიქრი, როდის გაიგებ რაიმე ამბავს ახლობლებზე. მთავარია, ეს ამბავი სიკვდილს არ ეხებოდეს.

რამდენიმე დღის წინათ, ერთ უკრაინელ ბიჭს დავუკავშირდი, მსურდა მასთან გასაუბრება, თუმცა დიდად მოლაპარაკე არ აღმოჩნდა. არა, არ გეგონოთ, რომ ბუნებით ასეთია, მას უჭირს იმ ყველაფრის გახსენება, რაც საკუთარი თვალით ნახა. დმიტრი კირიჩენკო თავის ოჯახთან ერთად 26 თებერვალს სახლში იმყოფებოდა, როცა საშინელი აფეთქების ხმა გაუგია. მთელი კორპუსი ზანზარებდა. მათი მთავარი „მშველელი“ სარდაფი აღმოჩნდა. ყველანი იქ გაიქცნენ და სიტუაციის შემსუბუქების შემდეგ მივიდნენ იმ კორპუსთან, რომელსაც ესროლეს. იქ 46 წლის მამაკაცი თავის 12 წლის შვილთან ერთად ცხოვრობდა. ბავშვი გადარჩა, თუმცა დაობლდა. ამ ამბის შემდეგ, დმიტრიმ ოჯახთან ერთად ერთი თვე გაატარა სარდაფში. შიშის გრძნობა დიდი ხნის განმავლობაში მოსვენებას არ აძლევდა.

ჩემთვის რუსეთ-უკრაინის ომზე სხვადასხვა ამბის მოსმენა ან წაკითხვა სულაც არ იყო და არის მარტივი. მაშინვე წარმოვიდგენ ჩემს თავს თითოეული დაზარალებულის ადგილზე.

ინტერნეტში ფსიქოანალიტიკოს ალექსანდრა კვიტკოს ეწერა: „ერთმა გოგონამ მითხრა, რომ კაცებს აღარასოდეს შეიყვარებს“. ამ ერთ წინადადებაზე ბევრი, ძალიან ბევრი ვიფიქრე. ალექსანდრა იხსენებდა, რომ ერთ საღამოს ტელეფონზე დაურეკა ატირებულმა გოგონამ, რომელიც ყვიროდა: „მე დამნაშავე ვარ“... გოგონამ უამბო, რომ დედისთვის ყვავილების მოსაკრეფად გასულა გარეთ, სადაც უცნობი მამაკაცები შენიშნა. ისინიც მიუახლოვდნენ და სხეულზე უშნოდ დაუწყეს შეხება. შემდეგ გოგონას აღარაფერი ახსოვდა. დედას უპოვია გულწასული, საკუთარი სახლის ეზოში. ვინ იცის, რამდენი ასეთი შემთხვევა იქნება. მხოლოდ ბუჩაში დატრიალებულ ტრაგედიასაც კი შეუძლია გვითხრას: ომი არავის დაინდობს.

2022 წელს უკრაინაში ბოლო ზარი ჩვეულებრივი ფორმატით არავის ჰქონია, ზოგს საერთოდაც არ ჰქონდა. ხარკოვის 134-ე სკოლის მოსწავლეებმა ოკუპანტების მიერ განადგურებული სკოლის შენობასთან სიმბოლური ვალსი იცეკვეს. ომმა მართლაც ყველაფერი შეცვალა და გადააფასა. აქამდე ყველას ლამაზი კაბები სურდა, კარგი გასართობი ადგილები. ახლა კი აბიტურიენტები შავებში იყვნენ გამოწყობილები... ერთ-ერთმა ასეთმა ახალგაზრდამ თქვა: „ჩემი სახლი სკოლიდან 500 მეტრშია, სროლის ხმა გავიგე და მამაჩემთან ერთად სახლის მეორე სართულზე ავედი, შემეშინდა... დავინახე დამპყრობლები, დანგრეული სკოლა, რომელიც დღეს უნდა დამემთავრებინა...“

ომგამოვლილ ბავშვებზე ხშირად მეფიქრება. მგონია, რომ ომში ნაადრევად გაზრდილ ბავშვებს ბავშვობა არ ექნებათ. მათი თვალით დანახული ომი ხომ სულ სხვანაირია.

ომის დროს ბავშვები ყველაზე მეტად ზარალდებიან — ტრავმა, რომელიც მთელი ცხოვრება რჩება, ვისთან როგორ დაილექება, — არავინ იცის. ვრცელდება ძალიან მძიმე ვიდეორგოლები დაღუპულ, მშობლების გარეშე დარჩენილ ბავშვებზე. მშობლებზე, რომლებიც კარგავენ თავიანთ შვილებს. ქალებზე, რომლებსაც საშინელ პირობებში უწევთ მშობიარობა. დაბომბილ საბავშვო ბაღებზე, სკოლებზე, უნივერსიტეტებზე. ბუნებრივია, ამ მოვლენებს არა მხოლოდ ფიზიკური, ფსიქიკური მდგომარეობის კუთხითაც ძალიან ნეგატიური გავლენა აქვს ბავშვების განვითარებაზე. თუმცა, ამაზე არავინ ფიქრობს.

ომის დაწყებიდან მალევე ერთი პატარა ბიჭუნა შემხვდა. ის უკრაინიდან იყო. თვითონაც და დედამისიც არაფერს მეუბნებოდნენ, არადა ვცდილობდი მათთან კომუნიკაციას. მინდოდა, დავხმარებოდი. ბავშვმა თავისი ნახატები მაჩვენა და ამიხსნა, რა რას ნიშნავდა. ერთ-ერთი ნახატისთვის მიეწერა: „მხოლოდ მშვიდობა და არა ომს!“ დაახლოებით, 5-6 წლისა იყო. მერე ადგა და გაიქცა. ასეთი პატარები ასე რატომ უნდა იტანჯებოდნენ-მეთქი, — ჩავფიქრდი. ის კიდევ ნორმალურ მდგომარეობაშია, რადგან საქართველოში კარგად მიიღეს, მაგრამ ბავშვები, რომლებიც ბუნკერებში იმალებიან და არ იციან, სად ეძებონ ან ახლობელი, ან საჭმელი, წყალი... ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ არ იციან, სად იპოვონ მშვიდობა...

ბავშვობაში მეგონა, რომ ომი სადღაც ძალიან შორს ხდება. მშვიდობიან მოსახლეობას არავინ ეხება და მხოლოდ სამხედროები იბრძვიან. ახლა უკეთ ვიაზრებ ომის მთელ სისასტიკესა და დაუნდობლობას.

•••

ახლა 2022 წლის ზაფხულის ჩვეულებრივი დილა თენდება, ჩიტების ჭიკჭიკი ჩემს ფიქრებში მაბრუნებს. ყველაზე მეტად სწორედ ამ დროს შემიძლია ჩემს თავთან განმარტოება. ვფიქრობ, რა იქნება მომავალში და მინდა, ისტორიას დარჩეს ეს ჩემი პატარა ჩანახატი, რომელიც რეალურ ამბებზეა დაყრდნობილი.

ლიზი ჩიმჩიური

ანა შამათავა:
მე ვარ ანა შამათავა, აფხაზეთიდან. ჟურნალისტიკის მეორე კურსის სტუდენტი, ყოფილი მოცეკვავე და ფრენბურთელი. ე. წ. საზღვრის გადაკვეთის დროს ყოველთვის ვიქცევდი რუსი მესაზღვრეების ყურადღებას ქერა, ხვეული თმის გამო, თუმცა არ იცოდნენ, რომ ამ საყვარელ გოგონას სულით ხორცამდე სძულდა ისინი. მიყვარს ადამიანებთან კომუნიკაცია. არ მიყვარს რადიკალიზმი, რომელსაც ადამიანები ხშირად კონფლიქტამდე მიჰყავს.

ანა პირველი:
2002 წლის 3 აპრილს დავიბადე თბილისში. მყავს დედა, მამა, ორი ძმა და კატა – კოტე. 2020 წელს ჟურნალისტიკაზე ჩავაბარე. უნივერსიტეტში ბევრი კარგი ადამიანი გავიცანი. ადამიანში ყველაზე მეტად სამართლიანობას და ერთგულებას ვაფასებ. ყველანაირად ვცდილობ, საკუთარი ცუდი თვისებები დავმალო და თავიდან მოვიშორო. წელიწადის დროებიდან გამორჩეულად ზაფხული მიყვარს. ყოველ წელს მე და ჩემი მეგობრები ბათუმში მივდივართ დასასვენებლად. მართალია, თბილისში დავიბადე, მაგრამ ბათუმი განსაკუთრებულად მიყვარს. დიდი იმედი მაქვს, ყველა სურვილსა და ოცნებას ავისრულებ.

აღარ მსურს დროში მოგზაურობა

რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის ექო

იდუმალებით მოცულ ქალაქის ჩამონგრეულ შენობებს ახლაც დენთის სუნი ასდით, ხავსი ბზარებს მოსდებია, მაგრამ არც აქაურობა იცვლება და არც იმ უიმედობის შეგრძნება, ამ შენობების შემხედვარეს დროს რომ მეუფლება ხოლმე. ნეტავ, თუ დაიწყება ამ ისტორიის დასასრული...

მდინარე ენგური ჩემი სახლის ირგვლივ პატარა ნახევარკუნძულს ქმნის. სწორედ მის კვალდაკვალ გაინაწილეს ჩვენმა წინაპრებმა მიწები. ბევრჯერ მინატრია ენგურის არარსებობა. თითქოს ის თუ არ იარსებებდა, გაქრებოდა საზღვარი და ძილისწინ ჩაფიქრებული ნატვრა ამიხდებოდა. არ ვიცი, მერამდენე 27 სექტემბერი უნდა გავიდეს. არც ის ვიცი, შემრჩა თუ არა იმედი, მაგრამ იქაურობის, სახლისა და მთებში მოქცეული შავი ზღვის სურნელის მონატრებას რომ ვეღარ ვუძლებ, ცხადია.

მთელი ბავშვობა აფხაზეთში გავატარე იმის შიშით, რომ შემდეგ ზაფხულს ვეღარ შევძლებდით სახლში დაბრუნებას. გავიდა დრო და რეალობას თვალი გავუსწორე. თურმე შეიძლება იცხოვრო 2022 წელს თბილისში და იმოგზაურო წარსულში, სადაც უკვე დიდი ხანია დრო გაჩერდა.

ჩემი ოჯახის წევრები იმ მცირერიცხოვან ლტოლვილთა შორის არიან, რომლებიც ომის შემდეგ აფხაზეთში დაბრუნდნენ. საზღვრის მარჯვენა მხარეს მდებარეობს სოფელი საბერიო, მთებს შორის მოქცეულ პატარა სოფელს კი ჩეღალი ჰქვია. სიტყვა „ჩეღალი“ მეგრულად თეთრ მდინარეს ნიშნავს, თითქოს ენგურის ადგილმდებარეობას მიანიშნებსო. სულსაც მივცემდი სამყაროს ამ ადგილის გასათავისუფლებლად.

როდესაც მეკითხებიან – რომელი კუთხიდან ხარ? მეც პასუხს არ ვაგვიანებ და ვეუბნები, რომ აფხაზეთიდან. ამ დროს ადამიანის თვალებში სევდას ვხედავ, მაგრამ, როგორც კი ვამბობ, ჩავდივარ და ზაფხულის არდადეგებს ხშირად იქ ვატარებ-მეთქი, თვალები უნათდებათ. შემდეგ მთხოვენ, აღვუწერო, თუ როგორია ჩემი სახლი დღეს. მთელი ბავშვობა ენგურჰესის მოპირდაპირე სახლში გავატარე. იგი მთლიანად გარშემორტყმულია ბამბუკებით, სახლის ქვემოთ მდინარე ენგური მიედინება. ეზოში ორსართულიან სახლთან მეგრული ოდა და ფაცხა დგას. განსაკუთრებული მოგონებები ჩემი სახლის ჭიშკართან მაკავშირებს. არა, კარგ კი არა, ცუდ მოგონებებთან. როგორ შეიძლება, საკუთარი სახლის კარი ცუდ მოგონებებთან ასოცირდებოდეს? როგორ და აი, ასე:

გარდამტეხი მომენტი ჩემს ცხოვრებაში ერთმა ფაქტორმა განაპირობა, შეიძლება ბავშვობაში ბევრი ესაუბრებოდა ხეებს, მაგრამ მე სულ სხვა მიზეზით დავიწყე საუბარი მათთან. ერთ დღეს თამაშის დროს ჭიშკართან დაბურულმინებიანი მანქანა შევამჩნიე. ჩვენი სახლი ისეთ ადგილზეა ჭიშკართან, განზრახ თუ არ მოდიხარ, გზა ვერ მოგიყვანს. ვიფიქრე, სტუმრები იქნებიან, წუთი-წუთზე გადმოვლენ, მივეგებებით-მეთქი და თითქოს რაღაცამ გამაშეშა. ჩემი სტუმართმოყვარეობა სადღაც გაქრა. მივხვდი, რომ მანქანაში მჯდომი ადამიანები გადმოსვლას არ აპირებდნენ. როგორც კი მანქანა დაიძრა, იმწამსვე გავიქეცი ოჯახის წევრებთან. ნაამბობი ჩემ ფანტაზიას მიაწერეს. ორი დღის შემდეგ სოფელში ერთდროულად ოთხი ოჯახი გაძარცვეს. ჩვენი ჯერი რომ დადგა, ყაჩაღებს ავი ძაღლის ამბავი გაუგიათ. მეზობელს შვილიშვილის მოკვლით დაემუქრნენ და აიძულეს, ჩვენს კარებთან მოსულს კბილის ტკივილი მოემიზეზებინა, რათა ბაბუას ძაღლი დაება. ბაბუ ასეც მოიქცა, ღამით მეზობელს წამლის გარეშე ხომ არ დატოვებდა.

კარის გაღება და ექვსი შეიარაღებულის ხეებიდან გამოსვლა ერთი იყო. კარგად დამამახსოვრდა ერთ-ერთის ცივი მზერა, მგელს მოგაგონებდათ. მძინარე ბავშვები წამოგვყარა და სკამზე დაგვაბა. ნიკა, ჩემი მამიდაშვილი, ოთხი წლით უფროსია ჩემზე. დედა მაშინ გარდაეცვალა, თავად ქვეყანას რომ მოევლინა. დღემდე ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მე გავზარდე. მძარცველებს დავუყვირე: ჩემთან მოდით, ხელი არ დააკაროთ ჩემს ძმას-მეთქი. ყველაზე მეტად ბაბუას დანახვა მინდოდა, ბაბუ ხომ ყველზე ძლიერია. ისეთი ძლიერი, რომ მთელი ბავშვობა მამასაც კი ეშინოდა მისი. არასდროს დამავიწყდება

სურათებზე: ენგურის ხიდი აფხაზეთის ეგრეთწოდებულ საზღვართან (ზემოთ); ავტორის ბაბუა – ჯუმბერ შამათავა თავის ეზოში.

მხსნელის მოლოდინში უძლური ბაბუს დანახვა. შვილმკვდარი მამა, რომელსაც შვილიშვილების სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდნენ.

გარდამტეხი მომენტიც სწორედ ესაა. ამ დღეს მივხვდი, რომ იმ წუთიდან აღარაფერი იქნებოდა ისე, როგორც ადრე იყო...

მძარცველებმა გაიტანეს ყველაფერი, რისი წაღებაც შეეძლოთ. წაიღეს გაუხსნელი კომპიუტერი, მამამ წინა დღეს რომ გვიყიდა. ფაცხაში შესაბოლად გამზადებული სულუგუნიც კი ხელს გააყოლეს. ბაბუას მანქანა დატვირთეს და დაუბარეს, მანქანას ტყეში დავტოვებთო, რადგან იცოდნენ, რომ მხოლოდ ბაბუს ჰყავდა ასეთი მანქანა. თუმცა ისეთი სულელები აღმოჩნდნენ, ტელეფონებიდან ბარათების ამოღება დაავიწყდათ და რამდენიმე თვის შემდეგ მივაგენით. 30 წელი მიუსაჯეს. თურმე მაშინ ჭიშკართან რომ დავინახე, სახლს ათვალიერებდნენ და ტყეში ორი ღამე თვალთვალში გაათენეს. ამიტომ ვესაუბრებოდი მთელი ბავშვობა ხეებს, რადგან მეგონა, რომ ვიღაც ისევ გვითვალთვალებდა.

იმ დღის შემდეგ, გაძარცულ სახლებში ოჯახის უფროსებს იარაღთან ერთად სძინავთ.

ბავშვობიდან დღემდე ჩემთვის ორი ნატვრა არსებობს: დამავიწყდეს ის საშინელი დღე, რომელმაც ჩემი ოჯახის ცხოვრება შეცვალა და გამთელდეს სხვებისთვის ჩატეხილი ხიდი, რომელიც მხოლოდ საზოგადოების ხიდჩატეხილობას არ გულისხმობს. ეს ყველაფერი უკვე დროში მოგზაურობას ჰგავს. ჰოდა, ვამბობ, რომ აღარ მინდა დროში მოგზაურობა.

ანა შამათავა

ყველაფერი კარგად მახსოვს

„9 აგვისტოს რუსულმა და აფხაზურმა ძალებმა მეორე ფრონტი გახსნეს კოდორის ხეობაზე თავდასხმით და დასავლეთ საქართველოს შიდა ტერიტორიებში შეიჭრნენ. ხუთდღიანი მძიმე ბრძოლის შემდეგ, ქართული ჯარები განდევნეს ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონებიდან.“

2008 წლის აგვისტოს ომი, დარწმუნებული ვარ, თითოეული ქართველისთვის სევდის მომგვრელია. ის ტკივილი, რომელსაც ამ თარიღის ხსენებისას განვიცდით, 2008 წელს იძულებით გადასახლებულ ადამიანებს გვეხება. 6 წლის ვიყავი. სიტყვა „ომის“ მნიშვნელობა არ მესმოდა. ყოველ ზაფხულს მე და ჩემი ოჯახი კოდორის ხეობაში, გენწვიშში ვატარებდით. სოფელში წასვლა განსაკუთრებით მე და ჩემს ძმებს გვიხაროდა, რადგან სოფელში ბებია და ბაბუა გველოდებოდნენ.

პატარა ვიყავი, მაგრამ ყველაფერი კარგად მახსოვს. ჩემი სახლი, ეზო და ჩემი სოფელი. ყველა ბავშვისთვის სოფელი განსაკუთრებულ მოგონებასთან ასოცირდება, ჩემთვისაც ასე იყო. სიტყვებით ვერ აღვწერ, როგორი სილამაზე მხვდებოდა იქ. ეზოში ორი სახლი და პატარა სამზარეულო გვედგა. ხეხილით გაშენებული დიდი ეზო გვქონდა. ერთ-ერთ სახლს „ლარდას“ ვუწოდებდით. ამ სახლში ყოველთვის სტუმრებს ვაბინავებდით. როდესაც სოფელში ჩავდიოდით, მამა ფუტკარს უტრიალებდა, წელიწადში 400-500 კილოგრამი თაფლი მოდიოდა, თუმცა უგზოობის გამო რეალიზაციას ვერ უკეთებდა.

ჩვენი სახლი აეროპორტის წინ მდებარეობდა. აეროპორტს ქართველი ჯარისკაცები იცავდნენ. ერთხელ ჯარისკაცს კენჭი ვესროლე და ახლაც კარგად მახსოვს, მეგობრებს როგორ გადასძახა, ბიჭებო, გვბომბავენო. შემეშინდა და სახლში გავიქეცი.

9 აგვისტოს სოფელში რუსი სამხედროები შემოვიდნენ. მამიდაჩემმა შენიშნა რუსების თვითმფრინავი. იმ ღამეს ყველამ ერთ ოთახში დავიძინეთ, მეორე დღეს კი სარდაფში დავიმალეთ. მაშინ დაიწყო ჯოჯოხეთი. ყველანი შეშინებულები ვიყავით. არავინ იცოდა, სად უნდა წავსულიყავით, გადავრჩებოდით თუ არა. მოგვიანებით, სატვირთო მანქანით ქუთაისში გადაგვიყვანეს. მანქანებმა ყველა ვერ დაიტია და ზოგი ადგილზე დარჩა. ერთი ხელი ტანსაცმლის ამარა წამოვედით სახლიდან. ხელში წყლის ბოთლიც არ გვეჭირა.

სატვირთო მანქანაში ერთმა მოხუცმა ქალმა თბილი წვენი მომაწოდა და მითხრა, არ იტირო, მალე სახლში დავბრუნდებითო. მე იმ თბილი წვენის გემო დღემდე მახსოვს და ვერ აღგიწერთ, როგორ მანუგეშა მაშინ ამ ყველაფერმა. ქუთაისში პირველი ღამე ქუჩაში გავატარეთ. მახსოვს, შენობის წინ უამრავი ადამიანი იწვა ასფალტზე. მერე ახლობლებმა შეგვიფარეს და თავშესაფარიც მოგვცეს. ასეთი შიშითა და ტკივილით დავტოვეთ სახლ-კარი. ბომბებისა და შიშის მიუხედავად, ზოგი საკუთარი ნებით დარჩა მშობლიურ მინაზე.

გენწვიშელი ფედოსია სამსიანი იხსენებდა: „ომის შემდეგ მე და ჩემმა მეუღლემ უღელტეხილი გამოვიარეთ ფეხით, თანაც ორჯერ, საქონელი მაინც რომ გამოგვეყვანა. მახსოვს, ისე წვიმდა, ვიყინებოდით. ერთ ღამეს ცეცხლი ავანთეთ, ხეს შევეფარეთ, სულ სველი ვიყავი, ძლივს გავშრით. როცა ცა განათდა, განვაგრძეთ სიარული, ძლივს ჩავაღწიეთ ქალაქამდე და საქონელი სულ კაპიკებში გავყიდეთ, ფული რომ გვეშოვნა.”

ვალერი შუკაკიძესაც მოუხდა ამ ომის ქარცეცხლში მტერთან შებრძოლება. ის გადარჩა, თუმცა მისი მეგობრები იქ დარჩნენ სამუდამოდ. „ამ ომმა ბევრი კარგი თანამებრძოლი დამაკარგვინა. დღე არ გავა, რომ ცრემლი არ წამომივიდეს ბიჭების გახსენებისას. მომღიმარი სახით იწვნენ გაუნძრევლად, თითქოსდა რაღაც ბედნიერებას ეწიენო. სულ ახალგაზრდა ბიჭები, რომლებთან ერთადაც წვრთნას გავდიოდი და ერთად ვიცინოდით, ერთად ვქეიფობდით, დღეს კი ცივ მიწაში წვანან, მაგრამ მათი სისხლი ტყუილად არ დაღვრილა“...

როდესაც მამამ ქუთაისში დაგვტოვა, თვითონ სოფელში დაბრუნდა. იმედი ჰქონდა, თავის მიწას და ეზოს დაიცავდა, მაგრამ სახლი, ეზო და მამას ფუტკრები განადგურებას ვერ გადაურჩნენ.

ხშირად ამბობენ: „რუსმა ხალხმა რა დაგიშავა?“ ან „მტრის ენა უნდა იცოდე“. მე არ ვარ ვალდებული, სიყვარულს ვგრძნობდე მათ მიმართ, ვინც საკუთარ მიწას მომაცილა, საკუთარი სახლი წამართვა და მე და ჩემთვის ძვირფას ადამიანებს ცრემლი, ტკივილი და მხოლოდ ცუდი მოგონება დაგვიტოვა.

ანა პირველი

სურათზე: ტექსტის ავტორი ბაბუას – რეზო ჯაფარიძის მუხლებზე და მისი ძმები – გოგა (მარცხნივ) და ბექა.

გვანცა ეძიზაშვილი:
ერთი რამ მინდოდა ყოველთვის: კალამთან შემძლებოდა ურთიერთობა. ჰოდა, როცა 11 წლისამ ფურცელს პირველად გადავუსერე გული, მივხვდი, სხეული მელნით მომეწამლა. ცხოვრების იმ ეტაპზე, როცა მაგისტრატურას მიღწეული დავფიქრდი და მივხვდი, სიახლეები ახლა ნაკლებად გამაკვირვებდა, ისეთი რაღაც აღმოვაჩინე, რამაც წარმოდგენები შემიცვალა. თურმე სრულიად შესაძლებელია, რომ წარსულს შემორჩენილი ამბავი ბევრისთვის სიახლედ აქციო და წლების შემდეგ რეალობაში გადმოიტანო. მე გიამბობთ ამბავს, რომელიც უნდა იცოდეთ.

იმედის სიმბოლო ანუ უცნობი ჯარისკაცი

სამზარეულოში მე და დედა ვსხედვართ. ცხელა. ლამისაა სტუმართმოყვარე კარივით შეხსნილი ტანსაცმელი შემოვიგლიჯო და ზაფხულს ზამთრამდე გავატანო. ვერ ვიტან სიცხეს და კიდევ უფრო ვერ ვიტან, ტემპერატურის ცვლილებას რომ ვერაფერს ვუხერხებ. ჰოდა, ვსხედვართ მე და დედა. ათას თემაზე ვსაუბრობთ. ესესაა გავიგეთ, უკრაინაში კიდევ ერთი ქართველი ჯარისკაცი დაიღუპაო და ერთიანად დაგვიმძიმდა უჟანგბადო ჰაერი. ცაში გამოეკიდა ჩვენი სიცილები, თითქოს გვსაყვედურობდნენ უკრაინაში დაცემული ჯარისკაცები, აქაოდა, ჩვენ ვიხოცებით, თქვენ რა გეღიმილებათო.

ქართველ ჯარისკაცზე გამუდმებულ ფიქრს უკან, 2008 წლის ომისკენ მივყავართ. მე დღემდე კარგად მახსოვს გორელების თავშესაფრად ქცეული, ხალხით გაჭედილი ჩემი სახლი, ჯარისკაცების მშრალი ულუფის პაკეტი, იმ პაკეტში აღმოჩენილი და პირველად გასინჯული არაქისის კარაქის საზიზღარი გემო, ომის შემდეგ თვითმფრინავის ყველა გადაფრენაზე ჩემი ძმის ყვირილი, რომ გვბომბავენ, რომ დაბრუნდნენ, რომ უნდა დავიმალოთ...

2008-ში სისხლია, ძალიან ბევრი სისხლი, ყვირილი, ცეცხლი, სიკვდილი. სიკვდილი. სიკვდილი. იმ ომს ყველა ჩვენგანისთვის სხვადასხვანაირი სცენარი აქვს და ყველა ჩვენი ფანჯრიდან ვუყურებთ დაბეჩავებულ საქართველოს. ჯარისკაცები იღუპებიან, იკარგებიან. სახლში ვეღარ ბრუნდებიან. უსახელო, უსაფლავო გმირები მრავლდებიან და უცებ დედაჩემი ჩემკენ ტრიალდება, თვალებში მიყურებს და ვიღაც უცნობ ჯარისკაცზე მელაპარაკება. ეგ ვინაა-მეთქი, ვეკითხები და ტელეფონს ვიღებ. დედაჩემს ალბათ არც სჯერა, რომ მართლა ვეკითხები და უცნობი ჯარისკაცის ამბავს მიყვება. ისტორია ჩემზე ისე ან ასე კი არა, ძალიან მოქმედებს. ფეთიანივით ვინიშნავ ტელეფონში საკვანძო სიტყვებს და უკვე განმარტოვებული ვგუგლავ კიდეც.

„1975 წელს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ თხუთმეტივე მოძმე რესპუბლიკაში უცნობი ჯარისკაცის მემორიალური საფლავები შექმნილიყო. ამ ბრძანების განხორციელება საქართველოში თბილისის საქალაქო საბჭოს მაშინდელ თავმჯდომარეს შოთა ბუხრაშვილს დაევალა.

თავდაპირველად ამ საქმეს ბევრმა სამხედრო მოსამსახურემ მოჰკიდა ხელი. თუმცა საბოლოოდ დარჩა მხოლოდ ხუთი ადამიანი, ვინც დათანხმდა ამ მისიის შესრულებას. ესენი იყვნენ: გენერალი ჯანჯღავა, გენერალი ყურაშვილი, გენერალი თავართქილაძე, პოლკოვნიკი ჩოხელი და პოლკოვნიკი ქანთარია“.

თითქმის ყველა ინტერნეტპორტალი იმეორებს ჟურნალისტების შორენა ბურდილაძისა და ეკა მომცელიძის საგაზეთო მასალას, რომელიც წლების წინ „კვირის პანორამაში“ გამოქვეყნებულა. რადგან ამბის ჩემეული ინტერპრეტაცია ისედაც მცირე ინფორმაციას კიდევ უფრო შეამცირებდა, ვარჩიე ინტერვიუ მთლიანად გადმომეტანა. აი, რას ჰყვებოდა პოლკოვნიკი ივანე ჩოხელი:

„ეს ურთულესი მისია იყო. უნდა გვეპოვა 30 წლის წინ დაღუპული ქართველი ჯარისკაცის ცხედარი და საქართველოში ჩამოგვესვენებინა. დაღუპული ჯარისკაცის ნეშტის მოძიება ძნელი არ იყო, მაგრამ დავალების მიხედვით, აუცილებლად ქართველი უნდა ყოფილიყო. წარმოიდგინეთ, რის მიხედვით უნდა დაგვედგინა ცხედრის ეროვნება. ეს არც არავის აინტერესებდა. ბრძანება აუცილებლად უნდა შესრულებულიყო და 9 მაისს თბილისში მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ქართველი ჯარისკაცის ცხედარი უნდა ჩამოგვესვენებინა.

დავალების მიღებისას ქალაქის საბჭოში ფიცი დავდეთ, რომ ჩვენი მისიის დეტალები და მით უმეტეს, აღმოჩენილი ქართველი ჯარისკაცის ვინაობა არასოდეს გამჟღავნდებოდა. ვინაიდან ყველაზე მეტი ქართველი ქერჩში დაიღუპა, მისიის შესასრულებლად ქერჩში ჩავედით.

ჩასვლისთანავე ადგილობრივი სამხედროების დახმარებით შევუდექით საქმეს. გადავთხარეთ უამრავი სამარხი. ვეძებდით და ვეძებდით. რისი იმედი გვქონდა, არ ვიცი. უამრავი ნეშტი კი ვიპოვეთ. ქალების და მამაკაცების ცხედრებს ადვილად ვარჩევდით ერთმანეთისგან, მაგრამ როგორ უნდა დაგვედგინა, ჩვენ მიერ ნაპოვნი ნეშტი ნამდვილად ქართველს ეკუთვნოდა თუ არა? მაშინ ეს წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა, მაგრამ საქმე სულ სხვანაირად შემოტრიალდა.

საერთოდ, ომის წესი გახლდათ ასეთი, რომ თითოეულ ჯარისკაცს ქამარში ჩაკერებული ჰქონდა ტყვიის მასრა. მასში ჩადებულ ფურცელზე ჯარისკაცის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი ეწერა. როდესაც ჯარისკაცი ომში ან ჰოსპიტალში გარდაიცვლებოდა, ამ მასრას იღებდნენ და მასში შენახული ინფორმაციის საფუძველზე ატყობინებდნენ ოჯახს მეომრის გარდაცვალებას.

დიდი ხნის უიმედო ძიების შემდეგ სწორედ ასეთ მასრას მივადექით. ყურაშვილმა დამიძახა, ვანო, მგონი გადავრჩითო. მისკენ რომ შევტრიალდი, ხელში მასრა ეჭირა, რომელიც ახლადგათხრილი საფლავიდან ამოეღო. თუ ძმა ხარ, ნახეო, დაამატა და მასრა გადმომცა. დავითხოვეთ ყველა დამხმარე მუშა და როდესაც ხუთნი დავრჩით, მასრა გავხსენით. ქართველი აღმოჩნდა.

შიგ ჩადებულ პატარა ფურცელზე სახელი, გვარი, დაბადების წელი და მისამართი იყო მითითებული. მის სახელს და გვარს რა დამავიწყებს, შვილო, მაგრამ ვერ გავთქვამ ამ საიდუმლოს. იმ ხუთი ადამიანიდან მხოლოდ მე ვარ ცოცხალი და ეს საიდუმლო მინაში უნდა ჩავიტანო.

მაშინ მივხვდი, ჩვენ რატომ გამოგვიშვეს ამ მისიის შესასრულებლად. ენაჭარტალა მამაკაცები ამ საქმეში არ გამოდგებოდნენ, ჩემმა გარდაცვლილმა მეგობრებმა ეს საიდუმლო საფლავში ჩაიტანეს და მეც ასე მოვიქცევი. ამ ჯარისკაცის სახელი და გვარი სამუდამოდ უცნობი უნდა დარჩეს, რათა ყველა ოჯახს, რომელსაც ვინმე დაკარგული ჰყავს ფრონტზე, უცნობი ჯარისკაცი თავისი ეგონოს. მე ბოლო ვარ და საიდუმლოს საფლავში ჩავიტან. ფიცი მაქვს დადებული, აი ამას რომ თვალწინ მიკლავდნენ (ჭოჭინაში მოთამაშე წლინახევრის შვილთაშვილისკენ მიგვახედა), მაინც ვერ ვიტყვი, არ შემიძლია.

ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ, დასავლეთ საქართველოდანაა, შვილო, ახალგაზრდა 22-23 წლის ბიჭია. ამის მეტს ვერაფერს გეტყვით, ისედაც ძალიან ბევრი გითხარით. მის დამმარხავს ეტყობა მასრის ამოღება გამორჩა და ეს ადამიანი დღესაც უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება მისი ოჯახისათვის.

მისი ძვლები ჩვენი ხელით ამოვალაგეთ, წითელი დროშისმაგვარი ზეწარი გადავაფარეთ, ქერჩის განაპირა ეკლესიის მაგვარ შენობაში დავასვენეთ და საქართველოში დავბრუნდით.

ბატონ ბუხრაშვილს ვაცნობეთ, რომ ქართველი ჯარისკაცი მოვძებნეთ და ახლა მხოლოდ მისი ტრანსპორტირების საკითხიღა იყო მოსაგვარებელი. ჩვენი დავალების მეორე ნაწილი ამ ცხედრის საქართველოში 9 მაისს ჩამოსვენება იყო. დავბრუნდით ისევ ქერჩში.

ჯავშანტრანსპორტიორში ჩავასვენეთ და ისე წამოვასვენეთ. როდესაც საქართველოში შემოვედით, გზადაგზა გაშლილი სუფრები გვხვდებოდა, ხალხი გვეგებებოდა, ტიროდა. როდესაც ზუგდიდში ჩამოვედით, სამი მტირალი შაოსანი ქალი მოგვეგება. თურმე ერთ მათგანს სამი შვილი დაჰკარგვოდა ომში, მეორეს – ორი, მესამეს კი ტყუპი ძმები აღარ დაბრუნებოდნენ ფრონტიდან. ამოვიდნენ ბეტეერში და კუბოს გადაეხვივნენ... მე მოხევე კაცი ვარ და ემოციების გამოხატვა ჩემთვის უცხო იყო, მაგრამ ეს ქალები ისე საბრალოდ ტიროდნენ, მეც ავტირდი. ქალები კუბოს ვერ მოვაცილეთ, თბილისამდე გამოგვყვნენ. სამტრედიაში უარესი ამბავი დაგვხვდა. ზესტაფონში შემოვლითი გზით ვიარეთ, რადგანაც იქაც ზღვა ხალხი გველოდა, არადა, თბილისში დროზე უნდა ვყოფილიყავით. გორშიც ვერ ავცდით დიდ სამგლოვიარო დახვედრას. მახსოვს, კაცებს ურემზე ხუთასლიტრიანი ღვინის კასრები შემოედგათ და ხალხი ამ ჯარისკაცის შესანდობარს სვამდა.

საბოლოოდ, თბილისში რომ ჩამოვედით, 8 მაისი თენდებოდა. ჯარისკაცი ოფიცერთა სასახლეში დავასვენეთ. მეორე დღეს საზეიმო-სამგლოვიარო მსვლელობა რუსთაველის გამზირზე დაიწყო და ვაკის პარკში დასრულდა“.

ვაჰ, – გავიფიქრე, – აქამდე ასეთი ამბავი შემთხვევით მაინც როგორ არ მსმენია-მეთქი და ჩემს მეგობარ გუგლს სხვა ინფორმაციაც მოვთხოვე. სულ ტყუილად. რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს, ყველაფერი ამ ერთი ინტერვიუთი დასრულდა. ეგრე არ გამოვა-მეთქი, ეგეც ვიფიქრე და გადავწყვიტე, ივანე ჩოხელი მომეძებნა. რა ვიცი, იქნებ ინტერვიუზე დავითანხმო, ახალი გავიგო რამე, სხვების თუ არა, საკუთარი ცნობის-მოყვარეობა დავიკმაყოფილო და ხვეწნა-მუდარით ვათქმევინო უცნობი ჯარისკაცის ვინაობა. ვინაობა თუ არა, სახელისა და გვარის პირველი ასო მაინც. მოკლედ, ისეთი მომართული ვარ, რამ უნდა მაჯობოს ქვეყანაზე! ჰოდა, ვგუგლავ, ვგუგლავ და უცებ, ავად მიმზერს შემდეგი სიტყვები: ივანე ჩოხელი გარდაცვლილა. ძლივს ამოვისუნთქე. მართლა საფლავში წაუღია საიდუმლო-მეთქი, გული დამწყდა.

რაღას ვიზამდი. დიდხანს, ძალიან დიდხანს ვიფიქრე ქერჩში დაკარგული იმ 22-23 წლის ბიჭის ამბავზე და ვაკის პარკში, მისი საფლავის მოსანახულებლად გავედი. მის საფლავზე წამომართული მემორიალური ქვა უკვე სხვანაირად მოქმედებდა. ეს უკვე აღარ იყო ხელოვნების ნიმუში, ეს იმედის სიმბოლოდ ქცეული ბიჭის განსასვენებელი იყო. ბიჭის, რომელმაც 22 წლის ასაკში შვილმკვდარ დედებს იმედის მარცვალი დაუბრუნა, რომ მათი შვილები ომში დაკარგულ გარდაცვლილად კი არა, სამშობლოში დაბრუნებულ გმირად დარჩებოდნენ. ჰოდა, მე უხმოდ შევფიცე, რომ მისი ამბავი ყველას ეცოდინებოდა, ის კი დამპირდა, რომ მეორე მსოფლიო ომის მსხვერპლთა მოსაგონებლად კიდევ დიდხანს იდგებოდა იქ, სადაც დგას...

გვანცა ეძიზაშვილი

სურათებზე: პოლკოვნიკი ივანე ჩოხელი (ზემოთ); უცნობი ჯარისკაცის დაკრძალვის ცერემონია თბილისში, 1975 წლის 9 მაისს (ქვემოთ, მარცხნივ); დანარჩენ ორ ფოტოზე – უცნობი ჯარისკაცის მემორიალი.

გურანდუხტ გოგოლაძე:
მე ვარ გურანდუხტ გოგოლაძე. 2000 წლის 26 თებერვალს დავიბადე. ვარ ერთი ჩვეულებრივი ადამიანი, მხიარული, პოზიტიური და ძალიან აქტიური. უზომოდ შეყვარებული ჩემს შვილზე, ოჯახსა და პროფესიაზე. მაინტერესებს ყველაფერი, რაც ჩემ გარშემო ხდება. ამ ყველაფერს ჩემი მომავალი პროფესიაც განაპირობებს. ბავშვობიდან მინდოდა ჟურნალისტობა. ყოველდღე ვმუშაობ საკუთარ თავზე. მინდა განვითარება და წარმატების მიღწევა. შემიძლია ვთქვა, რომ მე ვარ ადამიანი, რომელიც ცდილობს, ყველა მიზანი და ოცნება რეალობად აქციოს. ვიცი, რა მინდა და რა მიზანი მაქვს.

ჩვენ – სტუდენტი დედები

ᲗᲘᲜ ᲘᲪᲘᲡ, რამდენჯერ მიოცნებია სტუდენტობაზე. ერთი სული მქონდა, როდის გავიგებდი სტუდენტური ცხოვრების გემოს. 2018 წლის 30 აგვისტოს ეს ოცნება ამიხდა.

სტუდენტური ცხოვრება განსაკუთრებულია თავისი გამოცდებით, გათენებული ღამეებითა და გართობით. კურსელებთან ერთად დროის გატარებას არაფერი სჯობს. სტუდენტობას უფრო მეტად ამრავალფეროვნებს სხვადასხვა ღონისძიებაში ჩართვა, აქტიურობა, ზრდისა და განვითარების სურვილი. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ყოველთვის მაოცებდა ერთი ფაქტი, ყველაფერს როგორ ასწრებდნენ და ახერხებდნენ სტუდენტი მშობლები. ვერასდროს წარმოვიდგენდი მათ ადგილას თავს, მაგრამ ცხოვრებაში ხომ ყველაფერი ხდება.

2020 წლის 11 იანვარს დედა გავხდი. დაიბადა ჩემი საოცნებო ვარსკვლავბიჭუნა, რომელმაც ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა. თითქოს ერთ დღეში გავიზარდე. მაშინვე მივხვდი, რომ დედობის შემდეგ ისეთი ვეღარასდროს იქნები, როგორიც მანამდე იყავი. იყო დედა, ერთი მხრივ, ნიშნავს, გაიაზრო საკუთარი ცხოვრების არსი სრულიად ახლებურად და, მეორე მხრივ, მიიღო უდიდესი სიხარული და ბედნიერება ახალი სიცოცხლის ამქვეყნად მოვლინებითა და მისი შენ თვალწინ გაზრდა-განვითარებით. დედად ყოფნა? – ცხოვრებაში როგორი კრიზისული პერიოდიც არ უნდა მქონდეს, ენით აღუწერელ ძალას მაძლევს ეს სტატუსი. მაქსიმეს დაბადების შემდეგ სულ სხვანაირი ადამიანი გავხდი.

ერთ დღესაც გავიღვიძე და მივხვდი, რომ ამქვეყნად ერთადერთი დედა არ ვარ სტუდენტის სტატუსით, რომ ბევრია ასეთი, რომ მათი ცხოვრება ძალიან ჰგავს ჩემსას. იყო დედა – ეს საკმაოდ რთულია, მაგრამ არანაკლებ რთულია იყო სტუდენტი დედა, გყავდეს ერთი შვილი და კიდევ ელოდებოდე ახალ სიცოცხლეს, ამ ყველაფერს კი უთავსებდე სამსახურს. **მარიამ ბენდიანიშვილი** ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის პირველკურსელია. მას ერთი პატარა გოგონა ჰყავს – ლილე და სულ მალე მეორე შვილსაც გააჩენს. ვიფიქრე, გავესაუბრები-მეთქი. იქნებ მისგან ისეთი რამ გამეგო, რაც მერე მეც გამომადგებოდა. ჰოდა, დავუკავშირდი:

•••

– მარიამ, რას ნიშნავს შენთვის დედობა?

– პირველ რიგში, ჩემი აზრით, ქალი უნდა იყოს კარგი დედა და მერე სხვა დანარჩენი. დედობა ჩემთვის ზომიერად კარგ დედობას ნიშნავს და არ მომწონს, ჩაბღაუჭებულები რომ არიან ბავშვებზე. მთავარია მონდომება, სურვილი და საკუთარი თავის რწმენა. თუმცა, რომ არა ჩემი ოჯახი და მეუღლე, ვერაფერს შევძლებდი.

– როგორ უთავსებ ერთმანეთს სტუდენტობას, დედობას და სამსახურს?

– თვითონაც არ ვიცი, ამ ყველაფერს როგორ ვახერხებ. დღის ბოლოს გადამწყვარიც ვარ ხოლმე. საღამოს ლექციები მაქვს, იქამდე ვცდილობ, ბავშვთან ვიყო. სამსახურიდან დაღლილი რომ ვბრუნდები, სასეირნოდ დავდივართ. ყველაფრის მიუხედავად, მაქსიმალურად ვცდილობ, ბავშვთან ახლო ურთიერთობა მქონდეს, რათა არ იფიქროს, რომ მე მისთვის დრო არ მაქვს. ბაღში მე მიმყავს. როდესაც სახლში ვარ, ვთამაშობთ. ეს ყველაფერი მაძლევს ძალას, გავაკეთო ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი.

– რა არის შენთვის მოტივაცია, რომ გაუმკლავდე ყველაფერს?

– ჩემი ყველაზე დიდი მოტივატორია ჩემი მეუღლე. ძალიან უნდა, რომ ყველაფერი კარგად გამომივიდეს. თავიდანვე ასეთი იყო. შემდეგ უკვე – ჩემი შვილი. ვფიქრობ, ყველა ბავშვს უხარია და მოსწონს კარგი დედა. რაც უფრო მეტი გეცოდინება და განათლებული იქნები, შენი შვილისთვის უკეთესი იქნება, რადგან ვფიქრობ, ბავშვისთვის ყველაზე კარგი მასწავლებელი დედაა.

– რა სირთულეებთან გქონია შეხება? როდესაც დედა ხარ, ყველაფრისთვის მზად უნდა იყო...

– მქონია ისეთი მომენტები, სახლიდან რომ გავდიოდი და დილიდან-საღამომდე ვტოვებდი ბავშვს. მაშინ ვფიქრობდი, ძალიან ცუდი დედა ვიყავი, რადგან ამ წუთებს ჩემს გოგონასთან არ ვატარებდი. ყოფილა, რომ ბავშვი სიცხიანი დამიტოვებია. სახლიდან კი გავდიოდი, მაგრამ მთელი სულითა და გულით მასთან ვიყავი. ნელ-ნელა ამ ყველაფერს შევეგუე, ვისწავლე თავის მართვა, რადგან ყველა მშობელს უწევს ამ სიტუაციის გავლა. როდესაც მუშაობ და ვერ აცდენ სამსახურს, გიწევს ბავშვის ამ მდგომარეობაში დატოვება. არის კიდევ მეორე მომენტი – თუ გააცდენ, ვეღარ იქნები ისეთი, როგორიც უნდა იყო. ყველაზე დიდი სირთულე ეს იყო ჩემს ცხოვრებაში. იმედია, მეორე შვილზე მსგავსი მომენტები აღარ მექნება, რადგან ახლა უფრო მეტად მაქვს გააზრებული ყველაფერი.

– ერთ-ერთი საგნის ფინალურ გამოცდაზე ბაღიდან დამირეკეს და მითხრეს, რომ მაქსიმეს სიცხე ჰქონდა. ნერვიულობისგან ყველაფერი დამავიწყდა. ავუხსენი ლექტორს სიტუაცია. დამამშვიდა. მითხრა, რომ სასწრაფოდ წავსულიყავი და ბავშვი გამომეყვანა. შემდეგ საგამოცდო დრო დამიმატა და იმ მომენტში, ეს იყო ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი. შენს შემთხვევაში როგორ იყო? როდესაც გაიგეს, რომ ერთი შვილი გყავდა და მეორეს ელოდებოდი, თან მუშაობდი და ასეთი აქტიური სტუდენტი იყავი. შენ თუ ყოფილხარ მსგავს სიტუაციაში?

– ლექტორები, რა თქმა უნდა, ძალიან მიწყობდნენ და ახლაც მიწყობენ ხელს. მეც მქონია მსგავსი მომენტები. მაგალითად: ბაკალავრიატის დასასრულს, როდესაც ნაშრომი უნდა დამეწერა, ფსიქოლოგიურად არ ვიყავი მზად და ამ სიტუაციაში ძალიან შემიწყო ხელი ჩემმა ლექტორმა. როდესაც გაიგეს, რომ შვილი მყავდა, თან ვმუშაობდი, უკვირდათ – ამდენს როგორ ვასწრებდი. თითოეული ჩემი ლექტორისგან ისე ვგრძნობდი გვერდში დგომას, როგორც ოჯახის წევრებისგან. ასეთი სიტუაცია რომ არ ყოფილიყო, მეც ვერ შევძლებდი ამდენის გაკეთებას. ერთ შემთხვევასაც გავიხსენებ... მახსოვს, პრეზენტაცია მქონდა ერთ-ერთ საგანში. რექტორი და პროფესორ-მასწავლებლებიც ესწრებოდნენ. გერმანელი სტუმარიც გვყავდა, რომელსაც წიგნები უნდა გადაეცა მათთვის, ვინც ამ პრეზენტაციის წარდგენაში ჩაერთვებოდა. მეც ყველანარად მოვემზადე, ყველაფერი მოწესრიგებული მქონდა და სწორედ ამ დღეს, ჩემი შვილი ბაჭიამ გაჩხაპნა. მომიწია, რომ სასწრაფოდ ექიმთან წამეყვანა და აცრა გამეკეთებინა. ამ დროს ყველანაირად გვერდში დამიდგა ჩემი ლექტორი, დამამშვიდა და მითხრა, რომ არანაირი პრობლემა არ იყო და ჩემი ნაშრომი, რომელიც უნდა წარმედგინა, სპეციალურ საიტზე ატვირთა.

– როგორია მეორე შვილის მოლოდინი?

– ახლა 26 წლის ვარ, პირველი შვილი კი 21 წლის ასაკში გავაჩინე. მაშინ იმდენად გააზრებული არ მქონდა, ვერ აღვიქვამდი, რომ დედა ვიყავი, სულ თავზე დავფოფინებდი. ახლა უფრო სხვანაირად ვუყურებ ყველაფერს. მაშინ მუშაობაც არ მინდოდა, ახლა უფრო შემართებით ვარ. უბედნიერესი ვარ იმ ფაქტით, რომ ლილეს და ან ძმა ეყოლება, რადგან მე დედმამიშვილი არ მყავს. ძალიან მაკლია და ვგრძნობ, რომ ვიღაც მჭირდება.

– რა რჩევას მისცემდი იმ სტუდენტებს, რომლებსაც უკვე ჰყავთ შვილი ან მალე გახდებიან დედები?

– მაშინ, როდესაც პირველ შვილზე ვიყავი ორსულად, ბაკალავრიატს ვამთავრებდი და რადგან სამართალი დავამთავრე, სამოქალაქო კუთხით იუსტიციის სახლში ვმუშაობდი. მქონდა იმის შეგრძნება, რომ ვიღლებოდი, არ მინდოდა, არ შემეძლო. შეიძლება ითქვას, რომ ფსიქოლოგიურად მზად არ ვიყავი. არ ვიცი, ამ სიტუაციას ორსულობის დეპრესია ჰქვია თუ მოუმზადებლობა, მაგრამ სამსახურიდან წამოვედი. ლილეს დაბადების შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. ძალიან გავაქტიურდი. მაგისტრატურაზე ჩაბარება და პროფესიის შეცვლა გადავწყვიტე. მერე სტაჟირება დავიწყე ჩემი პროფესიით და ახლა რუსთაველის თეატრში, პიარის სამსახურში ვმუშაობ. აქედან გამომდინარე, იმ სტუდენტებს, რომლებიც ახლა ხდებიან დედები და შეესაძლოა, სტუდენტობასთან ორსულობის შეთავსებაც უჭირთ, ვურჩევდი, რომ ფსიქოლოგიურად თუ განეწყობიან ისე, რომ ყველაფერი უნდა გააკეთონ და ყველაფერი უნდა მოასწრონ, არ არსებობს რომ არ გამოუვიდეთ. როგორც იფიქრებ და როგორც იგრძნობ თავს, ისე გააგრძელებ ბოლომდე. მორალური სიძლიერე არის ყველაზე მთავარი.

•••

ყველა პროფესია თავისებურად რთული, საპასუხისმგებლო და განსაკუთრებულია. თუმცა იყო დედა და ამავდროულად მომავალი ექიმი, მარტივი სულაც არ არის. **მეკო გოგოლი** ჩვენი უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ინგლისურენოვანი პროგრამის მე-4 კურსის სტუდენტია.

– მეკო, დედობა რომ ყველა ქალის ცხოვრებაში განსაკუთრებული და სრულიად ახალი მოვლენაა, ცხადია, მაგრამ შენთვის ალბათ ორმაგად რთულია სამედიცინოს სტუდენტობა და დედობა...

– რასაკვირელია, მაშინ როდესაც ჩემი შვილი – სანდრო დაიბადა, პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი. სამედიცინოზე სწავლა რთულია, თან ინგლისურენოვან პროგრამაზე ვარ და დიდი დატვირთვა მაქვს. ძიძა მეხმარებოდა, რომელიც დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე იყო ჩვენთან. მთელი დღის განმავლობაში ლექციები მქონდა და როდესაც ძიძა მიდიოდა, მარტო ვრჩებოდი ბავშვთან. მეცადინეობას სანდროს დაძინების შემდგომ ვიწყებდი. ღამე ხშირად იღვიძებდა და ნორმალურად ვერც ვმეცადინეობდი, მაგრამ უპასუხისმგებლოდ არ მინდოდა მოვქცეულიყავი და შეძლებისდაგვარად, ვართმევდი თავს. მიწევდა ღამის გათენება, თან ბავშვიც ადრე იღვიძებდა. ძილი მაკლდა და ეს ყველაფერი ჩემთვის ძალიან რთული იყო. მიუხედავად ამ ყველაფრისა, დედობა უდიდესი ბედნიერებაა.

– ძიძის გარდა თუ გყავს დამხმარე?

– რა თქმა უნდა, ჩემი ოჯახი ძალიან მეხმარება. უნდათ, რომ ვისწავლო, ჩემს კარიერას მივხედო, ვიყო კარგი და სამაგალითო დედა.

– სტუდენტის მაღალ აკადემიურ მოსწრებაში დიდ როლს თამაშობს ლექტორი. როდესაც ხედავს, რომ დედობასთან ერთად ასეთი მონდომებული, მოწადინებული და აქტიური სტუდენტი ხარ, მასაც უჩნდება დახმარების სურვილი და ყველანაირად გვერდში გიდგას. ფიქრობ, რომ ლექტორებსაც მიუძღვით წვლილი შენს წარმატებებში?

– რა თქმა უნდა. რომ არა ჩემი ლექტორები, იმის ნახევარსაც ვერ გავაკეთებდი, რასაც ვაკეთებ. ათი საგანი მაქვს სემესტრში და ჩემთვის საკმაოდ რთული იყო ყველაფრის მოსწრება. მაგრამ ისეთი მომენტებიც ყოფილა, რომ ლექციაზე ყოფნისას სანდრო კალთაში მეჯდა ან პირველი ვაბარებდი და შემდეგ ლექციიდან გავდიოდი. მადლობა მათ ამისთვის. რომ არა ლექტორების, უნივერსიტეტისა და ოჯახის წევრების ხელშეწყობა, ვერ ვიქნებოდი დღეს წარმატებული სტუდენტი. ვფიქრობ, ასეთი დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, ყველაფერს თავს კარგად ვართმევ და კარგი დედაც ვარ.

– ბავშვის გამო საკუთარი თავი მეორე ადგილზე გადაგიყვანია და გართობაზე უარი გითქვამს? მაგალითად, კურსელებმა ძალიან ბევრჯერ მითხრეს, სადმე წავიდეთო, მაგრამ უარი ვუთხარი. გათვლილი მაქვს, დრო როდის, სად და როგორ უნდა გავანაწილო. აქედან გამომდინარე, დროის სასიამოვნოდ გატარებას, სახლში ყოფნა, ბავშვთან თამაში და სწავლა ვარჩიე. ხანდახან საკუთარ თავზე ძალიან ვბრაზდები, რადგან რაღაცებს ვიკლებ იმის გამო, რომ საქმე დროულად და კარგად გავაკეთო. შენ შემთხვევაში როგორ ხდება?

– სიმართლე რომ გითხრა, ადრე მეც ასე ვიყავი. ახლა, რაც სანდრო წამოიზარდა, ჩემი თავისთვის უფრო მეტად მრჩება დრო. იმიტომ, რომ უფრო ადვილად რჩება სხვასთან და ისევ ოჯახის, ძიძისა და, განსაკუთრებით, დედაჩემის ხელშეწყობით ვცდილობ, რომ მეც გავერთო და სასიამოვნო დრო გავატარო ჩემს მეგობრებთან ერთად.

•••

დედობა უდიდესი პასუხისმგებლობაა. ამ დროს ადამიანი ცხოვრებაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს ირგებს. ყველაზე მეტად შვილის წინაშე პასუხისმგებლობის აღებაზე ვფიქრობდი. მაშინებდა ფიქრი იმაზე, რომ 19 წლის ასაკში მომიწევდა ზრუნვა მის კეთილდღეობაზე, მის ჯანმრთელობაზე. ათას რაღაცაზე ვფიქრობდი. დღემდე არ მაქვს პასუხი ყველა იმ კითხვაზე, რომელიც შვილის გაჩენამდე თავში მიტრიალებდა. ერთს მივხვდი, რომ ბავშვის გაჩენის შემდეგაც შესაძლებელია ჰარმონიული ცხოვრება. შესაძლებელია სწავლაც, მუშაობაც. ეს ყველაფერი დიდ ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ ასეთ დროს თითქოს საოცარი ძალა გეძლევა და ყოვლისშემძლე ხდები. საკმაოდ რთულია საკუთარ თავსა და ცხოვრებაზე საუბარი, მაგრამ მოვლენამ, რომელსაც დედობა ჰქვია, შეიძლება ყველანაირი დაბრკოლება დაგაძლევინოს.

გურანდუხტ გოგოლაძე

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ (მარცხნიდან მარჯვნივ): მარიამი და ლილე; გურანდუხტი და მაქსიმე; მეკო და სანდრო.

სალომე სვანიძე:
მე სალომე სვანიძე ვარ და ვერ ვიტან, როცა სალოს მეძახიან. ჩემ თავზე საუბარი არ მიყვარს, ამიტომ ჩემთვის მნიშვნელოვან ადამიანებს ვკითხე, როგორი ვარ მათი თვალით და აი, ასე დამახასიათეს: ჩემი უარყოფითი თვისებები ყოფილა ეგოიზმი, სიცივე, ხელის მალე ჩაქნევა, სიზარმაცე და თურმე, ნერვებიც ცუდი მქონია. ჩემი კარგი თვისება ყოფილა ის, რომ გაგება, გვერდში დგომა, მოსმენა და საუბარი შემიძლია, ასევე კეთილი, სამართლიანი და უზომოდ მეგობრული ვყოფილვარ. ცხოველების სიყვარულიც კარგ თვისებას მიაწერეს...

მარიამ ზაქარიძე:
2001 წლის 26 ნოემბერს დავიბადე. ვფიქრობ, უკვე ჩამოყალიბებული და საკუთარ მიზნებში გარკვეული ადამიანი ვარ. ცხოვრებისეული მიზანი მაქვს: გავხდე ნამდვილი ჟურნალისტი. მიყვარს ბავშვები. მათთან ყოფნისას დროის შეგრძნებას ვკარგავ. ჩემი ყველაზე დიდი ოცნებაა, დავაარსო ფონდი, რომელიც ბავშვებს დაეხმარება. მყავს დედა, მამა და უმცროსი ძმა. ოჯახი ჩემთვის სიძლიერეა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მეგობარი მყავს, მაინც ჩაკეტილი ადამიანი ვარ, რაც ჩემთვის პლუსი უფროა, ვიდრე მინუსი.

„სალი, მა...“

ზოგჯერ კითხვები განაპირობებს ცხოვრების მნიშვნელოვან დეტალებს და არა პასუხები...

გრძნობების გამოხატვა ჩემი ყველაზე სუსტი მხარეა. არასდროს ვსაუბრობ იმ ადამიანებზე, რომლებსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ ახლა იმ ადამიანზე უნდა ვისაუბრო, რომელიც ჩემ მიერ მიღებულ ყველა გადაწყვეტილებას მხარს უჭერს, არ მზღუდავს და სხვების დასანახად ჩარჩოში არ მსვამს. ალბათ ფიქრობთ, ვინ არის ეს ადამიანი ან რა უფლება აქვს, რომ მის გამო ჩარჩოში ვიჯდე. მე ვსაუბრობ მამაზე, რომლის ცხოვრების წესიც ხუთი წელია, რაც შეიცვალა.

მამაჩემი მაღალი კაცია. 47 წლისაა, მაგრამ თითქოს ასაკი შეჰპარვია, წვერი ნელ-ნელა გასთეთრებია. ერთი შეხედვით, შეიძლება იფიქრო, რომ მკაცრია, მაგრამ გაგიღიმებს თუ არა მიხვდები – შეცდი. ბოლო პერიოდში, თოვლის ბაბუსაც კი ვამსგავსებ, რადგან მასსავით იღებს წერილებს, ოღონდ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებით...

2017 წლის 13 აპრილს მამუკა სვანიძე ნიკოლოზად იკურთხა და მამაჩემი მრავალი სულიერი შვილის მამაც გახდა.

დიახ, მამაჩემი მღვდელია და ზურგოვანის წმინდა გიორგის ეკლესიაში მსახურობს, მაგრამ ამჯერად არ ვაპირებ იმაზე საუბარს, თუ როგორი მღვდელია მამა. ამჯერად ვისაუბრებ იმაზე, თუ რამხელა პასუხისმგებლობაა, იყო მღვდლის შვილი. საქართველო პატარა ქვეყანაა, აქედან გამომდინარე, თითქმის ყველა ყველას იცნობს და მინდა თუ არა, უნებურად ხალხის ყურადღებისა და დაკვირვების ქვეშ ვექცევი. საზოგადოება ჩემ მიერ გადადგმულ ყველა ნაბიჯს სხვაგვარად აკვირდება. რატომ? იმიტომ, რომ მღვდლის შვილი ვარ. არადა, რეალურად, მღვდლის შვილობა არ ნიშნავს იმას, რომ შეცდომების დაშვების უფლება არ გაქვს. ეს არც რაიმე პრივილეგიაა და არც იძულებით ქრისტიანობას ნიშნავს.

ვინ იცის, რამდენი კითხვა დაუსვამთ ჩემთვის ამასთან დაკავშირებით. შევეცდები გავიხსენო ეს კითხვები და გულწრფელი პასუხი გავცე თითოეულ მათგანს:

– როგორია მღვდლის შვილობა?

– პირადად ჩემთვის, მღვდლის შვილობა უდიდესი პასუხისმგებლობაა, ამიტომ ყოველთვის ვცდილობ, რეალობას შესაფერისად მოვერგო. არა იმიტომ, რომ ვინმე მაძალებს. უბრალოდ ასე მამაჩემის მიმართ პატივისცემას გამოვხატავ.

– სახლში როგორია მამა?

– ისეთივე, როგორც გარეთ. ერთმანეთისადმი ჩვენ დამოკიდებულებას მისი სტატუსი არ ცვლის. მამა მამაა!

– ეკლესიაში ხშირად დაყავხარ?

– არ დავყავარ, ჩემი სურვილით დავდივარ. ეკლესიაში სიარული არ შეიძლება ძალდატანებითი იყოს.

– აღსარებას მამას აბარებ?

– აღსარებას ვაბარებ ჩემს სულიერ მამას – მამა იოვანეს. არასდროს ჩამიბარებია აღსარება მამაჩემისთვის. რატომ? იმიტომ, რომ მღვდლობამდე და მღვდლობის შემდგომაც, ჩემთვის ზუსტად იგივე მამაა. მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული ვარ, ყველაფერს გამიგებს, მაინც რთულია.

– ბევრ რამეს გიშლის?

– არაფერს არ მიშლის. არც არასდროს დაუშლია რამე. მამა რჩევებს მაძლევს და შემდგომ არჩევნის უფლებას მიტოვებს. ჩემ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას კი პატივს სცემს.

– შენც სულ ლოცულობ?

– სულ რატომ?...

– მარხვას მამის გამო იცავ თუ შენი სურვილით?

– როგორ შეიძლება, მარხვას ვინმე გაძალებდეს?

– მონასტერში ხშირად დადიხარ?

– არა. იმიტომ, რომ მონასტერი სასეირნო ადგილი არ არის. როდესაც მონასტერში მიდიხარ, მზად უნდა იყო იმ შრომისთვის, რომელიც იქ მოგიწევს. საერთოდ არ ვთვლი, რომ ამისთვის მზად ვარ. მამა რომ მღვდელია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შვილიც ისეთივე სულიერ სიმაღლეზე დგას.

– გეჩხუბება ხოლმე?

– არც კი მახსენდება მსგავსი რამ. როდესაც რამეს არასწორად ვაკეთებ, ყოველგვარი ჩხუბის გარეშე მარიგებს.

– მღვდლის შვილი ხარ და ჟურნალისტიკაზე სწავლობ?

– დიახ, მამაჩემი მღვდელია და მე ჟურნალისტიკაზე ვსწავლობ! ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რატომაც ავირჩიე ეს პროფესია, ის სტერეოტიპებია, რომლებიც ამ პროფესიის მქონე ადამიანებს თან სდევთ. მინდა საზოგადოებას დავანახო, რომ ყველა ერთნაირი არ არის და პატიოსანი გზითაც შეიძლება ამ პროფესიაში არსებობა. დიახ, მამას არ გახარებია ჩემი გაჟურნალისტება, ეწყინა კიდეც, მაგრამ ჩემს გადაწყვეტილებას გაგებით მოეკიდა.

უცნაურია, ჟურნალისტიკაზე ვსწავლობ, სხვადასხვა ადამიანს ვუსვამ კითხვას, თანაც ისე, რომ სულ არ მერიდება, მაგრამ დიდი ინტერესის მიუხედავად, საკუთარი მამისთვის არასდროს მიკითხავს, რატომ გადაწყვიტა ამ მძიმე ტვირთის ზიდვა. ჩვენ საკმარისი არ ვიყავით? რატომ გადაწყვიტა, რომ შუამავალი ყოფილიყო ღმერთსა და მრევლს შორის? არ ვიცი. თითქოს მერიდება. არადა როგორი მარტივია, მამასთან მისვლა და კითხვა: მა, რატომ აირჩიე ეს გზა?

შემთხვევით არ მითქვამს, რომ ზოგჯერ კითხვები განაპირობებს ცხოვრების მნიშვნელოვან დეტალებს. თუ მამას ვკითხავდი:

– მა, ჯვარს დამწერდი?

პასუხად ალბათ გამიღიმებდა და მეტყოდა:

– სალი, მა...

სალომე სვანიძე

კვლავ სანატრელი

ნებისმიერი ადამიანის ცხოვრება და მიზნებისკენ სწრაფვა სკოლის ასაკიდან იწყება. ჰოდა, არც მე ვყოფილვარ გამონაკლისი. მახსოვს ბებოს სიტყვები, როდესაც სკოლაში პირველად წავედი: „პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯს დგამ შენს ცხოვრებაში, წარმატებები!“ მაშინ ამ სიტყვების აზრს ვერ ჩავწვდი, მაგრამ დროთა განმავლობაში გავიაზრე, რა იყო სკოლა და სინამდვილეში რისი მოცემა შეეძლო ჩემთვის. ამ პერიოდში ვისწავლე უამრავი რამ. სკოლაში მასწავლებლების საყვარელი მოსწავლე ვიყავი. ზოგიერთ მათგანთან წლების განმავლობაში ისეთი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა, რომ ბევრ მეგობარს შეშურდებოდა. ადამიანებთან ურთიერთობა ვისწავლე, ჩამომიყალიბდა პასუხისმგებლობის გრძნობა, ვისწავლე გუნდური მუშაობა... ვფიქრობ, აქამდე სწორედ სკოლისა და ოჯახის წევრების წყალობით მოვედი.

არავის წარმოედგინა, რომ ჟურნალისტიკაზე ჩავაბარებდი. მათემატიკა სკოლაში ჩემი საყვარელი საგანი იყო და ვცდილობდი, კარგად მესწავლა. ალბათ ამიტომ, ყველა ფინანსებთან თუ ეკონომიკასთან მაკავშირებდა. მათემატიკამ კი იმდენად გამიტაცა, რომ მოსწავლეები ავიყვანე. განსაკუთრებით მახსოვს სტუდენტი ნიკა, რომელიც გამოცდებისთვის მოვამზადე და 42 ქულა აიღო. ამ დროს სიამაყე და სიხარული ერთად განვიცადე.

ჩემმა მათემატიკის მასწავლებელმა, მედიკო კაციაშვილმა, რომ გაიგო, ჟურნალისტიკაზე ვაბარებდი, გაუკვირდა. მის სახეზე იმედგაცრუებაც ამოვიკითხე. მახსოვს, როგორ დამაფიქრა მისმა კითხვამ, რატომ ჟურნალისტიკა, შენ ხომ ფინანსები გაინტერესებდაო.

კითხვაზე ვერ ვუპასუხე. მეც ვერ გამეაზრებინა, რითი გადაწონა ერთმა პროფესიამ მეორე. როდესაც მასწავლებელმა დაბნეულობა შემამჩნია მითხრა, შენი გადასაწყვეტია, მთავარია, შენს არჩევანს მიჰყვე, სხვა შემთხვევაში წარმატების მიღწევა გაგიჭირდებაო. მას შემდეგ ვცდილობ, საკუთარ არჩევანს ბოლომდე მივყვე.

სკოლის პერიოდში ხშირად მეკითხებოდნენ, რომელ სკოლაში ვსწავლობდი ან ვინ იყო ჩემი მასწავლებელი და გაოცებულები რჩებოდნენ, როდესაც იგებდნენ, რომ კასპის რაიონის სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლის მოსწავლე ვიყავი, რომლის მოსწავლეების რაოდენობაც, სოფლის მოსახლეობის საშუალო მაჩვენებლის გამო, 150-ს არ აღემატებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ძალიან მიყვარდა, სტუდენტობაზე ვოცნებობდი და წარმოვიდგენდი, როგორი იქნებოდა ეს წლები. ყოველთვის მიკვირდა უფროსების, როდესაც ამბობდნენ, ნეტავ სკოლის პერიოდში დამაბრუნაო. ახლა მეც მინდა იმავე ასაკში დაბრუნება და ყველაფრის ახლიდან დაწყება. მეც მენატრება სკოლა, სკოლის წლები და ის ბედნიერი წუთები, რომელიც სკოლაში გავატარე. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის წყალობით შევიძინე უამრავი მეგობარი და მრჩეველი, ვფიქრობ, მაინც ბევრ რამეს შევცვლიდი და უფრო მეტის შეძენას შევძლებდი ახლა.

მარიამ ზაქარიძე

ანა ურდულაშვილი:
არასოდეს ვიცი, რა ვუპასუხო კითხვას - ვინ ვარ მე? ერთი ის ვიცი, რომ ვარ მზიანი აგვისტოს პირველ დღეს დაბადებული შავგვრემანი, სიცხის მოყვარული, ერთი ჩვეულებრივი გოგო, რომელსაც ბევრი სიცილი უყვარს. ვარ შვილი და და, რაც ჩემთვის უდიდესი პასუხისმგებლობაა. ვარ მეგობარი, ვისი იმედიც ყველას შეუძლია ჰქონდეს. ვარ ადამიანი, რომელიც საკუთარ შეცდომებზე სწავლობს. ვარ პრინციპული, ბუტია და ჯიუტი. მიყვარს მარტო ყოფნა და ვცდილობ, ვიპოვო ის, ვინც ნამდვილად ვარ.

ჩაიარა თუ არა მატარებელმა?

პატარა, მოუსვენარ გოგონას მამა ბავშვობიდან არტისტს ეძახდა და დღემდე ასეა. ყველა დღესასწაულსა თუ უბრალო ოჯახურ შეხვედრაზე სხვადასხვა სახის წარმოდგენას დგამდა საყვარელი ადამიანებისთვის და მუდამ იყო მათი გულწრფელი ღიმილის მიზეზი.

საბავშვო ბაღის წარმოდგენებში, უმეტესად მთხრობელის როლი ჰქონდა. აღფრთოვანებული იყო აღმზრდელი მისი საუბრით. სკოლაშიც ამ ტრადიციას მიჰყვნენ პედაგოგები და გოგონა სულ ღონისძიების წამყვანად გვევლინებოდა სცენასა თუ საკლასო ოთახში. თუმცა, არ შემიძლია არ მოგიყვეთ მის მიერ შესრულებულ დარეჯანის როლზე სპექტაკლში „კაცია ადამიანი?!“ ორ წითელლოყება კანდიდატს შორის, დარეჯანის როლი გოგონას ერგო. თავიდან წინააღმდეგი იყო, ყველა მის სასაცილო ლოყებსა და ძველ ყვავილებიან კაბაზე ამახვილებდა ყურადღებას. თუმცა, როგორც კი პარტერიდან სიცილის ხმა და აპლოდისმენტების გემო გაიგო, იმ წამსვე დაავიწყდა სიმორცხვე და უფრო გულმოდგინედ შეუდგა პერსონაჟის გაცოცხლებას. ღონისძიების ეს ნაწილი, სკოლაში სწავლის განმავლობაში, მუდამ სასიამოვნოდ გასახსენებელი მომენტი იყო ყველა-სათვის.

მეცხრეკლასელ გოგონას სურვილი გაუჩნდა, თეატრალურ წრეზე შესულიყო. სურდა, რომ უფრო დაახლოებოდა ამ პროფესიას და მეტად შეეგრძნო მისი ხიბლი. თუმცა, არ იცოდა, წინ რა ელოდა. მოიძია სხვადასხვა ინფორმაცია და საბედნიეროდ, მის სახლთან საკმაოდ ახლოს, ისანი-სამგორის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში ომარ გაბელიას სახელობის თეატრი „თაობა“ აღმოაჩინა. ახალი სემესტრი ჯერ არ იყო დაწყებული, როცა სექტემბერში გოგონამ თეატრის კარი შეაღო. სიმშვიდის სუნი იდგა პარტერში, სადაც უძლიერესი სიყვარული ტრიალებდა... ფეხის შედგმისას თეატრის ხელმძღვანელი ირინა შიუკაშვილი შეეგება. საოცრად ლამაზი და თბილი ღიმილით ჰკითხა ოთახში შესულ „სტუმარს“, თუ რა სურდა. რა თქმა უნდა, პასუხი იცოდა. სხვა რა ენდომებოდა, თუ არა, გამხდარიყო მსახიობი. ამაში კი ირინა დაეხმარა. მუდამ გვერდში ედგა გოგონას და მხარს უჭერდა. ის აღმოჩნდა ადამიანი, რომელმაც ბევრი რამ ასწავლა გოგონას, თუმცა პირველ რიგში სცენის სიყვარული, ადამიანობა და გაკვლევა იმ გზისა, რომელიც სწორ დანიშნულებამდე მიგიყვანს. ზუსტად ის ადამიანია, ვინც იცის, როგორ გაუფრთხილდეს ბავშვის შინაგან სამყაროს და ფანტაზიას. როგორ მიიღოს მისი ყველა იდეა სწორად და დაეხმაროს მას ამის რეალიზებაში. გოგონამ იპოვა სწორი და ნამდვილი ადამიანი, გროტესკით სავსე სამყაროში. თეატრი მისი მეორე სახლი გახდა, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით. ამ ჯადოსნურმა სივრცემ, გოგონას პიროვნება ძალიან გაზარდა და განავითარა.

„მახსოვს შავგვრემანი, ცოცხალი მზერით, ინტერესით ჩემკენ მომართული მზერა და აზრიანი თვალები... მახსოვს მცირე კომპლექსები, რომლებმაც დიდხანს ვერ იბატონეს გოგონას აზროვნებაში და მერე იყო, თამამი გოგო, სცენის მტვრით მოწამლული, თეატრზე და ხელოვნებაზე შეყვარებული, გამართული მეტყველებით და გამართული ნაბიჯებით. ეტიუდებსა თუ სპექტაკლებში გრძნობას, ემოციას, ინტელექტს, ერთად აჯერებდა. აზროვნებდა და ბადებდა საკუთარ სულში თუ სხეულში გმირს, რომელსაც დიდხანს თან დაატარებდა... მე ვფიქრობ მაინც ყველაზე მეტად გოგონამ ანიკოს როლი შეისისხლხორცა სპექტაკლიდან „მატარებელმა ჩაიარა“... მისი გამოჩენა პარტერიდან ერთიანად ნუსხავდა მაყურებელს... თვითონ კი მუდამ ფრთაშესხმული ელოდა ანიკოს შეხვედრას სცენაზე... მე კი მაინც თეატრისთვის მემეტებოდა ეს „ოხერი“ გოგო.“

ხელმძღვანელის რამდენიმე კითხვას გულწრფელად უპასუხა და პირველ გაკვეთილზეც დაიბარა ირინამ.

სიმართლე გითხრათ, გოგონას სცენისა და თეატრისადმი აღფრთოვანებას მისი მშობლები დიდი სიხარულით არ შეხვედრიან. მიუხედავად იმისა, რომ თეატრის სიყვარული, ფაქტობრივად, მამისგან დაჰყვა. თუმცა მის გადაწყვეტილებას მუდამ პატივს სცემდნენ და არანაირად არ დაუშლიათ მისთვის თეატრალურ წრეზე სიარული. იმ პერიოდის განმავლობაში, როცა გოგონა რეპეტიციებზე დადიოდა, მამა მუდამ ამ ხუმრობით ეხმაურებოდა მის სპექტაკლებს: „ამჯერადაც ბუჩქის როლი გაქვს?“ ბუჩქის როლი არც არასდროს ჰქონია და ეს მამამაც კარგად იცოდა, თუმცა მამაშვილური სიყვარული მუდამ ასეთი ხუმრობებით გამოიხატებოდა. დედა კი, პირველივე სპექტაკლის შემდეგ დარწმუნდა, რომ ეს ის ადგილი იყო, რომელიც მის შვილს უყვარდა და ამის შემდეგ, მუდამ მის გვერდით იდგა და სიამაყით იზიარებდა გოგონას წარმატებას.

პირველი დღე მწარედ დაამახსოვრდა. პირველი ეტიუდის იდეა სრული კრახი აღმოჩნდა. ამის გამო, გოგონა დაცინვის ობიექტი გახდა, მაგრამ იცოდა და დარწმუნებული იყო, რომ ეს არ იყო ყველაფერი, რაც მას შეეძლო. ამიტომ, თეატრალურზე სიარულის არც ერთ ეტაპზე არ დანებებულა და მუდამ საკუთარი თავის განვითარებას ცდილობდა. მათ შორის, პირველი სპექტაკლის დროსაც. როცა თეატრში ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“ დაიდგა, გოგონას მთიული ფიცხი ქალის – გულქანის როლი ერგო. პერსონაჟის გაცნობა და შეისისხლხორცება რთული არ ყოფილა. დიდი ბებიის მთიულურმა გენებმა თავისი ჰქნა და ისიც თავისუფლად შეეწყო პერსონაჟის ხასიათებსა და ქცევებს. დებიუტმა წარმატებით ჩაიარა. შიშისა და ნერვიულობის გამო, სცენაზე გამოჩენის დროს, წითელი მთიულური ტანისამოსის ფერი სახეზეც გადასვლოდა, თუმცა ნერვიულობა დასძლია და მაყურებელსაც საოცარი ემოციები დაუტოვა. თავადაც უბედნიერესი იყო. ამ ემოციებს თავისთვის ინახავს. სიტყვებით ვერასდროს გადმოსცემს იმ განცდებსა და აღფრთოვანებას. ამ როლის შესრულებით, მაჩაბელას სახელობის ბავშვთა და მოზარდთა მე-9 თეატრალურ ფესტივალზე ჯილდოც დაიმსახურა როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სცენის შემდგომ, პირველი ნამდვილი სცენა იყო „ათონელის თეატრი“, სადაც ფეხი დადგა და საკუთარი კვალი დატოვა ამავე სპექტაკლით. თეატრის სცენის მტვრით მოწამვლის პროცესი წარმატებულად დაიწყო.

2019 წლის თებერვალში, ერთ-ერთ ჩვეულებრივ გაკვეთილზე ქალბატონმა ირინამ მორიგი სპექტაკლის იდეა გააცნო ბავშვებს. სიტუაცია მოხუცთა თავშესაფარში მიმდინარეობდა, სადაც სხვადასხვა პროფესიისა და ინტერესის მოხუცები ერთად ცხოვრობენ. სპექტაკლის სახელწოდება იყო „მატარებელმა ჩაიარა“. თეატრში ასეთი ტრადიცია ჰქონდათ. სცენარს ერთად კითხულობდნენ და ბავშვები, ხელმძღვანელთან ერთად, საკუთარ მოსაზრებას აფიქსირებდნენ, ვის რომელი როლი მოუხდებოდა. სწორედ ამ დროს, პარტერში ასეთი ფრაზა გაჟღერდა „სკლეროზიანი ანიკო გამოდის თავისი ოთახიდან და კითხულობს: მატარებელი რომელ საათზე გადის?“ და, რა თქმა უნდა, ყველამ ერთდროულად გოგონას გახედა. სწორედ იმ წამიდან მან ანიკოს პერსონაჟთან ერთად დაიწყო ცხოვრება და მისი გაცნობა. ეს კი დაუსრულებელი პროცესი აღმოჩნდა, რადგან გოგონას გულში ანიკომ სამუდამოდ დაისადგურა. ანიკოს საოცარმა პერსონაჟმა და ამ სპექტაკლმა გოგონას ერთ-ერთი ოცნება აუხდინა. „მატარებელმა ჩაიარა“ ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ-მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრში ითამაშეს. ერთი შეხედვით, – არაფერი, მაგრამ წარმოიდგინეთ, ასეთი ოცნება და მიზანი ერთ დღეს რეალობად რომ გადაქცეულიყო, რას იგრძნობდით? „მატარებელმა ჩაიარა“ ფესტივალი „მზიანი საქართველო“-ს ყურადღების გარეშეც არ დარჩენილა. სპექტაკლი ქობულეთში, ეზოს თეატრში, ღია ცის ქვეშ ითამაშეს. სპექტაკლი 11-ის ნახევარზე იწყებოდა, წუთებიღა იყო დარჩენილი, რომ წვიმა დაიწყო. გავიდა ერთი წვიმიანი სცენა, მეორე. გოგონას გულს ბაგა-ბუგი გაუდის და მესამე სცენაც იწყება. სველ იატაკზე გამორბის სკლეროზიანი ანიკო და კითხულობს, „მატარებელი რომელ საათზე გადის?“ წვიმის წყლით გაჯერებულმა სპექტაკლმა ფესტივალზე საპატიო ადგილი დაიკავა და მთავარი პრიზი მიიღო, გოგონა კი „ანიკოს როლის საოცრად შესრულებისთვის“ დააჯილდოვეს. ვერც ამ ემოციების შესახებ შეძლებს საუბარს და ახსნას, თუ რას განიცდიდა იქ ყოფნის დროს. ეს ყოველივე თითოეულმა ადამიანმა უნდა გამოსცადოს. რაც ყველაზე მთავარია, ერთხელ მაინც უნდა წარმოიდგინოს ახალგაზრდა ადამიანმა მოხუცის ადგილას თავი, რომ მიხვდეს, რამდენ მტკივნეულ რამეს ხვდება ცხოვრების განმავლობაში. გააზრება იმ დეტალებისა, რომლებიც ჩვენთვის ერთი შეხედვით უმნიშვნელოა, თუმცა მათთვის – არა.

2019 წელს თეატრ „თაობამ“ გადაწყვიტა, 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის 30 წლისთავისადმი სპექტაკლი მიეძღვნათ. სპექტაკლის სცენარი „9 აპრილის ტრაგედიის“ წიგნიდან დაიწერა, სადაც გოგონას ერთ-ერთი სტუდენტის როლი ერგო. სიტუაციები ხდებოდა იმ ადამიანების ოჯახებში, რომლებიც მშვიდობიან პროტესტსა და თავისუფლებას შეეწირნენ. სპექტაკლს „თავისუფლება ლომთა ხვედრია“ დაარქვეს. ამ სპექტაკლში თამაშის დროს მისი პასუხისმგებლობა ცას სწვდებოდა. ეს დღე ხომ ყველა ქართველის გულში სამუდამო და მოუშუშებელ იარად რჩება. და ის, რომ ერთ-ერთ გმირს განასახიერებ და საზოგადოებას თუ მაყურებელს სწორედ აცნობ მას, უდიდესი პატივია და შესაძლებლობა, რომ ამ როლს სათუთად მოუფრთხილდე და მოუარო. ეს სპექტაკლიც ნოდარ დუმბაძის მოზარდ-მაყურებელთა თეატრის მცირე დარბაზში ითამაშეს და სპექტაკლის შემდეგ მას თეატრის გამოსასვლელთან მამამისი დახვდა, ცრემლებით სავსე თვალებით და იმაში დარწმუნებული, რომ მისმა შვილმა ბუჩქის კი არა, ნამდვილი როლი ითამაშა.

სპექტაკლის წამი წუთს რომ ერწყმის, გულისცემა რომ გიასმაგდება და სამუდამო ჯადოსნობაში რომ ვარდები, ამის მიტოვება რთულია. როდესაც სცენა და პარტერი ერთი სუნთქვით სუნთქავს... ამის მიტოვებაც მოუწია გოგონას. თუმცა, ამ სამყაროში ყველაფერს აქვს საფასური. იცოდა, რის გამო და ვის გამო ტოვებდა ერთს და ჰქმნიდა მეორეს. როდესაც ზრდასრულ გოგონას მოუწია იმ გადაწყვეტილების მიღება, თუ რომელ გზას აირჩევდა სამომავლოდ, მან სხვა გზა აირჩია. აქ თუ მთავარი ძლიერი ჯაჭვი მაყურებელსა და მსახიობს შორის იყო, გოგონამ უფრო მძიმე ჯაჭვის ტარება გადაწყვიტა ინფორმაციასა და საზოგადოებას შორის. გეტყვით იმასაც, რომ წერა თეატრზე არანაკლებ უყვარს. ამის შესახებაც ალბათ ოდესმე თავად მოგიყვებათ. ან ისევ მე გიამბობთ მის შესახებ. და მაინც, დღესაც ფიქრობს, რომ თეატრი და სცენა სამუდამოდ არ მიუტოვებია. სპექტაკლის აღდგენის დროს, გოგონას როლი მის „საკუთრებად“ რჩება ჯერ კიდევ. ალბათ დამეთანხმებით, რომ 4 წელი არ არის ცოტა ამ სამყაროში გასატარებლად. ადგილი, სადაც საკუთარი „მე“-ს პოვნა ბევრად ადვილია, რადგან ხარ სრულიად თავისუფალი, ხარ საკუთარი თავი და ხარ შენ. როცა გინდა იტირებ, როცა გინდა იცინებ, როცა გინდა იყვირებ ან კიდევ ჩუმად იჯდები სცენის კუთხეში და მხოლოდ სახის გამომეტყველებით იტყვი იმას, რასაც ზოგი ხმამაღლაც ვერ ამბობს. ეს უძვირფასესი ჯადოსნური სიზმარი თუ რეალობა, ზრდასრულმა გოგონამ პატარა არტისტს დაუტოვა. მართალია, პატარა დეტალები თავადაც წაიღო გულსა და გონებაში სამუდამოდ შესანახად, მაგრამ ძირითადი მოგონებები იქ დატოვა. მისთვის სანუკვარია ადგილი, სადაც სხვადასხვა ფერი აღმოაჩინა გაუფერულებულ დედამიწაზე. შეიძლება იფიქროთ, აზვიადებო, მაგრამ არა. არც ერთ დეტალს არ ვაზვიადებ და ამაში გოგონაც დამეთანხმება. სანამ, თავად არ დადგებით იქ და იმ მტვრით ფილტვები არ გაგევსებათ, ამას ვერ გაიგებთ, სანამ ტაშის გემოს არ იგრძნობთ და სანამ მაყურებელი ფეხზე არ დაგიდგებათ...

ალბათ კიდევ რამდენი რამის თქმა დამავიწყდა ან გამომრჩა... არა უშავს. ამას მერე გოგონა თავად მოგიყვებათ...ოდესმე.

ბოლოს მხოლოდ ერთი რამის თქმა მსურს:

გამარჯობა, მე ანა ვარ.

ანა ურდულაშვილი

სურათებზე: ავტორი თავის ერთ-ერთ პირველ როლში (მარცხნივ); თეატრ „თაობის“ დასი და მისი კურსდამთავრებულები (შუაში); თეატრ „თაობის“ ხელმძღვანელთან ირინა შიუკაშვილთან.

ერთი სემესტრი

ონლაინრეჟიმში ჩამწყვდეული

ყველაფერი 2020 წლის 26 თებერვალს დაიწყო, როცა საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევა დაფიქსირდა. ქვეყანაში გაჩენილმა საფუძვლიანმა პანიკამ იქამდე მიგვიყვანა, რომ საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა და მთელი ქვეყნის მასშტაბით კომენდანტის საათი ამოქმედდა. მაშინ ჯერ კიდევ მესამე კურსის სტუდენტი ვიყავი და შინაგანმა პროტესტმა ლამის შემჭამა. მინდოდა აქტიური სტუდენტური ცხოვრება, მეგობრებთან ერთად გართობა, სტაბილური სამსახური და ყველაფერი, რაც ნორმალურობასთან ასოცირდებოდა. არც ერთ სტუდენტს ლექციების ონლაინრეჟიმი არ მოგვწონდა და უსამართლობად მიგვაჩნდა ის ფაქტი, რომ ერთმა „პატარა“ ვირუსმა მთელი მსოფლიო დააპაუზა. მეორე სემესტრი სულ ახალი დაწყებული გვქონდა და ჩვენმა ლექტორმა, პაატა ნაცვლიშვილმა, შემოგვთავაზა, დღიურები დაგვეწერა. ამ დღიურებისთვის დაგვერქმია, მაგალითად, „კარანტინული დღიურები“ და იქ აღგვეწერა, როგორ შეიცვალა ჩვენი ყოველდღიურობა ვირუსის საქართველოში შემოსვლის პირველივე დღიდან. სხვა საქმე მაინც არ გვქონდა და ვიფიქრეთ, – რატომაც არა? მთელი კვირის დღიურებს მორიგ ლექციაზე განვიხილავდით და ვმსჯელობდით, რამდენად ერთნაირად ან განსხვავებულად მოქმედებდა კორონული დღეები ჩვენზე, რამდენად ვახერხებდით ინფორმაციისა თუ ემოციის გადმოცემას. მერე იქნებ დღიურების გაერთიანებასა და ცალკე გამოცემაზეც გვეფიქრა, რათა ისტორიას შემორჩენოდა რამდენიმე სტუდენტის ჩაკეტილი ცხოვრების ამბები და იქნებ მომავალ თაობას ასე გაეგო, რისი გადატანა მოგვიხდა. ჰოდა, პირველსავე კვირას იმდენად საინტერესო, იმდენი ახალი და იმდენი დამთრგუნველი რამ მოხდა, რომ მერე ლექციაზე შეკრებილები მივხვდით, საქმე სახუმაროდ ნამდვილად არ გვქონდა.

„23 მარტს ის მოხდა, რასაც ალბათ ვერც ვიფიქრებდით (ან ვიფიქრებდით, რაღა უნდა გაგვიკვირდეს): ჩაიკეტა მარნეული და ბოლნისი. შეიზღუდა შესვლა და გამოსვლა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა. მარნეულში ჩემი ორი ჯგუფელი ჩარჩა. ერთი, ნერვებს აყოლილი, ისედაც ყოველდღე გვეხმიანებოდა და ასე თუ ისე, სანამ მარნეულის სიტუაცია გააშუქეს, ყველაფერში გაგვარკვია. მეორემ, რომელთანაც შეტყობინება ვაფრინე, მითხრა, რომ შიგნით გადაადგილება შეზღუდული არ არის, მაგრამ მაინც ცოტა ხალხი დადისო“ *(გვანცა, 23 მარტი, თბილისი)...*

„ჩემმა ოჯახმა გადაწყვიტა, რომ ვირუსს სოფელში დამალვოდა. 16 მარტს მათ მეც შევუერთდი და მარნეულში, სოფელ წერეთელში ბებოსთან და პაპასთან ჩამოვედი. 23 მარტს საქართველოს პრემიერმა საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, რომ საქართველოში დაფიქსირდა შიდა გადაცემის პირველი შემთხვევა. ინფიცირებულია მარნეულში მცხოვრები 62 წლის ქალი. მთავრობამ ვირუსის უკონტროლო გადაცემის გამო მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტების სრული ჩაკეტვის გადაწყვეტილება მიიღო. მეშინია, მიუხედავად იმისა, რომ 16 მარტის მერე სახლიდან არ გავსულვარ. დღეს 23 მარტია და ამაზე უცნაური ორშაბათი ნამდვილად არ მახსენდება. პირველი ონლაინლექცია უკვე ჩამიტარდა. ჩემმა ლექტორმა მირჩია, ჩამეწერა ყველაფერი, რაც ჩემი ცხოვრების ამ პერიოდში მოხდება. ეს ჩემი პირველი დღეა ახალ რეალობაში. დაბნეული, შეშინებული და ისეთი აჟიტირებული ვარ, როგორც არასდროს. იმედია, ხვალ უკეთესი დღე მექნება“ *(გოგოჭური, 23 მარტი, მარნეული).*

„დრო თითქოს სწრაფად გადის. აგერ უკვე მეხუთე დღეა, სახლიდან არ გავსულვარ. სამეგობროს შეკრება, რომელიც თითქმის ყოველი საღამოს რიტუალი იყო, პანდემიამ დაარღვია და ახლა ტელეფონის საშუალებით გვიწევს ურთიერთობა. საერთო ჩათის მთავარი თემა ახლა, რა თქმა უნდა, კორონავირუსია. არ არსებობს, ინფიცირებულთა ან გამოჯანმრთელებულთა რიცხვმა მოიმატოს და რომელიმემ მაინც არ მოიწეროს. ჩვენც, მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, ხან გვიხარია და ხან გვწყინს“ *(თაკო, 24 მარტი, თბილისი).*

„თბილისში აფთიაქებიდან პირბადეები, სადეზინფექციო საშუალებები და ხელთათმანები გაქრა. ერთ-ერთ წიგნში ამოვიკითხე: „დასაღუპად განწირულ გემზე, ადამიანებს უფრო იმის შიში ანადგურებთ, რომ საჭმელი და სასმელი არ ეყოფათ და არა შიმშილი თუ წყურვილი“. ამ სიტყვებში ისე კარგად იყო გადმოცემული ჩვენი დღევანდელი სიტუაცია, მაშინვე გავაფეისბუქე“ *(გვანცა, 24 მარტი, თბილისი).*

„დღეს მე და ჩემმა მეზობელმა ქეთომ ყავა დისტანციურად დავლიეთ. ის თავის ეზოში იჯდა, მე – ჩემსაში. ისე ხმამაღლა ვჭორაობდით, ჩემი მეზობელი მანანა კი არა, ტრამპიც გაიგებდა ამერიკაში“ *(გოგოჭური, 24 მარტი, მარნეული).*

„არ ვიცი, პანიკის ბრალია თუ უბრალოდ თავს ვიზღვევ, მაგრამ დღეში 3-4-ჯერ მაინც ვიზომავ სიცხეს. თან სულ მგონია, რომ მაღალი სიცხე მაქვს. საბედნიეროდ, ჩემი ტემპერატურა 36,6-ს არ სცილდება. ეს ცოტა მამშვიდებს. აქ ძალიან ცოტა ჟურნალისტი მუშაობს. მხოლოდ – საზოგადოებრივი მაუწყებლობის ჟურნალისტები და ადგილობრივი ტელევიზია. ჩემი ნათესავი ლელა მარნეულის ტელევიზიის ოპერატორია. მისი ჟურნალისტი გარეთ დარჩა, ამიტომ ლელას ცალ ხელში კამერის, ცალში კი მიკროფონის დაჭერა უწევს. მთელი გულით მინდა, დავეხმარო. ჩემთვისაც რამხელა გამოცდილება იქნებოდა, მაგრამ სახლში სამი ძმა, დედ-მამა და მოხუცი ბებო-პაპა მყავს. მათ საფრთხეს ვერ შევუქმნი, ამიტომ სახლში ვრჩები და შორიდან ვგულშემატკივრობ ყველა ჟურნალისტს“ *(გოგოჭური, 25 მარტი, მარნეული).*

„ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ვირუსის პირველი შემთხვევა ოფიციალურად დადასტურდა. რაც უფრო მეტი დრო გადის, უფრო მეტად მენატრება ის ყოველდღიურობა, რომელიც თავისდროზე ძალიან დამღლელი მეგონა. ამდენი იძულებითი დასვენების შემდეგ მივხვდი, თუ რა კარგი იყო ის ყველაფერი, რაზეც აქამდე ვწუწუნებდი“ *(რომა, 26 მარტი, თბილისი).*

„ექვსი დღის თავზე რაღაცას მივხვდი: ხალხს დაინფიცირებულ ან გამოჯანმრთელებულ პაციენტებზე მეტად აინტერესებს ის, ვინც ვირუსის გადამტანია. მერე კარგად რომ იჩხუბონ, კლავიატურაზე თითები ხელის მოტეხვამდე აკაკუნონ და საპასუხოდ მოწონება ან კომენტარი მიიღონ. ანუ, სანახაობას მაყურებელი სჭირდება. მოკლედ, ეს იმ ამბავს მოჰყვა, მარნეულში 62 წლის ქალმა გარშემო რამდენიმე რომ დაავირუსა და იქამდე იბოდიალა, სანამ სრულიად საქართველოს წყევლა-კრულვა, მუქარა და „ამოწვით!“, „ჩაკეტეთ!“, „დახვრიტეთ!“ არ დაიმსახურა. ამასობაში დოლარი გარბის და ჩვენ ვერ ვეწევით. ლარი ეცემა და ჩვენც სულიერად ვეცემით“ (გვანცა, 26 მარტი, თბილისი).

„დანკინში“ ერთი ქალი ხშირად შემოდის. უმეტესად ამერიკანოს და კრუასანს უკვეთავს. ეტყობა, რომ ექიმია. დღესაც არ დაურღვევია ტრადიცია და შეკვეთა რომ აიღო, მოვიდა და ანტიბაქტერიული სითხითა და რჩევებით დამასაჩუქრა. როცა ქვეყანაში, და არა მარტო აქ, მსოფლიოში, ასეთი სითხეების დეფიციტია, ეს საში გაგვიშეშდა და ერთადერთ გზად „დარჩიშინ“ დაგვრჩა. ზოგჯერ ისიც კი მგონია, რომ მარცხნივ კი არა, სულაც გავჩერდით და გავიჭედეთ ერთ დიდ უსასრულო პრობლემაში, რომელსაც მოგვარების არაფერი სცხია. ყველაფერი მოგვენატრება, რაც 2019-ში დავტოვეთ. 2020 იქნება გამყოფი კედელი, რომელიც წარსულსა და მომავალს შორის აღიმართება. შევიცვლებით ჩვენც, ადამიანები და აღარაფერი ჩუქარი ნამდვილად შეუფასებელია“ *(გიორგი, 26 მარტი, თბილისი).*

„ახალი ხუმრობა გავიგე მარნეულზე:

„ცოლი: იცოდე სახლიდან წავალ.

ქმარი: მარნეულშიმც წასულხარ!“

დღეს მამას მეგობარმა „საზღვართან“ პირბადეების შეკვრა მოგვიტანა. აქ არც ერთ აფთიაქში არ იშოვება არც პირბადე და არც სადეზინფექციო ხსნარი“ *(გოგოჭური, 27 მარტი, მარნეული).*

„თვითიზოლაცია თითოეულზე ახდენს გავლენას. მაგალითად, ჩემი ძმები ერთმანეთის მიყოლებით ცვლიან ადგილს კომპიუტერთან და ვერც კი ხვდებიან, როგორ შეიცვალა აქტიური ცხოვრება უმოქმედო რეალობით. ახლა ჩვენ მიზეზს ვეძებთ, რომ როგორმე გარეთ გავიდეთ. თითქოს აივნიდან ვერ ჩაისუნთქავ ჰაერს. თითქოს სახლის კარიდან გასული სულ სხვა ჟანგბადით აივსებ ფილტვებს“ *(გვანცა, 30 მარტი, თბილისი).*

„მეზიზღება 2020. მარტივით გიჟი წელი გვექნება ვითომ? მარნეულში დღეს სასურსათო მაღაზია გაქურდეს. გაგიჟდა ეს ხალხი. ნისიების რვეულიც კი წაიღეს... ჩვენს მუნიციპალიტეტში ვირუსის ორი ახალი შემთხვევა დაფიქსირდა. რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო მიჭირს დღიურში რამის ჩაწერა. ზოგჯერ საერთოდ აღარ მინდა ვიცოდე, რა ხდება, რამდენი დაინფიცირდა, რამდენი გარდაიცვალა. განწყობაზე მოქმედებს. უიმედობის განცდა მეუფლება და გათენება აღარ მიხარია“ *(გოგოჭური, 31 მარტი, მარნეული).*

„სამყარო შეიცვალა. თითქოს საათის ისრის მიმართულებით მბრუნავმა დედამიწამ მხარი იცვალა და ზურგშექცეულმა უკუსვლა დაიწყო. ჩვენ წინ გადასადგმელი ნაბიჯი ჰაერში გაგვიშეშდა და ერთადერთ გზად „დარჩიშინ“ დაგვრჩა. ზოგჯერ ისიც კი მგონია, რომ მარცხნივ კი არა, სულაც გავჩერდით და გავიჭედეთ ერთ დიდ უსასრულო პრობლემაში, რომელსაც მოგვარების არაფერი სცხია. ყველაფერი მოგვენატრება, რაც 2019-ში დავტოვეთ. 2020 იქნება გამყოფი კედელი, რომელიც წარსულსა და მომავალს შორის აღიმართება. შევიცვლებით ჩვენც, ადამიანები და აღარაფერი იქნება ისეთი ჩვეულებრივი, როგორიც აქამდე იყო“ *(გვანცა, 31 მარტი, თბილისი).*

„დღეს პირველი აპრილია, მოტყუება ადვილია. რა მაგარი იქნებოდა, მსოფლიო ლიდერები რომ გამოსულიყვნენ დღეს და ეთქვათ, დამშვიდდით, ხალხო, ეს ყველაფერი უბრალოდ ბოროტი ხუმრობა იყო, ვირუსი არ არსებობს! წადით, სადაც გინდათ! იფრინეთ, რამდენიც გინდათ! წადით სკოლებში, უნივერსიტეტებსა და სამსახურებში! მორჩით უსაქმურობას! მაგრამ, სამწუხაროდ, ის რაც ახლა ხდება, მახინჯი რეალობაა“ *(გოგოჭური, 1 აპრილი, მარნეული).*

„ვერ ვხვდები, ისევ ჩაკეტილები რატომ ვართ? საზღვარს რატომ არ ხსნიან? მთელ ქვეყანაში ასეთი ამბავია და მარტო ჩვენ ვართ საგულდაგულოდ ჩაკეტილები. არადა „მაკდონალდსის“ დრაივზე გაივლიდა კაცი. მეგობრები მენატრება. ჩემი შეყვარებულიც მენატრება. გარეთ უაზროდ ბოდიალიც და უნივერსიტეტიც“ *(გოგოჭური, 2 აპრილი, მარნეული).*

„სიკვდილიანობის გრაფაში რიცხვი „ნოლი“, რომელიც ერთი თვე მყარად ინარჩუნებდა ადგილს, დღეს „ერთით“ შეიცვალა. საქართველოში კორონავირუსის შედეგად გარდაცვალების პირველი შემთხვევა დაფიქსირდა“ *(თაკო, 4 აპრილი, თბილისი).*

„ამ დაინფიცირებამ და ახალი კერების აღმოჩენამ ახალ სიტყვას შეაჩვია ხალხი: „კლასტერი“. კარგა ხანს აზრზე ვერ მოვედი, „კლასტერი“ რას ნიშნავდა. გადაცემებშიც ისე ხშირად ჟღერდებოდა, ბოლოს მივხვდი, რომ ძალიან მაღიზიანებდა. კი აქვს ყველაფერს თავისი სახელი, მაგრამ „კლასტერი“ არ მესიმპათიურება“ *(გვანცა, 6 აპრილი, თბილისი).*

„საქართველოში კორონავირუსი პირველად რომ დაფიქსირდა, ისეთ პანიკაში ჩავვარდი, რომ სამარშრუტო ტაქსიდან ჩამოსულმა, სახლამდე გზა სულ რვიანების ხაზვით გავიარე. მერე დრამატულად მივესვენე საწოლზე. ყელი, თავი და კუჭი ერთდროულად ამტკივდა. დედაჩემიანად ოჯახის ექიმთან გავქანდი. ექიმმა გვერდულად შემომხედა, ფილტვები გამისინჯა და ოთახიდან გამომაგდო, აქ აღარ დაგინახოო. მაშინ პანიკა როგორღაც დავძლიე და კარგა ხანს აღარც გამხსენებია“ *(გვანცა, 7 აპრილი, თბილისი).*

„დღეს მე და ჩემმა მეგობრებმა დალევა გადავწყვიტეთ. ვიბანავე, ჩავიცვი, თმა და მაკიაჟი გავიკეთე, ჭიქა ღვინით შევავსე და საღამოს 10 საათზე ჩავერთე საერთო ჩათში, სადაც ჩემსავით გამოპრანჭული მეგობრები ჭიქით ხელში მელოდებოდნენ“ *(თაკო, 8 აპრილი, თბილისი).*

„11-კვირიანი სრული იზოლაციის შემდეგ უჰანი, ქალაქი, საიდანაც მსოფლიოში კორონავირუსი გავრცელდა, გაიხსნა. უჰანის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, მარნეულში კიდევ 9 კვირა უნდა ვიყო, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა გამოვტოვო ჩემი შეყვარებულის დაბადების დღე, კიდევ დიდხანს ვიოცნებო „მაკდონალდსზე“, სილამაზის სალონებზე, თბილისის ქუჩებში სეირნობასა და ჟოლოს ჩიზქეიქზე“ *(გოგოჭური, 8 აპრილი, მარნეული).*

„კარანტინის მე-20 დღე თითქოს ჩვეულებრივად დაიწყო. თუმცა დილიდან ვგრძნობდი, თავი და სახსრები მტკიოდა. სიცხე 37,3 მქონდა. მამამ მაშინვე ოჯახის ექიმს დაურეკა და იმან გვირჩია, მიდით საავადმყოფოში და გაესინჯეთო. „ჯეო ჰოსპიტალში“ წავედით. ექიმმა მთხოვა, ყველასგან მოშორებით დავმდგარიყავი. ჩემი გულისცემა მესმოდა, თავბრუ დამეხვა, გავოფლიანდი. ცოტა ხანში დამიძახეს და მითხრეს, თუკი 0,0001 პროცენტი მაინც გაქვთ ეჭვი, რომ შეიძლება კორონავირუსი გქონდეთ, აქ დარჩენას და ტესტის გაკეთებას გირჩევთო. დარჩენა გადავწყვიტე. ანალიზის პასუხები ნორმაში მქონდა და ცოტა დავმშვიდდი. ბოქსირებულ





პანდემია

სტუდენტების ჩანაწერებიდან

პალატაში გადამიყვანეს, თერმომეტრი და ორი ტაბლეტი შემომაწოდეს. გამაფრთხილეს, ერთი წამალი ცხრის ნახევარზე დალიე, მეორე ცხრაზეო. დაახლოებით, 6 საათზე ლუგარის ლაბორატორიიდან მოვიდნენ და ნაცხი ამიღეს. ძალიან უსიამოვნო პროცესი იყო. ანალიზის პასუხი ხვალ, დღის პირველ ნახევარში იქნებაო. იმედია, უბრალოდ გავცივდი ან ჩვენი რომელიმე მამაპაპური ვირუსი მაქვს. იმედია, ხვალ ტესტის პასუხი უარყოფითი იქნება და ოჯახში დამაბრუნებენ“ *(გოგოჭური, 10 აპრილი, მარნეული).*

„ბოქსირებულ პალატაში რომ გადამიყვანეს, გამაფრთხილეს, გარეთ არავითარ შემთხვევაში არ გამოხვიდე, თუ რამე დაგჭირდება, კარებზე დააბრახუნე ან მედდის სახელი დაიყვირეო. ტესტის აღების წამიდან, დრო უსაშველოდ შენელდა, არც მუსიკა მამშვიდებდა და არც ფილმები. ვერაფრით ვიჯერებდი, რომ ამ დღეში აღმოვჩნდი. ვერ დავიძინე. შიშმა ამიტანა. ვიღაც კაცის ხმა მესმოდა. რაღაცას ამბობდა. თითქოს ბოდავდა... როგორც იქნა, გათენდა. მთელი ღამე სიცხე არ მქონია. ეს კარგის ნიშანია. დილით დამიკაკუნეს და მკითხეს, სიცხე რამდენი გაქვსო, მეც ვახარე: 36 და 7! ანალიზის პასუხებს დაახლოებით 12 საათისკენ ველოდებოდი. ნაცხი ვინც ამიღო, იმან ასე მითხრა, ხვალ 12-ზე პასუხი გეცოდინებაო. როგორც კი თორმეტი გახდა, იმ წამსვე დედამ დამირეკა, მოვედი, დე, ეზოში გელოდებიო. ვითომ არ იცოდეს ქართველების ამბავი. 12 საათი რომ თქვეს, მინიმუმ ერთი-ორი საათით დააგვიანდებათ. ჩემს ჯგუფელებთან დავრეკე ვიდეოჩათში. ყველაზე მეტად მათი ოპტიმიზმი და იუმორი მამშვიდებდა. ჩვენი საუბრის დროს ექიმმა შემოაღო კარი... მე, გვანცა, გიორგი და თეო ერთდროულად გავჩუმდით.

– გილოცავ, სალომე, უარყოფითია! – ბედნიერი ხმით მითხრა ექიმმა.

ოთხივემ ერთდროულად დავიწყეთ კივილი. მალევე გავუთიშე და დედ-მამასთან დავრეკე. ზუსტად ვიცი, თუკი ვინმე ამ ამბავს ჩემზე მეტად განიცდიდა, ესენი სწორედ ჩემი მშობლები იყვნენ. ლეომაც შვებით ამოისუნთქა ბათუმში, ხომ გეუბნებოდი, არაფერი იქნებაო, მითხრა და, სავარაუდოდ, ძილი გააგრძელა“ (გოგოჭური, 11 აპრილი, მარნეული).

„უკვე მესამე დღეა, რომელზე ვიძინებ და ვიღვიძებ ვეღარ ვარჩევ. მესამე დღეა, რაც სიცხე მაქვს, თუმცა ტემპერატურასთან და სურდოსთან გამკლავებაზე მეტად, ემოციურ და ფსიქოლოგიურ დრამებთან გამკლავება მიჭირს. გგონია, რომ რაღაც გჭირს და ნერვიულობ, ოფლიანობ, ვერ იძინებ. რაც არ უნდა ელაპარაკო საკუთარ თავს, რაღაც მაინც არ გასვენებს“ *(მეგი, 14 აპრილი, ფოთი).*

„მსოფლიოში პანდემიას ებრძვიან, ჩვენ კი დავიწყეთ პრიორიტეტების განსაზღვრა და გადაფასება. გუშინ თუ „დიორი“, „პრადა“, „შანელი“ და სხვა ბრენდები იყო შენი პიროვნების განმსაზღვრელი, დღეს მთავარია ჯანმრთელი, პირბადიანი და დასპირტული იყო“ *(გიორგი,15 აპრილი, თბილისი).*

„ოკლედ, ტელევიზორს სულ რომ არ უყურო და ახალი ამბები არ წაიკითხო, თბილისის ანძის ფერით მიხვდები, რომელ ქვეყანას უჭირს. დღეს ანძა გერმანიის დროშის ფერებით განათდა“ (თაკო, 18 აპრილი, თბილისი).

„ყველაზე განსხვავებული და საოცარი აღდგომის ღამე გვქონდა. „ხალხი კი არ მივიდა ტაძარში, ცა და მიწა აქციეს ტაძრად, ყველა მტკაველი ადიდებდა ღმერთს“. მრევლის დიდი ნაწილი სახლში დარჩა, ჩვენსავით ფანჯარასთან დაანთო სანთელი და ისე ილოცა“ *(გოგოჭური, 19 აპრილი, მარნეული).*

„გუშინ ვიფიქრე, დიეტას დავიწყებ, იქნებ მალე დამთავრდეს ყველაფერი, სირცხვილია, სახლიდან ხომ არ გამოვგორდები-მეთქი. კიდევ კაი, გადავიფიქრე. საგანგებო მდგომარეობა კიდევ ერთი თვით, 22 მაისამდე გააგრძელეს“ *(გოგოჭური, 21 აპრილი, მარნეული).*

„დღეს სტუმრებს ველოდები. თუმცა ნებისმიერ ადამიანს, რომელიც ეზოს კარს შემოაღებს, სულიერი იქნება, ლაპარაკი და სიარული შეეძლება, სტუმრად კი არა, პირდაპირ ოჯახის წევრად მივიღებ! ისე მიხარია ხალხის დანახვა, ლამისაა ფერხულში ჩავება და კოცონის გარშემო ვიცეკვო. ახლა არც ყავის თუ ჩაის ჭიქებით სირბილი მეზარება, პირველიდან მესამეზე და პირიქით, არც ვირუსის არსებობა მადარდებს, არც დახმარებაზე ვამბობ უარს, არც ატკიებული ყბები მაწუხებს. ვილაპარაკოთ და ილაპარაკონ“ (გვანცა, 28 აპრილი, თბილისი).

„ზოგჯერ ვერ ვიჯერებ, რომ მართლა ონლაინ ვსწავლობთ. იმ დღეს ჩემი რვა წლის ძმა მასწავლებელს ეუბნება, მას, გაჭედეთო. რას გვიშვრება ეს პანდემია“ *(გოგოჭური, 29 აპრილი, მარნეული).*

„დღეს ცხოვრებაში პირველად მქონდა დისტანციური პიკნიკი. ისე მონატრებით ვუყურებდი მწვანე ბუნებას, ხეებს, თითქოს პირველად ვხედავდი“ (მარიამი, 3 მაისი, თბილისი).

„უკვე სამი დღეა, სახლიდან არ გავსულვარ“ *(რომა, 6 მაისი, თბილისი).*

„გიორგობის წინა დღეს რომ დავიბადე, იმიტომ მქვია გიორგი, თორემ ისე ცოტნე უნდა მერქვას. უბანში 9-კაციანი სუფრაა გაშლილი. ოღონდ ისე, რომ კანონი არ ირღვევა. რა თქმა უნდა, მეც დამიძახეს. ჩავედი, დამლოცეს და ამოვედი. არ მინდოდა იქ ყოფნა და რაღაცები მოვიმიზეზე“ *(გიორგი, 6 მაისი, თბილისი).*

„უკვე მაღაზიაში გასვლაც მეზარება. მეზარება ხელების დაბანა, პარკებისა და ტელეფონის გაწმენდა, ტანსაცმლის გასარეცხებში ჩაგდება და ხელების დასპირტვა“ *(მარიამი, 7 მაისი, თბილისი).*

„ორმოცდაათი დღე გავიდა, რაც სახლში ჯდომა მოგვისაჯეს. ჩვენც მორჩილი ბავშვებივით ვხსედვართ, კუნთი გვადნება და ქონი გვემატება. ორი დღის წინ ვიფიქრე, სულ სახლში ჯდომაც არ შეიძლება, ნელ-ნელა თავი თავისუფლებას უნდა მივაჩვიო-მეთქი და გადავწყვიტე, მეგობართან წავსულიყავი. სალომესთვის არ მითქვამს. სამაგიეროდ, გადავურეკე მის დას და გავაფრთხილე, მთლად მოულოდნელი რომ არ ყოფილიყო. თან ისეთი პერიოდია, სტუმრობითაც კი შეიძლება ადამიანი უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო. სალომეს სახლამდე 15 წუთია. აქვე ცხოვრობს, ნახალოვკაში. მთელი ცხოვრებაა ფეხით დავდივარ და ავტობუსითაც კი არასდროს ჩავსულვარ. ახლა ტელეფონი მაქვს მომარჯვებული და ტაქსს ვიძახებ, ფეხით ჩასვლა კი არა, ჯიბეებს ვამოწმებ, პირბადე არ დამრჩეს. თითქმის ხუთი საათი დავრჩი. გახარებულ-გაოცებული მეგობარი გონს ძლივს მოვიყვანე. როგორც ყოველთვის, ყავა და ჩაი დავლიეთ. ენის გადატყავებამდე ვილაპარაკეთ და სანამ კომენდანტის საათი მომისწრებდა, სახლში ტაქსით დავბრუნდი“ *(გვანცა, 9 მაისი, თბილისი).*

„ღმერთო, როდემდე? ლექციას ცალი თვალით ვუყურე და ცალი ყურით ვუსმინე. ცალი ყურით იმიტომ, რომ მეორე ბალიშზე მედო და კარგად არ მესმოდა. არ მეგონა, თუ ლექციების შემდეგ მეტროს ვაგონში ჭედვა და სახლამდე მისასვლელად საათნახევრიანი გზის გავლა მომენატრებოდა“ *(გოგიშვილი, 13 მაისი, ქვემო თელეთი).*

„საღამოს სტუმრები მოვიდნენ და ცხრის ნახევარი იყო, რომ წავიდნენ. სახლში მივასწროთ, სანამ კომენდანტმა აქეთ მოგვისწროო, – ხუმრობდნენ. ჩემი თავი დავიჭირე, რომ ბოლო რამდენიმე დღეა, კორონას მონაცემებისთვის თვალი აღარ მიდევნებია“ *(გიორგი, 16 მაისი, თბილისი).*

„რაღაც შეიცვალა: გარეთ უფრო ხშირად გავდივარ, ვიდრე აქამდე. შეიცვალა დანიშნულების ადგილიც. მხოლოდ აფთიაქითა და მაღაზიით აღარ შემოვიფარგლები. მაგრამ, მაინც მგონია, რომ ეს „ხიდჩატეხილობა“ კიდევ დიდხანს გაგრძელდება და საერთოდაც, აღარაფერი იქნება ძველებურად“ *(თაკო, 16 მაისი, თბილისი).*

„თითქმის ორთვიანი კარანტინის შემდეგ, დღეს მარნეული და ბოლნისი გაიხსნა. მალე ალბათ კომენდანტის საათიც მოიხსნება და ნელ–ნელა ღამის თბილისიც ამოიქოქება“ *(რომა, 18 მაისი, თბილისი).*

„ზუსტად ორმოცდაცხრამეტი დღე გავიდა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებიდან და მე დღეს პირველად გავიგე ბავშვების ხმა ჩემი სახლის წინ. ბურთით თამაშობდნენ, ჩემს გიჟ ძაღლს უარესად აგიჟებდნენ და ერთმანეთს სიცილით დასდევდნენ. გულის სიღრმეში ვიგრძენი, რომ კორონა ნელ-ნელა უკან დაიხევდა და კიდევ უფრო მეტი ბავშვის ხმას გავიგებდი. იქნებ ერთი, ორი, ან რამდენიმე კვირის შემდეგ მაინც“ *(გვანცა, 18 მაისი, თბილისი).*

„მომავალში, როცა ეს ყველაფერი ჩაივლის და ძველ ცხოვრებას დავუბრუნდებით, (თუ დავუბრუნდებით!) კორონულ დღეებზე გასახსენებელი და შვილიშვილებისთვის მოსაყოლი ბევრი არაფერი მექნება გარდა იმისა, რომ წარსულში რაღაც ვირუსმა, რომლის წარმომავლობა არც კი ვიცოდით, ყველანი სახლში გამოგვკეტა და თავდაყირა დააყენა ჩვენი ყოველდღიურობა“ *(რომა, 19 მაისი, თბილისი).*

„ეს დღეებია, ჯგუფელები უქმად დაკარგულ ერთ სემესტრზე ვდარდობთ. ჯერ ოთხი წელი სწავლა რა არის, გაგიმართლებს ადამიანს რაღაცაში, აღმოჩნდებიან უნივერსიტეტში საშენო ადამიანები და უცებ, ოთხი წლიდან სამ-ნახევარზე ჩამოდიხარ. სადაა სტუდენტური წლები, სეირნობა, მცხეთა, ჭამა, ჭამა, ჭამა“ *(გვანცა, 21 მაისი, თბილისი).*

„დღესაც და, მორჩა! არ მჯერა, რომ კარანტინის ბოლო დღეა. ისე მიხარია, გეგონება ციხიდან სახლში გიშვებენო“ *(გოგიშვილი, 22 მაისი, ქვემო თელეთი).*

„დღევანდელი დღე ჩემთვის თავიდან დაბადებასავითაა. დღეს, ზუსტად ღამის 12 საათზე, ე. წ. „კომენდანტის საათი“ მოიხსნება. მთელი დღეა ვწრიალებ და ერთი სული მაქვს, 12 საათი როდის მოვა. საწოლში ვიწექი, როცა ქუჩიდან ლაპარაკის ხმა მომესმა. საათს შევხედე, პირველის ხუთი წუთი იყო. ეგრევე წამოვხტი ლოგინიდან და აივანზე გავვარდი. ვიწრო ქუჩაზე ხელგადახვეული წყვილი დავინახე. ნელი ნაბიჯით სველ ასფალტზე მიაბიჯებდნენ. ვერ აღვწერ, მაშინ რა ემოცია დამეუფლა: სიხარული, თავისუფლება, შიში. ვიღაც იტყვის, შიში რა მოსატანიაო, მაგრამ ეს ჩემთვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ დაძაბული ველოდებოდი, პოლიცია როდის გამოჩნდებოდა და ამ წყვილს იდილიას დაურღვევდა. არავინ გამოჩენილა. ქუჩა მშვიდად ჩაიარეს და თვალს მოეფარნენ. აივანზე კარგა ხანს ვიდექი. მერე სხვებიც გამოჩნდნენ“ *(თაკო, 23 მაისი, თბილისი).*

„კარანტინი დასრულდა. დასრულ-და�ა“ *(გოგიშვილი, 23 მაისი, თბილისი).*

„ბენჯამინ ფრანკლინი ამბობდა, რომ „ის, ვინც დათმობს თავისუფლებას დროებითი უსაფრთხოების მისაღებად, არც თავისუფლების ღირსია და არც უსაფრთხოების“. რა იცოდა ერის მამად წოდებულმა, რომ მისი დაბადებიდან 304 წლის შემდეგ, მსოფლიო თავისუფლებას დაუფიქრებლად დათმობდა გადარჩენისთვის. იმისთვის, რომ უსაფრთხო ქვეყანაში თავისუფლად გვეცხოვრა“ *(გვანცა, 23 მაისი, თბილისი).*

„დღეიდან აღარც კარანტინია, აღარც კომენდანტი, მაგრამ მე მაინც სახლში ვზივარ. მგონი იმდენად მივეჩვიე საგანგებო სიტუაციას, რომ ცხრის მერე გარეთ გასვლა წარმოუდგენლად მეჩვენება. იმედია, ისევ გადმოვეჩვევი და უწინდელ ცხოვრებას დავუბრუნდები“ *(გიორგი, 23 მაისი, თბილისი).*

„ჩემთვის დროის ათვლა 7 მაისიდან დაიწყო. ამ დღეს ცნობილი გახდა, რომ 18 მაისს მარნეულის მუნიციპალიტეტი იხსნებოდა. ზუსტად ორი თვის თავზე შევძლებდი მონატრებული თბილისის ნახვას. რა უნდა ყოფილიყო ამაზე ამაღელვებელი? 11 დღეში თავისუფალი ვიქნებოდი. თბილისი გალამაზებული და დასვენებული მეჩვენა. ამდენმა მაღალმა შენობამ და მანქანებმა თვალები ამიჭრელა. რა მაგარია ქალაქი! გეგმაში კი მქონდა მაკდრაივზე შევლა და ყველაზე დიდი ბურგერის დატაცება, მაგრამ იმხელა რიგი იყო, მადა დამეკარგა. შეზღუდვების მოხსნის შემდეგ, როცა ქალაქი ქაოსში ჩაიძირა, ის დრო მომენატრა, მარნეულში მთელი ოჯახი ჩვენ მიერ მოგონილ თამაშებს რომ ვთამაშობდით. რა უცნაური არსებაა ადამიანი. თვითონაც არ იცის, რა უნდა“ (გოგოჭური, 25 მაისი, თბილისი).

პანდემია სემესტრის დასრულებასთან ერთად სულაც არ დამთავრებულა. არც ჩვენი დღიურებით ამოინურა. საერთოდაც, ყველაფერი ცუდი და უარესი სწორედ ამის შემდეგ დაიწყო. თუმცა ჩვენთვის ასეთ მასშტაბურ მოვლენასთან შეჯახება პირველი იყო და ყველა თავისებურად განვიცდიდით იმ შეზღუდვებს, რომლებსაც, საბოლოოდ, მაინც მივეჩვიეთ. ახლა ის ამბები, რომლებსაც ამ დღიურებით ვყვებოდით, შესაძლოა სასაცილოდაც კი მოგეჩვენოთ, მაგრამ მაშინ ეს იყო ჩვენი შიშების მაქსიმუმი და არასდროს გვეგონა, რომ ისევ დადგებოდა ის რეალობა, რომელშიც თავისუფლად, უკორონოდ ვიცხოვრებდით. ამ თითქმის სამწლიანმა ვირუსმა ხომ ამდენი მსხვერპლი და უბედურება მოუტანა მთელ მსოფლიოს.

თაკო ბოკუჩავას, რომა გაგნიძის, სალომე გოგიშვილის, სალომე გოგოჭურის, მარიამ ფარცვანიას, მეგი შენგელიას, გიორგი ცერცვაძის და თავისი ჩანაწერები საგაზეთოდ მოამზადა გვანცა ექიზაშვილმა

თინათინ ლოგჯანიძე:
2002 წლის ივლისში ტყუპი გოგონები გავჩნდით. ბავშვობიდან ცნობისმოყვარე ვარ. მომწონს კითხვების დასმა და ამბების მოყოლა. განსაკუთრებულად მიყვარს სიმღერა და ფოტოების გადაღება. ორივე ერთნაირად მაბედნიერებს. რამდენიმე თვეა, რაც ჩანაწერების გაკეთება დავიწყე. ვყვები ამბებს: ზოგს ჩემსას, ზოგსაც – სხვისას. ჩემი საყვარელი ფილმია „მკვდარი პოეტების საზოგადოება“. საყვარელი წიგნები: „1984“ და „თამაში ჭვავის ყანაში“. ვერ ვიტან უსამართლობას და ვცდილობ, ყოველთვის გავაპროტესტო. ერთადერთი სურვილი მაქვს – გავხდე კონკურენტუნარიანი ჟურნალისტი. ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ.

აუტანელი სიმსუბუქის სიმძიმე

დიდი ხანი გავიდა მასთან შეხვედრიდან, თუმცა პირველად ნახვის ემოცია ახლაც გამოყოლილი მაქვს. ღმერთო ჩემო, როგორ ვნერვიულობდი!..

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ უნივერსიტეტის რადიოში ჩემს პირველ რესპონდენტად ჟურნალისტ დათო გორგილაძის მოწვევა მინდოდა. ვინც მიცნობს, ყველამ იცის, რომ ეს ადამიანი ჩემთვის მნიშვნელოვანია. ყველას ვეუბნებოდი და დაჟინებით ვთხოვდი, რომ მისი ერთი გადაცემისთვის მაინც ეყურებინათ. ბევრმა მეგობარმა დამიჯერა და ახლა ინტერესით ელიან მის თითოეულ გადაცემას, რომელსაც „გორგილაძის აუტანელი სიმსუბუქე“ ჰქვია.

დათო გორგილაძე საავტორო გადაცემაში აღმოვაჩინე. თავიდანვე მივხვდი, რომ გადაცემა განსხვავებული ფორმატის იყო. იმ პირველ გადაცემაში, რომელსაც ვუყურე, სტუმრად მწერალი ანა კორძაია-სამადაშვილი ჰყავდა. ჟურნალისტი კარგად იყო მომზადებული და ეტყობოდა, რომ რესპონდენტსაც კარგად იცნობდა.

ინტერვიუდან ერთი ფრაზა დამამახსოვრდა: „ადამიანმა არ უნდა წეროს იმაზე, რაზეც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს“. ანა კორძაია-სამადაშვილს ისეთი თხრობის მანერა აქვს, რომ უნებლიედ გითრევს, გაინტერესებს მისი მომდევნო სიტყვა. მე არ მახსენდება არც ერთი გადაცემა, რომლითაც ასე მოვხიბლულვარ.

გორგილაძეზე უამრავი რამ წავიკითხე. გავიგე, რომ ბლოგებს წერდა და წიგნიც დაუწერია – „ღმერთი სამსახურშია“. მეორე დღესვე შევიძინე. მომეწონა, მაგრამ ბლოგებმა განსაკუთრებულად აღმაფრთოვანა. ამის შემდეგ ჩანაწერების გაკეთებაც კი დავიწყე.

მაინტერესებდა, უყურებდა თუ არა ხალხი ამ გადაცემას და აღმოვაჩინე, რომ ბევრი ადამიანი უყურებდა და თანაც ძალიან მოსწონდათ. სქროლვის დროს იმასაც მივხვდი, რომ გადაცემას, უმეტესად, შუახნის ქალები უყურებენ. ერთ-ერთი ქალბატონი წერს: „გორგილაძის შემოთავაზებული აუტანელი სიმსუბუქე ნელ-ნელა იმდენად ასატანი ხდება, რომ დღე დავიმახსოვრე და ველოდები ხოლმე გადაცემას“.

ცნობილი ჟურნალისტი ია ანთაძე დათო გორგილაძის შესახებ ამბობს: „ყოველთვის მომწონდა, როგორ ყვებოდა ამბებს დათო გორგილაძე“.

სინამდვილეში, მართლაც ბევრს მოსწონს გორგილაძე. მხოლოდ ნიჭი და განათლება როდი კმარა იმისათვის, რომ კარგი ადამიანი იყო. გორგილაძე მართლაც კარგი ადამიანი აღმოჩნდა. ცუდი ასეთ კარგ რაღაცებს ვერც გააკეთებდა.

გორგილაძესთან ინტერვიუ იმ დღიდან მინდოდა, რაც მის გადაცემას ვუყურე.

მასთან დარეკვის თემა ცალკე მოვლენა და ნერვიულობა იყო. კინაღამ მოვკვდი, სანამ მიპასუხებდა. მითხრეს, შენზე დარეკილია და იცის, რომ უნდა გიპასუხოსო. არ მესიამოვნა. რა გამოდის, სხვების დარეკილს არ იღებს-მეთქი? მაგრამ ისეთი გახარებული ვიყავი, რომ არაფერი მაინტერესებდა.

დავრეკე. ზარი გავიდა. ველოდები. აიღო. მეღირსა-მეთქი, გავიფიქრე.

– დრო თუ გაქვთ? – ვეკითხები.

– საჭეთან ვარ. ნახევარ საათში დამირეკეთ.

ნახევარ საათში არ დამირეკავს. უხერხულია-მეთქი, ვიფიქრე. უნივერსიტეტიდან რომ გამოვედი, მაშინ დამირეკა. ავუხსენი, რომ სტუდენტი ვიყავი და რადიოში მისი მოწვევა მინდოდა. თუმცა ჩემს შეთავაზებულ დროს არ ეცალა და ბოდიში მომიხადა. არ დავნებდი. ვუთხარი, რომ კიდევ შევეხმიანებოდი.

გავიდა რამდენიმე დღე. გამოფენის გადასაღებად მივდიოდი. ყველაფერი ხელში მიჭირავს: კამერა, მიკროფონი, შტატივი და შევდივარ სასტუმრო „სტამბაში“. და რას ვხედავ?! გზას გორგილაძე მითმობს. დაბნეულობისგან არ ვიცოდი, რა მექნა. იცით როგორ ვიყავი? ბავშვები რომ რომელიმე მსახიობს დაინახავენ და აფორიაქებულები არიან, ზუსტად ისე.

– ერთთთი წუთთთით.

– გამარჯობა, – გაკვირვებული და გახარებული სახე ჰქონდა. ალბათ ეგონა, რომ მის გადაცემაზე ვეტყოდი რაიმეს.

– გამარჯობა. მე გირეკავდით რადიოდან.

– დიახ, გვანცა.

– არა, გვანცა არა, თიკო, – მოვიღუშე. თითქოს ჩემი სახელი უნდა სცოდნოდა.

– უი, დიახ.

– თქვენი მოწვევა მინდა. იქნებ, ამ კვირაში მაინც გეცალოთ.

– მცალია და მოვალ, – შემპირდა.

მთელი დღე გამყვა ეს ემოცია. მეგონა, რომ რაღაც დიდი მოხდა ჩემს ცხოვრებაში. იმ დღეს ოპერატორიც მე ვიყავი და ჟურნალისტიც. მარტოს უნდა გადამეღო გამოფენა, მაგრამ ნერვიულობაც დამავიწყდა.

აქამდე შემთხვევითობების დიდად არ მჯეროდა. თბილისი კი პატარა ქალაქია, მაგრამ ასეთი დამთხვევები მაინც რაღაცას უნდა ნიშნავდეს.

ინტერვიუ სატელევიზიო ფორმატით შეიცვალა, რადიოში კი ორ კვირაში მოვიწვევდი. დათქმული დღის მოახლოებასთან ერთად, ცხადია, ვნერვიულობდი.

დათოს მოსვლისთანავე ვუთხარი, რომ ეს ჩემი პირველი ინტერვიუ იყო და ვნერვიულობდი.

განათებები აინთო და ჩემი პირველი ინტერვიუც დაიწყო:

– საინტერესოა, სტუდენტთან თუ გქონიათ ინტერვიუ?

– არა, ასეთი გამოცდილება ჯერ არ მქონია. დავფიქრდი და საინტერესო იქნებოდა. შეიძლება ერთ-ერთი დავალების ფარგლებში ყოფილიყო, მაგრამ არ მახსენდება.

– იმედია ჩემი გაგახსენდებათ, – არც კი შემრცხვა და პირველივე კითხვისას ჩემს სითამამეს გავუსვი ხაზი.

– უკვე დარწმუნებული ვარ, ისეთ უხერხულობაში ჩამაგდეთ პირველივე კითხვისას.

– რას ნიშნავს თქვენთვის სტუდენტობა? გაიხსენეთ ის წლები, როდესაც ჯავახიშვილის უნივერსიტეტში სწავლობდით.

– პირველივე დღიდან მქონდა ახალი ცხოვრების დაწყების განცდა. გრძნობ, რომ ახლა ცოტა ვინმე თუ დაგეხმარება რამეში. საკუთარი თავის გატანის ალგორითმი გერთვება. თან საინტერესო იყო, თან ახალ ადამიანებს ვეცნობოდი, თან ლამაზი თავგადასავლები ეწყობა მაგ ყველაფერს. მათ შორის: რთული თავგადასავლები, ფათერაკები, დალევა, შიმშილი, ნაბახუსევი, ნაბახუსევიდან გამოსვლა. ეს ყველაფერი დიდ გამოცდილებას გძენს. ეს ისე, რომ ვთქვა არაამაღლებულად. ამაღლებულად იყო ის, რომ ახლა ვინც ჩემს ცხოვრებაშია, მათი დიდი ნაწილი სწორედ სტუდენტობიდან მომყვება.

მწერლობაზეც ვკითხე. საკმაოდ საინტერესო ინტერვიუ გამოვიდა. მომავალ ჟურნალისტებს გვირჩია, რომ ცნობისმოყვარეები ვიყოთ და საქმე მაღალკვალიფიციურად ვაკეთოთ.

ბოლოს გავუწოდე მისი წიგნი – „ღმერთი სამსახურშია“. ასეთი წარწერა გაუკეთა: „თინას, მომავალ ლარი კინგს, ოპრა უინფრისა და ელენ დეჯენერისს! წარმატებას გისურვებთ.“ და იქვე ხელი მომიწერა. გამომშვიდობებისას შემაქო და მითხრა:

– კარგად იყავი მომზადებული, ჩემგან დიდი კომპლიმენტი.

– ბატონო დავით, ამას ალბათ იმიტომ მეუბნებით, რომ სტუდენტის გახარება გინდათ... მართლა მოგეწონათ? გულწრფელად?

– რატომ არ გჯერა? თანაც ძალიან თავდაჯერებული იყავი. დამიჯერე, ასე გააგრძელე.

შემთხვევითობამ აქაც იჩინა თავი და გორგილაძეს ტელეფონი დარჩა. წვიმაში მომიწია მისთვის ტელეფონის გატანა, თანაც ვაკეში. მადლობა გადამიხადა და მითხრა, რვაჯერ მოვალ რადიოშიო. მეც დავიმახსოვრე და აუცილებლად მოვიწვევ ზუსტად რვაჯერ. შეთანხმება შეთანხმებაა.

ამ დამთხვევებმა მაფიქრებინა, რომ აშკარად ბედი მწყალობდა. ყველაზე მეტად იმის მეშინოდა, რომ იმედი არ გამცრუებოდა. მინდოდა ისეთი აღმოჩენილიყო, როგორიც მეგონა. ასეც მოხდა, კიდევ უფრო უკეთესი ადამიანი გამოდგა.

მეორედ ბეგბედერთან შეხვედრის დღეს ვნახე, საჯარო ბიბლიოთეკაში. გარეთ რიგში ვიდექი, როდესაც დავინახე. გავუღიმე. ისიც თავაზიანად მომესალმა. გადაცემაზე მკითხა – ვარგაო? ვუპასუხე, ვარგა კი არა, ყველაზე კარგი გამოვიდა-მეთქი. ბოლოს, ჩვენ გავიმარჯვებთო და ბეგბედერიც მოვიდა. იმდენი ხალხი იყო, რომ დათოს უკან მომიწია დადგომა. დათო, გიორგი კეკელიძე და თავად ბეგბედერი მართავდნენ ამ ღონისძიებას. იმისათვის, რომ იქ მყოფი ხალხი გაეხალისებინათ და ბეგბედერიც მოეშინაურებინათ, დათომ ბეგბედერის მიერ ნათქვამი სიტყვები ამოიკითხა: „რა ლამაზი ქვეყანაა, გაუმარჯოს საქართველოს, პუტინის დედაც..“. იქ მყოფი საზოგადოება გაგიჟდა სიხარულისგან. ტაშის ხმა არ ცხრებოდა.

სითამამე არასდროს მაკლდა, ჰოდა გადავწყვიტე, ბეგბედერის ავტოგრაფი დათოს მეშვეობით მომეპოვებინა. უარი არ მითხრა და საუბრის დროს ჩემი წიგნი გადააწოდა. მეც ასე გადავურჩი ბეგბედერის ფანების რიგში დგომას და ლოდინს. ბეგბედერის რამდენიმე ფანმა კი შემომიბღვირა, მაგრამ რა მადარდებდა, მთავარი ის იყო, რომ ხელმოწერა მქონდა. ბეგბედერზე მეტად დათოს ნახვა გამიხარდა. აღფრთოვანებული ვიყავი ჩემი სითამამით და იმაზე ფიქრით, რომ ბეგბედერთან შეხვედრა, დათოსთან შეხვედრადაც მექცა. ბოლოს ფოტოც გადავიღეთ და რადიოში მოსვლაზეც დავითანხმე.

რადიოში საინტერესო ბლიც-ინტერვიუ გამოგვივიდა. ინტერვიუს დროს მიხვდა, რომ სხარტი პასუხების გაცემას ვეღარ ახერხებდა. მე კი მივხვდი, რომ ბლიცი ჩემი საქმე არ არის. სიცარიელის განცდას გიტოვებს. ფაქტობრივად, ვერ იღებ იმ ინფორმაციას, რომელიც გაინტერესებს. ინტერვიუს მერე ვუთხარი:

– ბლიც-ინტერვიუ ჩემი საქმე არ არის.

– არც მე მიყვარს ბლიცი. მზესუმზირაა. თუ მეზარება, გადაცემაშიც ვაგდებ ხოლმე.

გამიხარდა, რომ ერთნაირი აზრი გვქონდა. შევთანხმდით, რომ ბლიცი არც ერთის საქმე არ იყო და როგორც დათომ აღნიშნა, „მზესუმზირაა“ და მეტი არაფერი.

ადრე რომ გეკითხათ, რომელი ჟურნალისტი მოგწონსო, ვერ გიპასუხებდით. ახლა ზუსტად ვიცი, რომელი ჟურნალისტი მომწონს. მგონია, რომ მასთან ინტერვიუ ჯერაც არ დამისრულებია. კიდევ შვიდჯერ მოუწევს მოსვლა იმისათვის, რომ თავისი დანაპირები აასრულოს. მე კი ვეცდები, რომ მალე მისი კოლეგა გავხდე და რესპონდენტობა მეგობრობით შევცვალო.

თინათინ ლოგჯანიძე

ლალო ბერია:

თავისი თავით მუდამ უკმაყოფილო ლალოს მრავალი „მე“ აქვს და ცდილობს, საკუთარი იდენტობა აღმოაჩინოს. უყვარს ფილმები, ცეკვა, წიგნები, ძაღლები, ადამიანები და ალბათ კიდევ რაღაცები. ემოციურია. ინსტინქტებით იღებს გადაწყვეტილებას, რაც ხშირად ამართლებს. სჯერა, რომ ცხოვრებაში უბრალოდ არაფერი ხდება. მისი მშობლები აფხაზეთიდან არიან. ომგამოვლილი მშობლების ხუჭუჭთმიან გოგოს ბავშვობიდან ფსიქოლოგიური ტრავმებიც მოჰყვება და ფიქრობს, რომ ამ ყველაფერმა გაზარდა. 2018 წლიდან სტუდენტია. ამ პერიოდში გარდა იმისა, რომ სტაჟიორ-ჟურნალისტად იმუშავა საზოგადოებრივ მაუწყებელში და ტელეკომპანია „იმედში“, რადიოში მუშაობის ოთხწლიანი გამოცდილებაც დაუგროვდა. ბოლო ხანებში ფოტოების გადაღებითა და წერითაა გართული. დარწმუნებულია, ადამიანმა ისეთი საქმე უნდა აკეთოს, რაც ბედნიერებას მოუტანს. ლალომ კი ბედნიერება სწორედ ამ ორ საქმეში იპოვა.

გაკვეთილები ნათელა გრიგალაშვილისგან

გაზაფხულის მატყუარა თვე იწურებოდა როცა აღმოვაჩინე, რომ მეოთხეკურსელმა საკუთარი თავი დავკარგე. ერთი კი ვიფიქრე, იქნებ, არც არასდროს მიპოვია-მეთქი და საბურთალოზე წავედი, უნივერსიტეტში. საკუთარ პრობლემებზე წუწუნმა შედეგი გამოიღო, ლექტორმა გვირჩია, წავსულიყავით ფოტოგამოფენაზე, რომელსაც უცნაური სახელი ერქვა: „მხოლოდ მდინარის ხმა ისმის“. თან გაგვაფრთხილა, ცოტა ადრე მიდით, დრო რომ გეყოთ დასათვალიერებლადო.

გამოფენა სასტუმრო „სტამბაში“ იყო მოწყობილი. წასვლამდე ფოტოგრაფების სიას გადავხედე. იქ იყვნენ: ნათელა გრიგალაშვილი, ტბელ აბუსერიძე, შახ აივაზოვი, იუსტინა მელნიკიევიჩი, დათო მესხი, იური მეჩითოვი, დინა ოგანოვა, ჟულიენ პებრელი, გიორგი შენგელია, გია ჩხატარაშვილი, გურამ წიბახაშვილი და ვახო ხეთაგური. ჩამოთვლილთაგან მხოლოდ ერთზე – ნათელა გრიგალაშვილზე მსმენოდა.

ნათელა, ძირითადად, სოფლებში, ბუნებაში იღებს. უყვარს ადამიანები, მათი ტრადიციები, ბავშვები და ამ ყველაფერს სურათებად გადმოსცემს. მისი ფოტოები გიყვება ამბებს, რომელთა ნაწილიც გინდა რომ გახდე. იმ მულტიმედიურ გამოფენაზე ნათელას ფოტოები საინგილოში მცხოვრებ ქართველებს ეხებოდა.

მოკლედ, როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, ასე აღმოვჩნდი გამოფენაზე პირველად. იმდღევანდელი შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იყო, რომ მოკლე დროში მოვიარე მუზეუმები, მოვინახულე სხვა გამოფენები. წიგნების კითხვა და წერა დავიწყე. სულ სხვა ინტერესი გამიჩნდა. უარი ვთქვი ხმაურიან გართობაზე და ამან თითქოს ერთიანად გამზარდა.

საკუთარი თავის ძიების პროცესში აღმოვაჩინე, რომ ის პროფესია, რაც ჩემი მეგონა, ჩემი სულაც არ ყოფილა. ჰოდა, ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, ფოტოგრაფიის კურსები გამევლო. თითქოს ბედად, ინსტაგრამზე ნათელა გრიგალაშვილის სთორი გავხსენი, ფოტოგრაფიის კურსზე რამდენიმე ადგილიღაა დარჩენილი და ვისაც გინდათ, შემეხმიანეთო, წერდა. ვიფიქრე, რატომაც არა, ფოტოგრაფობაც მინდა და ნათელას გაცნობის შანსიც მომეცემა-მეთქი, ჰოდა, ავდექი და მივწერე. ეს იყო სამშაბათს. კვირის ბოლოს ერთთვიანი სწავლება იწყებოდა. ერთ თვეში ფოტოგრაფი ვერ გავხდებოდი, მაგრამ ყველაფრად მიღირდა. მიხაროდა, რა თქმა უნდა, მაგრამ ფოტოაპარატი არ მქონდა და ტელეფონის იმედად უნდა ვყოფილიყავი.

სანამ ყველა შეიკრიბა, სახელოსნო დავათვალიერე. ყვავილები ძალიან მიყვარს, განსაკუთრებით გვირილები და სწორედ გვირილები დამხვდა სახელოსნოში. გამეღიმა, – ორივეს გვირილები მოგვწონს-მეთქი. იმას შეიძლება სულ არ მოსწონს, მაგრამ ისე გამოსაჩენ ადგილას ედო, თან ლამაზად... იქვე, თოკზე გაკიდულ ფოტოებზე მარტივად ამოვიცანი უკრაინის ომის კადრები.

...ყველანი ერთ ოთახში შევგროვდით. ნათელა შუაში დაჯდა, ჩვენ – მის გარშემო. ზოგი სკამზე, ზოგიც – იატაკზე. ყველამ სათითაოდ მოკლედ ვუამბეთ, რატომ ვიყავით იქ, რა მიზნები გვქონდა, რა გვინდოდა და რას მოველოდით. ის იჯდა და ჩუმად გვისმენდა. სახეზე ერთხელაც არ გამოხატვია რაიმე ემოცია.

თავიდან, ფოტოაპარატის ტექნიკური მხარე აგვიხსნა, შემდეგ საკუთარ გამოცდილებაზე გვესაუბრა. გვითხრა, ადამიანები ნელ-ნელა ერთფეროვნები ვხდებით, ყველაფერს ვაუფასურებთო. ადრე სოფელში ცხოვრობდა, ალბათ სწორედ აქედან მოსდგამს ბუნების სიყვარული, 16 წლის იყო, თბილისში რომ ჩამოვიდა. ახალგაზრდობაში არ ჰქონდა იმის ფუფუნება, ის ეკეთებინა, რაც უყვარდა. ბავშვობიდანვე გატაცებული იყო ხელოვნებით, ხატვითა და კინოთი. თბილისში რომ ჩამოვიდა, სამხატვრო სასწავლებელში გააგრძელა სწავლა. იყო პერიოდი, გაჭირვებისა და უსახლკარობის გამო ხან რომელ მეგობართან რჩებოდა, ხან რომელთან. ამიტომ, სწავლა მიატოვა და თავისი საქმიანობა ფოტოგრაფიას დაუკავშირა. სურდა, ოპერატორი გამხდარიყო. მხოლოდ ერთი ფილმი აქვს გადაღებული „სერგო გოთორანი“. რეჟისორი ირაკლი ფანიაშვილი ნათელას ფოტოებით მოიხიბლა და თავად შესთავაზა, ფილმის ოპერატორი ყოფილიყო. ეს იყო ნათელას პირველი და უკანასკნელი კინონამუშევარი.

პირველი ფოტოაპარატი „სმენა“ 15 მანეთად იყიდა. რამდენიმე ადგილას ისწავლა და ბოლოს, გურამ წიბახაშვილისა და იური მეჩითოვის კურსზე თავისი ფოტოებით მივიდა. რჩევის სათხოვნელად მისულ ნათელას გურამ წიბახაშვილმა გამოუცხადა, შენ უკვე ფოტოგრაფი ხარო. სწორედ აქედან დაიწყო ყველაფერი. როგორც თვითონ იხსენებს, იმ დროს ფოტოგრაფია კაცის საქმედ ითვლებოდა, ის კი პირველი ქალი ფოტორეპორტიორი გახდა და მუშაობა გაზეთ „დვრიტაში“ დაიწყო. პირველი დოკუმენტური ფოტოსააგენტოს დაარსებაც ნათელას სახელს უკავშირდება. „კონტაქტ ფოტოს“ 2015 წელს შეიქმნა. მისი დოკუმენტური ფოტოები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ცხოვრებაზე მოგვითხრობს. გაზეთში მუშაობისას მაღალი შემოსავალი არ ჰქონია. იმ დროისთვის უკვე ოჯახი ჰყავდა. ოჯახში ცუდი სიტუაციის მიუხედავად, ქმართან გაშორებას ფინანსური პრობლემების გამო ვერ ბედავდა. ეშინოდა, ისევ უსახლკაროდ არ დარჩენილიყო. მოგვიანებით მუშაობა შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახურში დაიწყო და ქმარსაც გაშორდა. მარტოხელა დედას უამრავი საქმე დააწვა მხრებზე.

სამინისტროდან წამოსვლის შემდეგ, რამდენიმე პროექტი წამოიწყო. ერთ-ერთი იყო „ფოტოკლუბი სოფლად“, რომლის ფარგლებშიც ის სოფლებში ჩადიოდა და ხალხს ფოტოგრაფიას ასწავლიდა. მან იცოდა, რომ ისინი ფოტოგრაფები ვერ გახდებოდნენ, მაგრამ ამით მათ ცხოვრებას რაღაც ახალი შემატა.

მის ერთ-ერთ პროექტში „დედაჩემის წიგნი“, რომელიც დედას მიუძღვნა, დედამისია აღბეჭდილი. ამით უნდოდა, ის ყველაფერი გადმოეცა, რასაც გრძნობდა, რაც ვერ შეძლო რომ ეთქვა, რადგან, როგორც თვითონ იხსენებს, უჭირდა დედის მიმართ გრძნობების გამოხატვა.

მისი კიდევ ერთი სერია „პანკისელი ქალები“, მნიშვნელოვანი ეტაპია ნათელას შემოქმედებაში. პანკისში ფოტოკლუბის ფარგლებში მოხვდა. თავდაპირველად, ექვსი თვით ჩავიდა. გაიცნო ქისტები, ადგილობრივი მაცხოვრებლები და მათი ტრადიციები. სულ ცდილობს, რომ სანამ გადაღებას შეუდგება, კარგად შეისწავლოს ის ადგილი ან ხალხი, ვისი ან რისი გადაღებაც სურს, რათა მათი ნაწილი გახდეს.

საკმაოდ დიდხანს იღებდა მხოლოდ შავ-თეთრ ფოტოებს. მისი ორი პროექტი „თაგვების სოფელი“ და „დედაჩემის წიგნი“ სწორედ შავ-თეთრი ფირითაა გადაღებული. მისი პირველი ფერადი პროექტი კი „დედა-ენაა“, რის შემდეგაც აქტიურად იყენებს ციფრულ კამერას.

ნათელამ საქართველოს ფარგლები მალევე გაარღვია და საზღვარგარეთაც გახდა ცნობილი. 2019 წელს მისი პირველი გამოფენა შედგა საფრანგეთში, მარსელის ერთ-ერთ გალერეაში, სადაც მისი ნამუშევრების გამოფენა გაიმართა. ფრანგულმა გამომცემლობამ Image Plurielles-მა ფოტოგრაფს შესთავაზა, რომ ფოტო-ალბომი გაეკეთებინათ. საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ კონკრეტულად ერთი თემა აერჩიათ და ეს თემა იყო „დუხობორები“.

2013 წლიდან ჯავახეთში მოგზაურობს და მის შესწავლას იწყებს. თავდაპირველად, ჩადის სოფელ გორელოვკაში, სადაც ყველაზე ბევრი დუხობორია. დუხობორები ერთ-ერთი მცირერიცხოვანი თემია საქართველოში, ისინი მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან, მაგრამ არ ცნობენ ჯვარს, ხატს, მღვდელსა და ეკლესიას. ჯავახეთში გადაღება შვიდი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, ფოტოგრაფს კი ათიათასობით ფოტო ჰქონდა გადაღებული. ფრანგულ გამომცემლობაში აქცენტი გაკეთდა ისეთ ფოტოებზე, სადაც ყველაზე ნათლად ჩანდა დუხობორების ცხოვრება. წიგნში მოხვდა ის არქიტექტურაც (სახლები), რომელიც დღეს განადგურებულია. ასევე ის ადამიანები, რომლებიც დღეს ცოცხლები აღარ არიან. „დუხობორების მიწა“ ასე ეწოდა გამოცემულ წიგნს, რომლის შექმნაშიც თავისი წვლილი საქართველოს კულტურის სამინისტრომაც შეიტანა.

ასევე ცნობილია ისიც, რომ თუშეთში გადაღებული მისი ფოტო ამერიკული ლიტერატურული ჟურნალის, Chiron Review-ს ზაფხულის ნომრის გარეკანზე მოხვდა. მოგვიანებით, ლონდონის ქუჩის ფოტოგრაფიის საერთაშორისო ფესტივალის ჟიურის წევრიც გახდა.

ისიც და მეც ზამთრის სუსხიან თვეში, დეკემბერში დავიბადეთ. ის 9-ში, მე კი – 29-ში.

ლალო ბერია

მარცხნივ (ქვემოთ) – ნათელა გრიგალაშვილის ფოტო პროექტიდან „დუხობორები“; დანარჩენი ორი ფოტოს ავტორია ნათელა გრიგალაშვილის მონაფე ლ. ბერია.

მარიამ მოთიაშვილი:
ჩემთვის ბედნიერება წვრილმანებშია, სახლშია, ოთახის იმ ფანჯარაშია, რომელზეც თავს ყველაზე კომფორტულად ვგრძნობ, ოჯახშია, მეგობრებშია, საყვარელ და ბედნიერ მოგონებებშია. ფასანაურში რომ მივდივარ და „თეთრ ხიდს“ ვხედავ, უკვე ვხვდები – სახლში ვარ. აქ ყველაფერი რაღაცას მახსენებს, სადაც არ უნდა გავიხედო ყველგან მოგონებებია, ბავშვობაა, მოსწავლეობაა. მომწონს ადამიანები, რომლებსაც არ ეშინიათ სიახლეების, თუნდაც ისეთი მარტივი და ამავდროულად რთული საქმის, როგორიცაა თმის შეჭრა, შეღებვა და სხვა ექსპერიმენტები. მიყვარს ადამიანები, რომლებიც იმას აკეთებენ, რაც მე შეიძლება ვერასდროს გავბედო. მე მარიამ მოთიაშვილი ვარ და ყველაფერში დადებითის პოვნა შემიძლია.

ფასანაური უხინკლოდ

– საიდან ხარ?

– ფასანაურიდან.

– აუუ, მანდ ძალიან გემრიელი ხინკალი აქვთ.

– კიი, ნამდვილად საუკეთესო.

– როდის წავიდეთ?

– როცა გვეცლება...

ვინ მოთვლის, რამდენჯერ მქონია მსგავსი დიალოგი. მიხარია, რომ ფასანაური ადამიანებისთვის ნაცნობია, მაგრამ ეს ის ადგილი სულაც არაა, რომელიც მხოლოდ ხინკლის გამო უნდა იყოს ცნობილი.

თბილისიდან არაგვის ხეობას რომ აუყვები და სხვა ხიდებისგან განსხვავებული ფორმის თეთრი ხიდი შეგხვდება, ესე იგი უკვე ფასანაურში ხარ. სხვათა შორის, ამ ხიდს ისტორიაც ვიზუალივით საინტერესო აქვს. გადმოცემით ვიცი, რომ ის გერმანელი ტყვეების აშენებულია. სამუშაოს დასრულების შემდეგ ისინი მის ქვეშ დაუყენებიათ და ხიდზე ტანკები გადაუტარებიათ. თუ ჩაინგრეოდა, მათაც თან მოიყოლებდა. ეს ხიდი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ააშენეს, მაგრამ მანამდე აქ აუცილებლად უნდა ყოფილიყო სხვა, თუნდაც უბრალო ხიდი, რადგან ფასანაურზე საქართველოს სამხედრო გზა გადიოდა და დღესაც გადის, სწორედ ის გზა, რომელიც აკაკი წერეთელმა, ილია ჭავჭავაძემ და სხვა „თერგდალეულებმა“ გაიარეს. შესაძლოა, რომელიმე მათგანი ფასანაურში გაჩერდა კიდეც. რომელიმე ადგილობრივთან სტუმრადაც იყო, მაგრამ აქაურებს მაშინ წარმოდგენაც არ ექნებოდათ, ვის მასპინძლობდნენ.

ყველას, ვინც პირველად მოდის ჩემთან, სახლს რომ მოაგნოს, ყოველთვის ასე ვეუბნები: „თეთრ ხიდს რომ გამოსცდები, შეგვხვდება“...

ხიდის თაღოვან კონსტრუქციაზე გადასვლა საკმაოდ რთულია და ყოველთვის სიამაყით ვამბობ, რომ მამაჩემმა ეს რამდენჯერმე გააკეთა. ამ ცოტა ხნის წინათ, როცა კიდევ გაიმეორა მსგავსი რამ და ფოტო მაჩვენა, ვუთხარი, ძალიან მაგარია, მაგრამ კიდევ კარგი, რომ გადადიოდი, იქ არ ვიყავი-მეთქი. მე ასეთი რამის გაკეთებას ვერასდროს გავბედავ, არც ასეთი უშიშარი ვარ. მახსოვს, ბავშვობაში მდინარეზე ვიყავით, ტურისტებმა ხიდზე გადასვლა რომ დაიწყეს. შუაში გაჩერდნენ, დასხდნენ. ჩვენ აღფრთოვანებულები ვუყურებდით, თან გვეშინოდა, ვინმე არ ჩამოვარდნილიყო. ისიც მახსოვს, გელა ბაბლუანის „მემკვიდრეობას“ ვუყურებდი, რომ უცებ ეკრანზე „თეთრი ხიდი“ გამოჩნდა. მეორე დღეს კლასელებს მოვუყევი, ტელევიზორში ჩვენი ხიდი ვნახე-მეთქი. ალბათ იფიქრეს, ყოველდღე ამ ხიდს უყურებს, ახლა ასე რამ აღაფრთოვანაო, მე კი უბრალოდ იმ ფაქტმა გამახარა, რეჟისორსაც რომ მოეწონა და კადრში მოახვედრა.

ფასანაურზე ამბობდნენ, დროს გაუსწროო. მაშინ, როდესაც დიდ ქალაქებში არ არსებობდა სასტუმროები აუზებით, კინოდარბაზებით, დასვენებისთვის და გართობისთვის ყველა საჭირო ინფრასტრუქტურით, ფასანაურში ეს ყველაფერი გვქონდა. ყოველ ჯერზე, როცა ფასანაურში, ჩემი სახლის აივანზე ვდგავარ და ხუთსართულიან ყოფილ ტურბაზას ვუყურებ, რომლისგანაც მხოლოდ კედლებია დარჩენილი, ვნატრობ, რომ ისეთმა ადამიანმა შეისყიდოს, რომელიც მას სიცოცხლეს დაუბრუნებს. ძალიან ბევრჯერ გაიყიდა. მოდიოდნენ, ათვალიერებდნენ, საძირკველს ამოწმებდნენ, განიხილავდნენ, სართულების დამატებას თუ გაუძლებდა. ხალხში იმედი გაჩნდა, რომ სამუშაო ადგილები შეიქმნებოდა და შორს აღარ მოუწევდათ წასვლა, მაგრამ სულ ტყუილად. ახლაც, რამდენიმე წელია, ახალი მფლობელი ჰყავს, მაგრამ ამით არაფერი იცვლება, რადგან ამ შენობაში ჯერჯერობით მხოლოდ ისევ საქონელი აფარებს თავს – მზეს, წვიმას და თოვლს ემალებიან. ზამთარში კი იქ შეიძლება რომელიმე გარეულ ცხოველსაც შეხვდეთ. სწორედ ამ გარეული ცხოველების გამოა, დღემდე შორიახლოს მარტო გავლის რომ მეშინია. ერთხელ საღამოს სახლში ვბრუნდებოდი. კარში რაღაც ცხოველი დავინახე და ისეთი ყვირილი მოვრთე, ჩემი ხმა მთელმა სოფელმა გაიგო. მეშინოდა, მგელი არ შემხვედროდა და ჩემი მეზობლის რომელიმე შინაური ცხოველის მსგავსად, მეც არ შევეჭამე.

ადრე კი ტურბაზა სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა. ოჯახში მისი სამი ფოტო გვაქვს. ბებიაჩემის მონათხრობიდანაც ვიცი, რომ ტურბაზას მუშაობის დროს აქ ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა. ადგილობრივებს სამსახური ჰქონდათ, ხალხი ისვენებდა, ერთობოდა, გარემო ყველანაირად კეთილმოწყობილი იყო. ჩემს ბავშვობაში აივნებს ჯერ კიდევ ჰქონდა შერჩენილი რკინის მოაჯირები, მაგრამ მახსოვს, როგორ მოხსნეს და ჯართში ჩააბარეს. გონებაში დარჩენილმა იმ ამბავმა დღემდე ისეთი შეგრძნება დამიტოვა, თითქოს დიდი ხანი არ არის, რაც ის გაქურდეს და მიატოვეს. ვინ იცის, რამდენი ადამიანის ისტორიას იტევს ფასანაურის ტურბაზის წარსული, ვინ იცის, ვის რა ახსენდება მის წინ ჩავლისას. მე, მაგალითად, მის გვერდით მდგარი ის შინდის ხე მახსენდება, რომელზე ასვლაც ძალიან ადვილი იყო და იმდენი ბავშვი ავდიოდით, რამდენიც დავეტეოდით.

ფასანაურში ზაფხულობით „გვარის ხატობა“ იმართება. ხანდოს ხეობაში რამდენიმე გვარის ხალხი ერთად იკრიბება ხოლმე თავ-თავიანთ სალოცავებში. მელიქიშვილების, ვეშაგურების და ზურაბაშვილების სალოცავს, სადაც ისინი ყოველ პეტრე-პავლობას ადიან, „მთავარაგნელოზი“ ჰქვია. მოთიაშვილებს და ჯანიაშვილებს ერთი სალოცავი გვაქვს – „სამება“. ხატობის ჩატარების ზუსტი თარიღი არ გვაქვს, მოძრავია და 12 ივლისის შემდეგ, რომელიმე შაბათ-კვირას უწევს. ყოველ წელს „მნათეები“ სხვადასხვა ოჯახის წარმომადგენლები არიან. ერთი მოთიაშვილების ოჯახიდან და ერთიც – ჯანიაშვილებიდან. მნათეების მოვალეობა ხატობის ორგანიზება და დღესასწაულის მონაწილეთა გამასპინძლებაა. ჩემი ოჯახიდან ბოლოს 2016 წელს იყო მნათე, შემდეგ კი 2024 -ში გვიწევს.

ყოველ წელს მოუთმენლად ველი სამებობას. ორი გვარის ხალხი ერთ ადგილას იკრიბება, შემდეგ ერთ დიდ სატვირთო მანქანაში ვსხდებით და იქამდე მივდივართ, სადამდეც მისვლა შესაძლებელია. მერე ტვირთს ვინაწილებთ და გზას ფეხით ვაგრძელებთ. სალოცავამდე კიდევ დაახლოებით ორმოცი წუთის გზაა გასავლელი. ადგილზე მისულები ცოტას ვისვენებთ, შემდეგ კარვებს ვშლით და ღამისთევისთვის ვემზადებით. კოცონის მარჯვენა მხარეს კაცები შლიან სუფრას. იქ ქალების გადასვლა არ შეიძლება. მაგრამ იმ ნაწილში, სადაც ქალები სხდებიან, კაცებს უპრობლემოდ შეუძლიათ გადმოსვლა. საღამოს სუფრა იშლება.

კოცონთან ჯდომა და ღამის გათენება ამ დღესასწაულის ჩემი საყვარელი ნაწილია, რადგან იქ ვიკრიბებით ყველა, ვისაც ღამის თევა და გართობა მოგვწონს. გართობაში ქალაქობანას, „ნამიოკობანას“ და სხვა მსგავს თამაშებს ვგულისხმობ, მაგრამ თუ ჩაგეძინა, შეიძლება გამურულმა გაიღვიძო და დილით ყველა შენზე იცინოდეს. ბოლოს ხატობაზე ორი წლის წინ ვიყავი. ბევრი უცხო ხალხი იყო. ერთ ბიჭს ჩაეძინა, მე გასამურად ვერ გავიმეტე და პლედი დავაფარე, არ გაიყინოს-მეთქი. დილით მადლობა კი გადამიხადა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ჩემი კეთილი ჟესტი ზედმეტ ყურადღებად აღიქვა და მწერდა, შენ ჩემი ბედი ხარო. რა თქმა უნდა, სოციალურ ქსელში ჩემი მოძებნა არ გაუჭირდა. სახელი იცოდა, გვარი კი მარტივად გამოთვალა.

კოცონთან ბევრ სახალისო ამბავს მოისმენთ. შეიძლება ვიღაცას გიტარა ჰქონდეს წამოღებული და სიმღერაშიც გაათენოთ. იქ, ძირითადად, ბავშვები და ქალები არიან, მაგრამ როდესაც კაცებს სმა მობეზრდებათ, ისინიც გვიერთდებიან.

გარიჟრაჟზე კაცები მთაზე ადიან, სადაც ეკლესიის ნანგრევებია. სანთელს ანთებენ და ჩამოდიან. შემდეგ ყველაფერს ალაგებენ და სახლში წასასვლელად ემზადებიან. იქიდან ჩამოსვლა ყოველთვის რთულია, რადგან ორი გზა ერთმანეთს ჰგავს და ხშირად გვეშლება რომელ გზას უნდა ჩამოვყვეთ. ერთ-ერთი მნათეობის დროს, როგორც მახსოვს, 2008 წელი იყო, ჩემს ერთ-ერთ ბიძას და კიდევ რამდენიმე ადამიანს გზა აერიათ და კინაღამ სახედარი დაუგორდათ. იქ მყოფი ხალხი რომ არა, ალბათ ბიძაჩემი თან გადაჰყვებოდა, რადგან ხელის გაშვებას არ აპირებდა. მე და დანარჩენები ამ ყველაფერს შორიდან ვუყურებდით და ძალიან ვნერვიულობდით. საბედნიეროდ, ყველა მშვიდობით დავბრუნდით სახლში, მაგრამ ამდენი წლის შემდეგაც კი, ასვლისას ყველას ავიწყდება უკან დასაბრუნებელი გზის მონიშვნა.

სამებობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ ჯანიაშვილებსა და მოთიაშვილებს ერთმანეთზე დაქორწინება არ შეუძლიათ. ეს ამბავი რომ გავიგე, 15-16 წლისა ვიქნებოდი. მაშინ საიდუმლოდ ერთი მწვანეთვალება ბიჭი მომწონდა, რომელიც მაინცდამაინც ჯანიაშვილი იყო გვარად. ჰოდა, ერთ საღამოსაც სახლში გვარის ხატობაზე ჩამოვარდა საუბარი და მაშინ გავიგე ამ ტრადიციის ამბავი. ჩემი ისედაც საიდუმლო მოწონება კიდევ უფრო გავასაიდუმლოვე და მერე საერთოდაც დავივიწყე...

მარიამ მოთიაშვილი

სურათებზე: (ქვემოთ, მარცხნიდან მარჯვნივ): ძველი ფასანაური (გრავიურა ელიზე რეკლიუს ალმობიდან); თეთრი ხიდი; ფასანაურის ტურბაზის ნაშთი.

თათია მექერიშვილი:
მე ვარ თათია მექერიშვილი, 20 წლის. მომავალი ჟურნალისტი. ამ უნივერსიტეტში ჩაბარება ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან საკუთარი თავი ისეთი აღმოვაჩინე, როგორიც რეალურად ვარ. თუ ჩემს თავგადასავალს კითხულობთ, ესე იგი ერთი ნაბიჯით წინ ვყოფილვარ. ძალიან მხიარული და კომუნიკაბელური ვარ. ვცდილობ, ცხოვრებით დავტკბე. მინდა, ყველას გავუზიარო ის სიყვარული, რომელიც მაქვს. ამ გაზეთზე მუშაობისასაც, ჩემ გვერდით არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ჩემთვის ბევრს ნიშნავენ და ყოველთვის გვერდში მიდგანან.

თაყვანისმცემელი

არარეალური „ოცნების კოშკი“

წარმოიდგინეთ ერთი ჩვეულებრივი ქუჩა, დანგრეული ჰოსპიტალი, გვერდით, პირველ სართულზე, კორპუსთან მიერთებული პატარა ეზო, სადაც ძალიან ბევრი კატაა და ასევე ჩემი საყვარელი ალუბლის ორი ულამაზესი ხე. ყოველთვის მაინტერესებდა ბავშვობაში, იტალიურ ეზოში ვცხოვრობდი თუ კორპუსში?

ჩემს სახლთან საკმაოდ ახლოსაა 116-ე საჯარო სკოლა, რომელშიც ვსწავლობდი. ამ ადგილთან ძალიან ბევრი მოგონება მაკავშირებს. კარგად მახსოვს, 12-13 წლის ასაკში მე და ჩემი დაქალები როგორ დავსეირნობდით სკოლის დერეფანში და ჩვენზე უფროს ბიჭებს ვეპრანჭებოდით. ზოგს ზედმეტსახელებს ვარქმევდით, რომ არავის გაეგო ვისზე ვჭორაობდით. მაშინ არც ერთს გვქონდა იმის გამბედაობა, რომ მივსულიყავით ჩვენს „პრინცებთან“ (ხანდახან ასეც ვეძახდით) და ყველაფერი გვეთქვა. გამბედაობა, ზოგადად, ყველა ადამიანს სჭირდება. მე ისევ ისეთი დავრჩი, როგორიც 7-8 წლის წინათ ვიყავი.

ალბათ ყველა ადამიანის ცხოვრებაში არსებობს ისეთი პიროვნება, რომელიც რამდენიმე თვეში ერთხელ ან თუნდაც რამდენიმე წელიწადში ერთხელ ჩნდება და გვიღვიძებს იმ მოგონებებს, რომელიც მასთან გვაკავშირებს. ასეთ ადამიანთან უხილავი ძაფი გვაკავშირებს, მაგრამ, როდესაც ერთმანეთს ვუახლოვდებით, ეს ძაფი წყდება ან იწვება. შეიძლება ძალიან გვიყვარდეს ან მოგვწონდეს, მაგრამ ერთად ვერასდროს და ვერანაირად ვიქნებით.

ჰოდა, მინდა გიამბოთ ასეთ ბიჭზე, რომელსაც დავარქმევ, მაგალითად, „პრინცს“. პრინცს ულამაზესი თვალები აქვს. არა მგონია, ვინმე მისი სილამაზით არ დატკბეს. ხელები და ტანსაცმელი ყოველთვის დასვრილი ჰქონდა – ან ნახშირით გაშავებოდა, ან ფერად-ფერადი საღებავით. ეს მხატვრებისთვის ჩვეულებრივი ამბავია. არაერთხელ დავუხატივარ, მაგრამ ჩემთვის მაინც გამორჩეულია ის ერთი ნამუშევარი, რომელზეც უნდა გიამბოთ:

2020 წლის 26 დეკემბერი იყო, ძალიან ცივოდა. მივადექით სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთ კორპუსს, სადაც ლინოგრავიურას აკეთებენ. სარდაფივით ადგილს შესასვლელი გარედან ჰქონდა – შიგნით საღებავის საკმაოდ მძაფრი სუნი იდგა, ტელეფონი არ იჭერდა. მეგონა, რომ სამყაროს მოვწყდი და ქვესკნელში აღმოვჩნდი, შუქი მალევე აინთო. ნივთები ისე იყო დაყრილი, თითქოს ეგრეც უნდა ყოფილიყო. ყველაფერი ერთმანეთს ავსებდა და ქაოტურ სურათს ქმნიდა.

...იმ დღესაც ჩანთიდან ნივთი ამოიღო, რომელზეც ჩემი ფოტო იყო ამოკვეთილი. იმ ჩანახატებში, რომლებშიც მე ვარ, ჩემ უკან ყოველთვის დგას ვიღაც ბიჭი, რომელიც სადღაც შორს მიდის. არ ვიცოდი, უნდა გამხარებოდა თუ მწყენოდა. ველოდებოდი მას, ვინც რკინის მაგიდაზე დიდი როლიკერით, რაღაც შავ მასას ათხელებდა. ეს მასა რაღაცნაირია, ბლანტი და წებოვანი. მეც ვცადე მისი შეთხელება, მაგრამ საკმაოდ დიდ ძალას მოითხოვდა და შევეშვი. ამ ამოკვეთილზე გადაიტანა ეს შავი მასა, მერე მოათავსა რაღაც ძალიან დიდ აპარატში, რომელიც ოთახის შუაში იდგა. თეთრი მყარი ფურცელიც ჩადო და მექანიზმი ერთად დავატრიალეთ. პირველი ძალიან ცუდი გამოვიდა, რადგან ამ ყველაფრის მთავარი მიზანი სიზუსტეა. თუ არ მოათავსებ ფურცელს სწორად ან ნელა დაატრიალებ, შეაძლებელია, ნამუშევარი გააფუჭო. არადა, შორიდან ასეთი რთულიც არ ჩანდა. მესამე ცდაზე გამოგვივიდა და შევქმენით ის, რასაც დიდხანს ვეწვალებოდით.

რატომ დაერქვა ნამუშევარს „ოცნების კოშკი“? – ალბათ იმ დროს გვეგონა, რომ ის ოცნება, რომელიც ჩვენს ერთად ყოფნას და მომავალს ნიშნავდა, რეალური იყო. ალბათ შემთხვევითობა იყო ის, რომ მე ეს ნახატი მის მეგობართან დამრჩა. ემოციამოზღვავებული ვიყავი, სამყარო ჩემს გარშემო ტრიალებდა და იმასაც კი ვერ მივხვდი, რომ დარჩა ის, რამაც ასეთ გუნებაზე დამაყენა. უიმისოდ სიცარიელე ვიგრძენი. დამამშვიდა, ხვალ მოგიტანო. მეც დავმშვიდდი, მაგრამ ტყუილად. ის მარტო 5 საათი იყო ჩემი.

ბევრი ჩხუბი გადავიტანეთ... ბოლოს წერილი მომცა. იქ ეწერა, რომ თუ მასთან ყველანაირი ურთიერთობის გაწყვეტა მინდოდა, ნახატი, რომელიც პირველად მაჩუქა, მის თვალწინ უნდა დამეწვა. ის სულ ციცქნა ფურცელზე იყო დახატული, ცისფერი და ლურჯი ფერები ამშვენებდა, აკვარელით ჰქონდა შესრულებული და ძალიან მიყვარდა.

დიდი ფიქრისა და გათენებული ღამეების შემდეგ დავურეკე და ვთხოვე, რომ მოსულიყო. 10 წუთში გაჩნდა ჩემს სახლთან. ჩანთიდან ჩემი საყვარელი შოკოლადები ამოიღო და მომაწოდა, ვიცი, რომ გინდაო. ვისაუბრეთ, ყველაფერი ავუხსენი. მერე ის სიყვარულით შესრულებული პატარა ნახატი ამოვიღე და მის თვალწინ წავუკიდე ცეცხლი. ვიცი, ახლა გაიფიქრებდით, ეს გოგო გიჟი ხომ არააო, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ძალიან სწორი გადაწყვეტილება იყო. მან ნახევრად დამწვარი ფურცელი გამომართვა და წავიდა. მგონია, რომ ახლაც შენახული აქვს.

2021 წლის პირველი იანვარია, ამ დროს ჩემს მეგობრებთან ერთად ვარ და ახალ წელს აღვნიშნავთ. უცბად სიჩუმე ჩამოწვა და ჩემმა ერთ-ერთმა მეგობარმა ყუთი და კონვერტი მომაწოდა. ძალიან დავიბენი, რადგან ყველა საჩუქარი, რასაც ველოდი, უკვე გახსნილი მქონდა. ურთიერთობის დასრულების მიუხედავად, „პრინცმა“ მაინც გადაწყვიტა, რომ ისევ გავებედნიერებინე, საჩუქარი და თავისი ხელით დაწერილი ლექსი მაჩუქა. პატარა მონაკვეთს გაგიზიარებთ, რადგან ისე მივისაკუთრე, რომ ბევრის გაცემა მენანება:

„ოთახის ბოლოდან მომესმა
რაღაც ხმა:
ისევ დაბრუნდი,
ისევ აქა ვარ,
გამომყოლია უკან ბილიკზე შენის
სევდა, შენ კი სადახარ?!
არ ვიცი როგორ მიპოვე
მე თვითონ არ ვიცი
სადა ვარ.
გზა ვერ მინახავს
ვაი, რო გამვლელიც არა ჩანს.
ისევ დაბრუნდა ისევ აქაა
შენის სევდა, შენ კი სადახარ?
ყელზე შემომეხვია ფიქრის
ძაფები
და მახრჩობს, გემუდარები
მგონია ჩემთან ხარ.“

ყველაფერი ძალიან გვიან გავიაზრე. სანამ იმ ფაზაზე გადავდივართ, რომ ადამიანი ძალიან მოგვწონს, გოგოების უმეტესობა, როგორც მე „პრინცზე“, იწყებს ოპერაციას „დასტალკვა“, რომელიც შედგება რამდენიმე ეტაპისგან. აი, აქედან იწყება თავგადასავალი. ალბათ ყველა კიბერდანაშაულთან მებრძოლს შეშურდებოდა ჩვენი. პირველ რიგში, სოციალურ ქსელში ვქმნით ახალ პროფილს, რომელსაც სხვა ადამიანის სახელსა და გვარს ვაწერთ და ვამოწმებთ ჩვენი სამიზნის ყველანაირ სოციალურ ქსელს. თუ არ ვიცით მისი სახელი და გვარი ვცდილობთ, საერთო ახლობელი ვიპოვოთ, გადავიდეთ მასთან და ყველაზე ბანალური სახელებით მოვძებნოთ იგი. საბოლოოდ, ვპოულობთ და უკვე ვიწყებთ დეტალურად გაშიფვრას: როდის იყო ბოლოს შემოსული, რომელ საათსა და წუთზე რა სტატუსი დაწერა... არ ვნებდებით, ვაგრძელებთ და ვპოულობთ ოჯახის წევრებს, სადაც შორეული ბავშვობის ფოტოებს შევხვდებით. შეგვიძლია პირდაპირ ბებიით დავიწყოთ, რადგან ბებიები, ზოგადად, ყველაზე მარტივი მოსაძებნები არიან. ისინი აკომენტარებენ ბრჭყვიალა გიფებით და ტოვებენ ისეთ წარწერებს, როგორებიცაა, მაგალითად: „ღმერთმა დიდი ბიჭი გაგზარდოს“; „ბებოს სიყვარული“; „უფალო შეგვიწყალენ“ და ა.შ. ბოლო ოპერაციას მე „გოგოები მის გარშემო“ დავარქვი. ეს ყველაზე რთული ეტაპია. აქ შეიძლება გაგიჩნდეს ეჭვები, ვინ არის ის გოგონა, ხელი რომ გადაუხვევია? იქნებ დეიდაშვილია? იქნებ შეყვარებულია და მე ტყუილად ჩავატარე ამხელა ოპერაცია? დიდი დაღლისა და თვალების ტკივილის შემდეგ ოცნების მორევში ჩავცვივდებით და წარმოვიდგენთ, რომ ჩვენ ვართ მისი შეყვარებული, რადგან იმდენი ინფორმაცია მივიღეთ და დავაგროვეთ მასზე, რომ არა მგონია ამდენი სხვამ იცოდეს.

რაც მე გავაკეთე, იმის გაკეთება ყველაზე დიდი შეცდომაა. ავაგე ოცნების კოშკი, რომელიც ჩემი ხელით დავანგრიე. ეს პატარა და ზოგისთვის უცნაური ამბავი ჩემი ტკბილ-მწარე მოგონებაა. ადამიანს ნამდვილად შეუძლია შენი ცხოვრების გალამაზება, თუნდაც ერთი წერილით ან ნახატით. ყოველთვის გავიხსენებ მას და ვიამაყებ, რადგან 18 წლის ადამიანს ამხელა სიყვარულის გაცემა შეეძლო ერთი უბრალო გოგონასთვის, რომელიც უბრალოდ ყველაფერს სხვანაირად აღიქვამდა. ის ნამუშევარი, რომელზეც გესაუბრებოდით, „მინიატურული ნამუშევრების ექსპოზიციის“ გამოფენაზეც მოხვდა 2022 წლის 20 მაისს. მოიარა ადამიანთა თვალები, ზოგი დატკბა, ზოგს ალბათ საერთოდაც არ შეუხედავს მისთვის. როდესაც გამოფენის შესახებ გავიგე, ძალიან მეწყინა, რადგან რაც ერთად შევქმენით, ის მარტო ჩვენი უნდა ყოფილიყო. რას ვიზამთ?! ადამიანებს გვიყვარს ისტორიების გაცვლა და გაზიარება. მეც ხომ ზუსტად ეს გავაკეთე ახლა: მოგიყევით ის, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

თათია მექერიშვილი

ნინი ძაძამია:
მეგრელი უინძორი - ასე მეძახიან სამეგრელოში ჩემი მეზობლები და მე ამ სახელს ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. ამბობენ, არის ჩემს ბუნებაში რაღაცები, რაც სამეფო გვართანაა კავშირში. ჩემი გვარისა და წარმომავლობის გამო ცდილობენ, აფერისტობაში გამომიჭირონ, მაგრამ კარგად გაცნობის მერე მეუბნებიან, რანაირი მეგრელი ხარო! დიახ, არც აფერისტობა შემიძლია და არც ტყუილი. ჩემთვის თეთრი ფერი სიმშვიდესთან და იმედთან ასოცირდება, ჰოდა, მგონია, რომ ეგ ფერი ვარ. გამოწვევები არ მაშინებს. ჩემთვის სიტყვა „არა“ და წინააღმდეგობები დიდი მოტივაციაა. დაკვირვებული ვარ, ყველასგან რაღაცას ვსწავლობ. ემოციური ვარ, ზოგჯერ ზედმეტადაც განვიცდი რაღაცეებს და თუ კულინარობა გენეტიკურად გადაეცემა, მაშინ ეს ნიჭი დედაჩემისგან მერგო.

პლატინის დედოფალი

მსოფლიოში ალბათ ბევრი შემთხვევაა, როცა ადამიანის ცხოვრება, სხვისი გადაწყვეტილებით სრულიად იცვლება, მაგრამ სულ რამდენიმეა ისეთი, როცა ეს ცვლილება მომავალ დედოფლობას ნიშნავს. სწორედ ასე მოხდა ინგლისისა და ჩრდილოეთ ირლანდიის დედოფლის ელიზაბეთ II-ს ცხოვრებაშიც, როცა მისი ბიძა ედუარდ VIII, მეფე ჯორჯ V-ის პირდაპირი მემკვიდრე, უოლის სიმპსონის, განქორწინებული ამერიკელი ქალის სიყვარულის გამო, რომელიც, სხვათა შორის, მე-20 საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს სიყვარულის ისტორიად ითვლებოდა, ტახტიდან გადადგა და ამ როლის შესრულება ელიზაბეთ II-ის მამას – ჯორჯ VI-ს მოუწია. ალბათ შემთხვევითი არც ედუარდისა და ჯორჯის ძმის – ჰენრის უარი იყო ტახტზე და, როგორც ვხედავთ, პატარა ლილიბეთს (როგორც ის თავის თავს ეძახდა ბავშვობაში) დედოფლობა არ ასცდა. შეიძლება, 11 წლისა ვერ აცნობიერებდა, რამხელა ამბავი ტრიალებდა მის თავს, თუმცა უკვე 21 წლისამ მან მთელი თავდაჯერებულობით გამოაცხადა რადიოში, რომ მისი ცხოვრება დიდ ბრიტანეთს დაეთმობოდა. ამავე ასაკში იყო ქორწინებაც დანიის პრინც ფილიპ მაუნტბატენთან, რომელიც 13 წლის პრინცესამ ჩაის წვეულებაზე გაიცნო. იმ დროს დაწყებული მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა და ისტორიულ, ამასთანავე ბედნიერ და ინგლისის მონარქიაში ყველაზე ხანგრძლივ ქორწინებამდე მივიდა. ქორწინებამდე, რომლიდანაც წყვილს ოთხი შვილი, მათ შორის, ერთი გოგონა – პრინცესა ანა ეყოლათ.

კარგად არ მახსოვს, პირველად როდის ვნახე, ან რა მოვისმინე მასზე ისეთი, რომ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა და უკვე დიდობაში, მისი საყვარელი შამპანურისა და ფრჩხილის ლაქის ბრენდიც კი ვიცი.

ყველაფერი 1926 წელს დაიწყო. იორკის ჰერცოგისა და ჰერცოგინიას პირველ შვილს დედის სახელი დაარქვეს. ოთხი წლის შემდეგ ოჯახში პრინცესა მარგარეტი გაჩნდა. მარგარეტი ელიზაბეთისთვის ცხოვრების თანამგზავრი გახდა. მათ ერთად გაატარეს ბავშვობა და შემდეგ უკვე ერთად იღებდნენ განათლებას სასახლეში. მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა პრინცესა მარგარეტს ასაკი ხელს არ უწყობდა შეესრულებინა ოფიციალური ან საჯარო მოვალეობები, ისწავლა სიმღერა და პიანინოზე დაკვრა (ამის გამო მას მამისგან განებივრებულ ქალიშვილსაც ეძახდნენ). ამის პარალელურად, პრინცესა ელიზაბეთი, თავისი სურვილითა და მეფის თანხმობით, 19 წლისა ქალთა სამხედრო შენაერთში ჩაეწერა, სადაც ლეიტენანტი გახდა და ისწავლა სატვირთო მანქანების მართვა. ის დღეს ერთადერთი დედოფალია, რომელმაც რეალურად გაიარა სამხედრო სამსახური. დედოფალი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა ცხოველების სიყვარულით. როგორც ყველასთვის ცნობილია, მას ჰყავდა უელსური კორგის ჯიშის ძაღლები, რომელსაც ევროპაში სამეფო ძაღლს უწოდებენ. როგორც დედოფალი ამბობდა, კორგები მისთვის ოჯახის წევრებივით არიან. თუმცა 2015 წელს, ელიზაბეთმა ძაღლების გამრავლებასა და ახალი ძაღლების აყვანაზე უარი თქვა, რადგან არ სურდა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ისინი მარტო დარჩენილიყვნენ. ამ დროის განმავლობაში მას 30-ზე მეტი კორგის ჯიშის ძაღლი ჰყავდა. დიდი ბრიტანეთის დედოფალი ბავშვობიდან აქტიურად იყო დაკავებული ცხენოსნობით. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ექიმებმა ჯირითი აუკრძალეს, ის 96 წლის ასაკშიც არ აპირებს სპორტის ამ სახეობაზე უარის თქმას, რასაც სოციალურ ქსელებში პაპარაცების მიერ გავრცელებული ფოტოები ადასტურებს. დედოფალი ყველაზე კარგი მაგალითია იმის, რომ ასაკი მხოლოდ ციფრებია.

მისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი, ქორწინების შემდეგ, 1952 წელს იწყება, როცა ახალდაქორწინებულ წყვილს, მეფის ნაცვლად, მისი ჯანმრთელობის გაუარესების გამო, სამეფო ტურით საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდით მოუწია წასვლა. ტურის დროს ისინი კენიასაც სტუმრობდნენ. სწორედ იქ ყოფნის დროს დაიწყო პრინცესას ცხოვრებაში ახალი ეტაპი. ერთ-ერთი ღამე წყვილმა სასტუმრო Tree Tops-ში გაატარა, რომელიც ხეებზეა გაშენებული. სწორედ იმ დროს 16-წლიანი მეფობის შემდეგ 56 წლის ასაკში გარდაიცვალა ჯორჯ VI. როდის და რა ვითარებაში გამეფდა დედოფალი ელიზაბეთ II, კარგადაა ცნობილი, მაგრამ ამას მონადირე ჯიმ კორბეტი თავის ბოლო წიგნში „ტრიტოპსში“, რომელიც ამ ამბიდან სამი წლის შემდეგ გამოსცა და რომელიც ელიზაბეთ II-ს კენიაში მოგზაურობაზეა, ერთი წინადადებით აღწერს: „პრინცესა ხეზე ავიდა და იქიდან დედოფალი ჩამოვიდა“. ეს ის ჯიმ კორბეტია, რომელსაც ამ ტურის დროს პრინცესას უსაფრთხოება ევალებოდა და ერთ-ერთი პირველი იყო კენიაში, რომელმაც მეფის გარდაცვალება შეიტყო.

ჯორჯ VI-ის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, 1953 წლის 2 ივნისს ვესტმინსტერის სააბატოში კორონაცია გაიმართა და ტელევიზიით მსოფლიოს მასშტაბით გადაიცა (ეს იყო პირველი სატელევიზიო კორონაცია ისტორიაში). 1952 წლის 9 აპრილს დედოფალმა დაადგინა, რომ პრინცი ფილიპი უნდა ყოფილიყო „პირველი ჯენტლმენი ქვეყანაში“, რაც მას „უმაღლესობისა და უპირატესობის ადგილს ანიჭებდა მისი უდიდებულესობის გვერდით“. ფილიპი რიგით მესამე, და უკვე 2009 წლიდან ყველაზე გრძელვადიანი კონსორტი (მონარქის მეუღლე) იყო ბრიტანეთის ისტორიაში. ცოლ-ქმარმა ერთად მოიარა მსოფლიო ავსტრალიიდან ამერიკამდე და აფრიკიდან ინდოეთამდე. ისინი 73-წლიანი თანაცხოვრების განმავლობაში, რაც რეკორდულია სამეფო ოჯახებში, მუდამ მხარში ედგნენ ერთმანეთს და ცდილობდნენ, საჯარო ცხოვრების ტვირთი შეემსუბუქებინათ ერთმანეთისთვის. მათ 4 შვილი, 8 შვილიშვილი და 10 შვილთაშვილი ჰყავთ. ფილიპი 99 წლისა იყო, როცა მშვიდად მიიცვალა ვესტმინსტერის სასახლეში, 2021 წლის 9 აპრილს. მის დაკრძალვას, რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს, კორონავირუსის პანდემიიდან გამომდინარე, რეგულაციების დაცვით, სულ 30 ადამიანი ესწრებოდა. სამაგიეროდ, მას პირდაპირ ეთერში უყურებდა მილიონობით ადამიანი, მათ შორის – მეც და ეს იყო ბრიტანეთის ისტორიაში პირველი დაკრძალვა, რომელიც პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა, ჩემთვის კი – სამეფო ოჯახის წევრის პირველი დაკრძალვა, რომელსაც „ვესწრებოდი“. 17 აპრილს, პრინცი ფილიპი დაკრძალეს უინძორების კარის ეკლესიში, წმინდა გიორგის სახელობის სამლოცველოში, იქ სადაც 1947 წელს მან პრინცესა ელიზაბეთზე ჯვარი დაიწერა. 2017 წელს მათ ერთად აღნიშნეს ქორწინების 70 წლის იუბილე და ისინი პირველი ბრიტანელი მონარქები გახდნენ, რომლებსაც „პლატინის ქორწინების იუბილე“ შეუსრულდათ.

ჩვენ ვიცით, რომ ელიზაბეთ მეორემ უკვე დიდი ხანია, დედოფალ ვიქტორიას ყველა რეკორდი მოხსნა სხვადასხვა იუბილეთი. ჯერ კიდევ 2012 წელს ის გახდა პირველი მონარქი, რომელმაც დედოფლობის „ბრილიანტის იუბილე“ აღნიშნა, რაც 60-წლიან მმართველობას ნიშნავს. ამ იუბილისადმი მიძღვნილ კვირეულზე დედოფალმა საქართველოდან მიიწვია ბრიტანული სამეფო ოჯახის საუკეთესო მცოდნე, ისტორიკოსი გია ჭანტურია, რომელმაც 2012 წელს გამოსცა დედოფლისადმი მიძღვნილი წიგნი „მონარქი“. წიგნის 200 ეგზემპლარიდან ერთი ჩემს სახლშია, დედაჩემისგან უძვირფასესი საჩუქრად. „მქონდა ბედნიერება მეხილა ამ „საიუბილეო კვირისადმი“ მიძღვნილი ცერემონიალები... ეს იყო მსოფლიო ხალხების ნამდვილი ზეიმი“, – წერს თავის წიგნში გია ჭანტურია.

ბრიტანეთის ისტორიაში, ელიზაბეთ II არის პირველი, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ ახლა უკვე დედოფლობის „პლატინის იუბილე“ მიამატა რეკორდებს და ეს არის თარიღი, რომელიც პირველად და ალბათ უკანასკნელად აღინიშნა მსოფლიო ისტორიაში.

„პლატინის იუბილის“ სამზადისი ლონდონში თვეებით ადრე დაიწყო და ბოლოს ყველაფერი მართლაც ზღაპარს დაემსგავსა. დედოფალი პირველივე დღეს გამოჩნდა ბაქინგემის სასახლის აივანზე სამეფო ოჯახის წევრებთან ერთად. ოთხდღიანი ეროვნული დღესასწაული სამხედრო ღონისძიებით გაიხსნა, ცხენოსანი გვარდიის აღლუმს შეუერთდა კემბრიჯის ჰერცოგი უილიამი და სამეფო პრინცესა ანა. ამ დღეების განმავლობაში დედოფლის სხვადასხვა ფოტოთი განათდა ბაქინგემის სასახლის ფასადი, ასევე სტოუნჰენჯი და მარბლ არქი. მეოთხე დღეს ბაქინგემის სასახლის აივანზე ისევ გამოჩნდნენ დედოფალი და სამეფო ოჯახის წევრები. სასახლის წინ კი კონცერტი გაიმართა. ბოლოს სიტყვით გამოვიდა ტახტის მემკვიდრე, უელსის პრინცი ჩარლზი. მან მთელი მსოფლიოს სახელით მადლობა გადაუხადა 96 წლის დედოფალს წარმოუდგენელი ერთგულებისთვის და მოფერებით „მისი უდიდებულესობა... დედიკოთი“ მიმართა.

თბილისიდან ლონდონში სამწუხაროდ ვერ, მაგრამ ბათუმში გავემგზავრე და ჩემთვის ამ მნიშვნელოვან დღეებს, ძველი ბათუმის შუაგულში, მეგობრებთან ერთად, ჭიქა შამპანურით აღვნიშნავდი, როგორც ამას, ალბათ, დედოფალიც გააკეთებდა, რადგან მისი (და ჩემიც) საყვარელი სასმელი ხომ შამპანურია, რომელსაც დღეში ერთ ჭიქას, ბოლო წლებში არ ვიცი, მაგრამ მანამდე ყოველთვის მიირთმევდა.

70 წლის განმავლობაში ის მართლაც წარმოუდგენლად ერთგული იყო ყველა მოვალეობისა და მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში ყველაზე ძლიერ და გავლენიან ქალად ითვლება, მას ეს არასდროს გამოუყენებია პირადი მიზნებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მონარქიას, კონსტიტუციური მმართველობისას მხოლოდ სიმბოლური ხასიათი აქვს და დედოფალი არ უნდა ერეოდეს პოლიტიკაში, მისმა ავტორიტეტმა და ხანგრძლივმა მეფობამ საშუალება მისცა, გარკვეული გზით მოეხდინა გავლენა მოვლენების მიმდინარეობაზე. ის ყოველთვის ბევრს მუშაობდა, რომ საუკეთესოდ წარმოედგინა საკუთარი ქვეყანა და ოჯახი და ამით მან ბრიტანელი ხალხისგან დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ნინი ძაძამია

დედოფალი მიესალმება რობაქიძის უნივერსიტეტის კორბეტის კვლევის საერთაშორისო ცენტრს

ჯიმ კორბეტი, რომელიც კენიაში სამეფო წყვილის უსაფრთხოებას იცავდა და რომელიც თავის წიგნში აღწერს, თუ როგორ ავიდა ხეზე მდებარე სასტუმროში პრინცესა ელიზაბეთი და როგორ ჩამოვიდა მეორე დილას იქიდან დედოფალ ელიზაბეთ II-დ, საქვეყნოდ ცნობილი ნატურალისტი და მონადირე იყო. მისი ცხოვრება და მისი წიგნები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მკვლევართა შეუნელებელი ყურადღების საგანია. შარშან რობაქიძის უნივერსიტეტში დაარსდა კორბეტის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, რომლის დირექტორია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი, მელბურნის (ავსტრალია) უნივერსიტეტის მუსიკოლოგიის პროფესორი იოსებ ჟორდანია, ხოლო დირექტორის მოადგილე – რობაქიძის უნივერსიტეტის პროფესორი პაატა ნაცვლიშვილი.

თებერვალში იოსებ ჟორდანიამ კორბეტის მკვლევართა სახელით წერილი გაუგზავნა ელიზაბეთ II-ს, გადედოფლების 70 წლისთავი მიულოცა, რობაქიძის უნივერსიტეტში კორბეტის ცენტრის დაარსების ამბავი აცნობა და საჩუქრად გაუგზავნა მისი ხელმძღვანელობით შედგენილი სამეცნიერო კრებული „ჯიმ კორბეტის ნაამბობს მიღმა“. მალე პროფესორმა ჟორდანიამ ბაქინგემის სასახლიდან პასუხი მიიღო, რომელშიც დედოფალი მიესალმება რობაქიძის უნივერსიტეტში კორბეტის ცენტრის დაარსებას და წარმატებას უსურვებს მას. (საკუთარი ინფორმაცია)

საბაობა - 2022

კორონავირუსის პანდემიამ რამდენადმე შეაფერხა, მაგრამ კვლავ განახლდა და მალე დამთავრდება გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო და შემეცნებითი პროექტი „მოგზაურობა 300 წლის შემდეგ“, რომელიც ევროპაში სულხან-საბა ორბელიანის გავლილი გზის გამეორებას და მოგზაურობის მასალების უხვად ილუსტრირებულ წიგნად გამოცემას ითვალისწინებს.

პროექტის ფარგლებში მისმა მონაწილეებმა უკვე მოიარეს საფრანგეთი, იტალია, საბერძნეთის კუნძულები, თურქეთი... ჰქონდათ შეხვედრები პარიზში, ვერსალში, მენტონში, მონაკოში, სებორგაში, გენუაში, რომში, სტამბულში, ტაო-კლარჯეთში... თბილისში ყოფნისას პროექტის მონაწილეები ვატიკანის საელჩოში მიიღო რომის პაპმა ფრანცისკმა. პროექტის მიმდინარეობა დაწვრილებით არის აღწერილი ფეისბუქის გვერდზე „მოგზაურობა 300 წლის შემდეგ“. ტაო-კლარჯეთის მონაკვეთზე ექსპედიციაში უნივერსიტეტის სტუდენტებიც მონაწილეობდნენ და მათ თავიანთი მოგზაურობა ტანძიაში, სულხან-საბა ორბელიანის მემორიალურ მუზეუმში დაასრულეს.

2022 წლის 29 ივნისს პროექტის ხელმძღვანელი, რობაქიძის უნივერსიტეტის პროფესორი პაატა ნაცვლიშვილი კვლავ ეწვია ტანძიას, სადაც საბაობის დღესასწაული გაიმართა.

აი, რა წერია წლევანდელი საბაობის შესახებ ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ საიტზე:

*„სოფელ ტანძიაში, სულხან-საბა ორბელიანის სახლ-მუზეუმში ქართველი მწერლის, დიპლომატის, მეიგავის და სასულიერო პირის **364** წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება „საბაობა **2022**“ გაიმართა.*

ღონისძიებას ბოლნელი მთავარეპისკოპოსი ეფრემი, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე კახა კობერიძე, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი და ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ ჟორჟოლიანი დაესწრნენ.

მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციით, სულხან-საბა ორბელიანის შესახებ მუზეუმში საჯარო ლექცია მოეწყო, რომელსაც გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი პაატა ნაცვლიშვილი უძღვებოდა.

*მან საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა საბას განვლილი გზა და აქცენტები მის შემოქმედებასა და დიპლომატიურ მოღვაწეობაზე გააკეთა. პროფესორმა საუბრისას ყურადღება გაამახვილა მწერლის ევროპაში მოგზაურობის ეროვნულ და ისტორიულ მნიშვნელობაზე და რობაქიძის უნივერსიტეტის პროექტზე „მოგზაურობა **300** წლის შემდეგ“.*

საჯარო ლექციის დასრულების შემდეგ ბოლნელმა მთავარეპისკოპოსმა ეფრემმა ორბელიანების საგვარეულო ეკლესიაში სულხან-საბა ორბელიანის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

*„საბაობა-**2022**“ ოფიციალური მიღებით დასრულდა.*

ბოლნისის კულტურის ცენტრის დირექტორმა სოსო კოპალეიშვილმა მუზეუმის თანამშრომლებს სამუზეუმო საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის სიგელები, ხოლო მუზეუმს საჩუქრად სულხან-საბა ორბელიანის წიგნები გადასცა. ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდა დუეტი „გვანცა და ვიქტორია“.

საზოგადოებას სიტყვით მიმართეს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა და ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილემ კახა კობერიძემ.

*– დღეს, ისტორიულ სოფელ ტანძიაში, დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, პირველი ქართველი ელჩის, სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურულ მუზეუმში სახალხო დღესასწაული ,,საბაობა“ აღვნიშნეთ. ჩვენ ყველას გვეამაყება ის ფაქტი, რომ, სწორედ ჩვენს მუნიციპალიტეტში დაიბადა ისეთი ღვაწლმოსილი პიროვნება, როგორიც სულხან-საბა ორბელიანი იყო. ამ დიდებული მოღვაწის მეშვეობით ჯერ კიდევ მე-**18** საუკუნეში შევეცადეთ, ევროპაში ჩვენი ისტორიული და კულტურული ადგილი დაგვებრუნებინა, სწორედ საბას უკავშირდება ქართული ენის მრავალფეროვნების წარმოჩენა, სამოგზაურო-მემუარული ჟანრის ჩვენს რეალობაში შემოტანა და იგავ-არაკების განვითარება. ახლა, როცა ასე ახლოს ვართ ევროპასთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სულხან-საბა ორბელიანის ღვაწლის დაფასება, მან საკმაოდ გრძელი და ურთულესი გზა გაიარა ევროპამდე, რათა წარმატება მოჰყოლოდა მის პოლიტიკურ მოლაპარაკებას ევროპელ ლიდერებთან. სამწუხაროდ, საბას მცდელობას მაშინ შედეგი არ მოჰყოლია, თუმცა ქართველს ერს, არც ერთი დღე არ შეუნელებია სწრაფვა ევროპულ ფასეულობებთან დაახლოებისკენ. კიდევ ერთხელ გილოცავთ „საბაობას“, ამ დიდებული ადამიანის მიერ განვლილი გზა სამაგალითოა თითოეული ქართველისთვის, თუ როგორ უნდა გვიყვარდეს სამშობლო და ყოველდღიურად ვფიქრობდეთ ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის“, – განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.*

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური საიტის მიხედვით

როგორი იყო სულხან-საბა ორბელიანის საგვარეულო სასახლე ტანძიაში?

წლევანდელ საბაობაზე ბოლნისის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელმა სოსო კოპალეიშვილმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა იშვიათი სურათი, რომელზეც სავარაუდოდ ორბელიანთა ტანძიის სასახლეა აღბეჭდილი.

მუზეუმის დირექტორის ნაზი ბიძინაშვილის თქმით, ერთ მშვენიერ დღეს მუზეუმს ორი გერმანელი ქალბატონი ეწვია და მუზეუმის გიდს თამილა აბრამიშვილს სთხოვეს, სულხან-საბას სასახლე ეჩვენებინათ. გიდმა აუხსნა მათ, რომ სასახლე შემორჩენილი არ არის და რომ მუზეუმი მხოლოდ მემორიალური ნაგებობაა.

მაშინ გერმანელ სტუმრებს თავიანთი ვეებერთელა რუკა გაუშლიათ, სადაც ტანძიის გვერდით სასახლის პატარა გამოსახულება დაებეჭდათ, – სწორედ ის, რომელიც საბაობის მონაწილეებს სოსო კოპალეიშვილმა წარუდგინა. ნაბეჭდი გამოსახულება ძველი უნდა იყოს, თუმცა თანამედროვე ტექნოლოგიით არის გაფერადებული და დამუშავებული. ძნელი სათქმელია, ვინ, სად, როდის და როგორ შექმნა ეს გამოსახულება, ან როგორ აღმოჩნდა იგი ევროპაში დაბეჭდილ საქართველოს ტურისტულ რუკაზე.

სამწუხაროდ, გერმანელ ქალბატონებთან სრულყოფილი კომუნიკაცია ენობრივი ბარიერის გამო ვერ შედგა. თამილა აბრამიშვილი და მუზეუმის ორი სხვა თანამშრომელი – ლალი დემეტრაძე და მედიკო ახობაძე მოულოდნელი ინფორმაციისაგან დაიბნენ და სტუმართა სახელებიც ვერ ჩაიწერეს. მათ ისღა მოახერხეს, რომ ტელეფონით გადაიღეს რუკაზე აღბეჭდილი სასახლე თავისი წარწერითურთ.

არაერთი მცდელობის მიუხედავად, ეს რუკა ჯერჯერობით ვერ მოიძებნა, ვერც გუგლმა ამოიცნო სურათი. სპეციალისტებმა არ იციან, როგორი იყო ორბელიანთა სასახლე ტანძიაში. არადა, სასახლე ნამდვილად იყო. იქნებ ოდესღაც, დანგრევამდე, რომელიღაც უცხოელმა მართლა შეძლო მისი აღბეჭდვა ფოტოზე?

რობაქიძის უნივერსიტეტის პროექტი „მოგზაურობა 300 წლის“ შემდეგ ამიერიდან ამ გამოსახულების პირველწყაროს ძებნასაც იწყებს. *(საკუთარი ინფორმაცია)*

ნინი ფერაძე:
დავიბადე 1998 წლის 30 აგვისტოს. ბავშვობიდან განსხვავებული ვიყავი, მწამდა რომ რაღაც განსაკუთრებულია ჩემში და მიმაჩნდა, რომ რასაც მე ვხედავდი, სხვები ვერ დაინახავდნენ. არასდროს მიყვარდა ჩემი ემოციების გამოხატვა და თუ რამე მაწუხებდა, განვმარტოვდებოდი ხოლმე, რომ არავის დაენახა ჩემი ცრემლები, არ მინდოდა ვინმეს სუსტი და დაუცველი ვგონებოდი. განსაკუთრებით მიყვარდა ხატვა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო რაღაც პერიოდი თავი დავანებე, თუმცა ახლა ისევ დავუბრუნდი. როდესაც ვხატავ, ემოციებისგან ვიცლები. ჩემი საყვარელი მხატვარი მოდილიანია, საყვარელი ფილმი – „ინტერსტელარი“, თუმცა სერიალების ყურება მირჩევნია, გამოვარჩევდი გერმანულ სერიალს „ბნელი.“ წიგნი, რომელმაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ტოლსტოის „ანა კარენინაა.“ ვარ პირდაპირი და ეს კომუნიკაციის დამყარებაში მიშლის ხელს, რადგან ადვილად ვცნობ ყალბ ხალხს და მათთან პირფერობა არ გამომდის. რაც შეეხება ჩემს ოცნებას, მინდა ვიყო ბედნიერი.

რადიო „ალმა მატერი“ 5 წლისაა!

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რადიოსტუდია „ალმა მატერი“ 5 წლის გახდა. ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები, აქტიურად არიან ჩართული რადიოს ცხოვრებაში. ამით მათი პიროვნული და შემოქმედებითი პოტენციალი ვითარდება.

„თანამედროვე საზოგადოებას ინფორმაციულ საზოგადოებას უწოდებენ, ხოლო თანამედროვე ეკონომიკას – ცოდნის ეკონომიკას. ეს იმას ნიშნავს, რომ დღეს, ისე, როგორც არასდროს, განათლების დონეა განმსაზღვრელი ახალგაზრდა კაცის ხვალინდელი დღისა“, – ამბობს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მამუკა თავხელიძე.

რადიოსტუდია „ალმა მატერის“ ოქროს იუბილე 2022 წლის 5 თებერვალს უნდა გამართულიყო, მაგრამ პანდემიის გამო გადაიდო და 2022 წლის 2 ივლისს ჩატარდა. საღამოს ორნი ვუძღვებოდით: რადიო „ალმა მატერის“ სულისჩამდგმელი, რობაქიძის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ნინო მაჭავარიანი, და ამ სტრიქონების ავტორი – უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის მასობრივი კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამის მაგისტრანტი.

საღამოს ესწრებოდნენ რობაქიძის უნივერსიტეტის რექტორი მამუკა თავხელიძე და ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის პროფესორ-მასწავლებლები. მათი სახელით პაატა ნაცვლიშვილმა და თათია პაჭკორიამ მიულოცეს რადიოსტუდია „ალმა მატერს“ იუბილე და წარმატებები უსურვეს მის ირგვლივ შემოკრებილ სტუდენტებს.

მოწვეულ სტუმრებს შორის იყო მაქს მეირ შავიტი – ოსკარ შინდლერის აკადემიის რექტორი, რომელმაც გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის რექტორს მათი აკადემიის საპატიო პროფესორის წოდება მიანიჭა და პირადად გადასცა სპეციალურად მისთვის შექმნილი მოოქროვილი სუვენირი.

საიუბილეო საღამოში მონაწილეობდნენ ცნობილი მომღერალი ბესო კალანდაძე, მოცეკვავეთა ანსამბლი „დაისი“ მის ხელმძღვანელთან მიხეილ დვალიშვილთან და ქორეოგრაფ ოლიკო კობახიძესთან ერთად, 90-იანი წლების ვარსკვლავი, მშვენიერი და პოზიტიური ქეთი მერკვილაძე, რომელმაც გაიმარჯვა ნომინაციაში „გამორჩეული რესპონდენტი“. საღამო პოეტური გამოსვლებით დაამშვენეს ნანა ცინცაძემ, ნინო უძილაურმა და ლევან ტულუშმა. მოწვეულ სტუმრებს შორის აგრეთვე იყვნენ ტელეწამყვანი ლევან ჯავახიშვილი, ექიმები – თემურ მიქელაძე და გვანცა არველაძე, მე-10 მუსიკალური სასწავლებლის ფოლკლორული გუნდი ნანა ედიშერაშვილის ხელმძღვანელობით.

რადიო „ალმა მატერის“ წლის საუკეთესო ხმებად დაასახელეს თინათინ ლობჯანიძე და ოთარ არაბიძე

საღამო მუსიკალურად გააფორმეს ჯგუფ „ჟოლოს“ სოლისტმა საბა ღურწკაიამ, აგრეთვე მაკა ქაჯაიამ და როლანდ ჯანაშვილმა. სამეჯლისო ცეკვების სტუდია „ელიტ დენსმა“ სპეციალურად ამ დღისთვის დადგმული ნომერი წარმოადგინა, რომელშიც გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ორმა სტუდენტმაც მიიღო მონაწილეობა. პირველკურსელებმა დავით სორდიამ და მარიამ გეთიამ უკრაინული სიმღერის თანხლებით იცეკვეს ტანგო, და ამ ნომრით საღამოს მონაწილეებმა სოლიდარობა გამოუცხადეს უკრაინელ ხალხს.

•••

საიუბილეო საღამოს შემდეგ გავესაუბრეთ ნინო მაჭარიანსა და ლევან ჯავახიშვილს.

– ქალბატონო ნინო, მოკლედ რომ მოგვიყვეთ ღონისძიების შესახებ...

– რადიოსტუდია „ალმა მატერი“ უკვე 5 წლისაა. 2017 წლის 5 თებერვალს გავედით პირველად ეთერში. ჩვენმა ოქროს იუბილემ გრანდიოზულად ჩაიარა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრიატის სტუდენტებმა და მაგისტრანტებმა, რომლებმაც თანაწამყვანობაც შეითავსეს.

– რადიოსტუდიის მუშაობის პრინციპზე რას გვეტყვით?

– რადიოსტუდია გათვლილია სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე. რადიოში პრაქტიკას გადიან პირველი კურსიდან მეოთხე კურსის ჩათვლით და ასევე მაგისტრანტებიც. პირდაპირი ეთერი არის ღია და სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, წაიყვანონ საინფორმაციო გამოშვებები, მოამზადონ საავტორო გადაცემები, სიუჟეტები. ეს ყველაფერი მათთვის იმიტომ შევქმენით, რომ ისინი ადაპტირებულები იყვნენ ჟურნალისტიკის ბაზარზე.

– როგორია რადიოსტუდიის სამომავლო გეგმები?

– არსებობის 5 წლის განმავლობაში რადიოსტუდიამ შექმნა არაერთი საინტერესო პროექტი, რომლებშიც, რა თქმა უნდა, სტუდენტები და აკადემიური პერსონალი მონაწილეობს. მომავალშიც ვაპირებთ გავაგრძელოთ ანალოგიური სახით ჩვენი მუშაობა. რაც მთავარია, სტუდენტს უნდა მივაწოდო ის გამოცდილება, რომელიც მე, როგორც სტუდიის ხელმძღვანელს, მაქვს.

•••

– ბატონო ლევან, თქვენ გაიმარჯვეთ ნომინაციაში „საუკეთესო ბლიცსტუმარი“. ელოდებოდით?

– მართალი გითხრათ, არა. როცა გავიგე, ძალიან გამიხარდა. სასიამოვნოა, როცა ადამიანებს დადებით ემოციებს უტოვებ. როგორც ჩანს, მე ეს შევძელი.

– როგორ ფიქრობთ, რა გავლენა აქვს რადიოს თანამედროვე მედიასივრცეში? რამდენად შესაძლებელია რადიოში დამწყებმა ჟურნალისტმა ან სტუდენტმა ის უნარები გამოიმუშაოს, რაც მომავალში ამ სფეროში დამკვიდრებაში დაეხმარება?

– რადიომ თანამედროვეობაში თავისი ფუნქცია დაკარგა. თითქმის ყველა რადიოსადგური ერთ დიდ რეკლამის გამტარადაა ქცეული. მაგრამ, არის რამდენიმე რადიოსადგური, რომელიც გლობალური ინტერნეტიზაციის ეპოქაში თავის ფუნქციას ასრულებს. სახელებს შეგნებულად არ დავასახელებ. იკითხავთ, რა არის ეს ფუნქცია? პასუხი მარტივია: რადიოს შეუძლია შეასრულოს როგორც საგანმანათლებლო, ისე სასარგებლო ინფორმაციის გამცემის როლი. თუმცა ეს უკვე მენეჯმენტის გადასაწყვეტია, ვინ რა გზას აირჩევს. რაც შეეხება იმას, სტუდენტი შეძლებს თუ არა საჭირო გამოცდილების შეძენას, უდავოდ შეძლებს, თუ მოინდომებს. ამ შემთხვევაში, არ აქვს მნიშვნელობა ეს მუსიკალური რადიო იქნება თუ საინფორმაციო. ყველაფერი თქვენზე და თქვენს კრეატიულ აზროვნებაზეა დამოკიდებული. კრეატიულობას კი ფანტაზიის უნარი და საქმის კეთების სიყვარული განსაზღვრავს. რადიო იძლევა საშუალებას, საკუთარ თავში ის შესაძლებლობები აღმოაჩინოს ადამიანმა, რაზეც შეიძლება არც კი უფიქრია.

– გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტს ასევე აქვს მულტიმედიაცენტრი რომელიც სამომავლოდ საეთეროდ ამზადებს სტუდენტებს. ისინი, მაგალითად, სუფლიორთან მუშაობის გამოცდილებას იღებენ. თქვენი აზრით, მულტიმედიაცენტრი უფრო მისაღებია სტუდენტების განვითარებისთვის თუ რადიოსტუდია „ალმა მატერი“?

– ჩემი საქმიანობა მედიასივრცეში რადიოთი დაიწყო, ტელევიზია უკვე შემდეგი საფეხური იყო. გამოცდილება მკარნახობს, რომ რადიო ათავისუფლებს იმ საეთერო კომპლექსებისგან, რომლებიც შეიძლება ადამიანს ტელევიზიასთან პირველი შეხებისას ჰქონდეს. მაგალითად, კამერის შიში და თქვენ წარმოიდგინეთ, საკუთარი ხმის შიშიც. რადიო ძალიან ინტიმურია. შენ, მიკროფონი და ყურსასმენში შენივე ხმა... რადიო ადამიანს კამერასთან უფრო თამამს და თავისუფალს ხდის. ფაქტობრივად, ტელეეთერში მუშაობისთვის გვამზადებს.

– როგორ შეაფასებდით ჩვენი რადიოს მუშაობის ხარისხს? რა შთაბეჭდილება დაგიტოვათ ჩვენთან სტუმრობამ?

– ჩემი ბავშვობა გამახსენდა, თუმცა განსხვავება ის არის, რომ ჩვენ როცა ვდგამდით პირველ ნაბიჯებს ამ სფეროში, მიმართულებას ჩვენ თვითონ, შეიძლება ითქვას, ინტუიციით ვპოულობდით. თქვენ გყავთ ადამიანი და ადამიანები, რომლებიც ამ მიმართულებას გაჩვენებენ. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია.

– ისურვებდით თუ არა სტუდენტებთან მუშაობას, რომ თქვენი გამოცდილება გაგეზიარებინათ?

– დიდი სიამოვნებით. ჩემთვის საინტერესო გამოწვევა იქნებოდა. მეც ახალ „მე“-ს აღმოვაჩენდი საკუთარ თავში.

ნინი ფერაძე

სურათებზე (ქვემოთ მარცხნიდან): ცეკვავს ანსამბლი „დაისი“; იუბილარს მიესალმება ლევან ჯავახიშვილი; საბა ღურწკაიამ გურანდუხტ გოგოლაძის იმპროვიზაციაზე სიმღერა შეწყვიტა და ვიდეოს გადაღება დაიწყო

დაკაბადონდა და დაიბეჭდა შპს „პეტიტში“